

652  
1967



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ  
Ազգային  
Գրադարան

19167

# ଅଧ୍ୟାତ୍ମିକ ପ୍ରକାଶନ

## କବିତା

ଲୋକବିରାଚନରେ-ହେଠଳୀରେ ୫୦  
ସାହିତ୍ୟବିରାଚନରେ - ପରିଚୟ ପରିଚୟ  
ରଚନାରେ  
ଶାକାରତତ୍ତ୍ଵବିଲ୍ଲପି ଏତେଷୁଣ୍ଟିବୁ  
ପାତ୍ରବିରାଚନ ଆବଶ୍ୟକ  
ଧୀର୍ଘବ୍ୟବିଲ୍ଲପି ପରିଚୟ

## ପରିଚୟ

୧. କାଣ୍ଡବାଜି — ଲେଖ୍ସେବି	3
୨. ଦିନକବାପି — ମାମିଳ ଲେଖିବି (ମିନୋ- ଅଶ୍ରୁରା)	6
୩. କାଣ୍ଡବାଜି — ଲେଖ୍ସେବି	8
୪. କାତାବାଦି — ଲେଖ୍ସେବି	10
୫. କାଣ୍ଡବାଜି — ପ୍ରଦୀପ ଗୁଣ୍ଡି ଲେଖିବି (ମନୋବିରାଚନା)	11
୬. କାପାଲି — ଲେଖ୍ସେବି	18
୭. ଲଗନବି — ଗ୍ରୀ, ଯାନଦୁରିତ କାପାଲି ଲୋ (ମନୋବିରାଚନା)	21
୮. କାନନବୀନେଲି — ଲେଖ୍ସେବି	38
୯. କାନନବୀନେଲି — ଅନୁଭବ ପ୍ରଦୀପ ଲେଖିବି (ଲେଖିବି)	40
୧୦. କାନନବୀନେଲି — ଅନୁଭବ (ମନୋବିରାଚନା, ତାରଗମନ ନାମି) .	41
୧୧. କାନନବୀନେଲି — ଲେଖ୍ସେବି (ତାରଗମନ ନାମି)	47

ଲେଖିବି ଏବଂ ଆବଶ୍ୟକ ପରିଚୟ

୧. କାନନବୀନେଲି — ଅନୁଭବାବିନିଷ୍ଠା — ଲେଖିବି	50
--	----

1

1967

ପରିଚୟ  
ମନୋବିରାଚନା

პრიტიკა და პუბლიცისტიკა

5. დუმბაძე — ქართველი სიმბოლისტები	
„ვეფხისტუაოსნის“ შესახებ . . . . .	56
8. მეგურე — დემონი — ღიმიტრი ქავთარაძე . . . . .	62

ხელოვნება

3. პიპერი — გამოჩენილი ქართველი მსახიობი . . . . .	68
---	----

პრარის წარსულიდან

ა. სურგულაძე — ბათუმში რუს ხალ- ხოსანთა მოლვაწეობის ისტორიიდან	73
რ. სურგანიძე — სამი „აჭარა“ საქართ- ველში . . . . .	78

საზღვარგარეთ

ანა ფილიპი — ამონაკვნესი (ფრან- გულიდან თარგმნა ი. არეშიძემ)	81
---	----

წიგნის თარი

5. საბაზვილი — „ილია ჭავჭავაძის ენა“	89
--------------------------------------	----

სამირა და იუმორი

ა. ვეგენავა — ძველი ისტორია . . . . .	92
---------------------------------------	----

— — —

რედაქტორი შოთა ქურიძე

სარედაქციო კოლეგია:

- ხ. ახვლედიანი, ნ. გვარიშვილი, გ. ფარშანიძე (პ/მგ. მდივანი),
- პ. ლორია, ალ. ჩავლევიშვილი, ფრ. ხალვაში.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, გოგებაშვილის ქ. № 24.

ტელეფონები: რედაქტორის — 33-71, პ/მგ. მდივანის — 33-72.

## ფრიდონ ხალვაში

ხ მ ა

ხმები სერავენ ზღვასა და ჰაერს,  
 ხევებს, მთა-ბარს და სივრცეს ავსებენ  
 და ბუნებაში გვიღებენ კარებს  
 ჩვენ, მწვერვალისკენ მავალ მთამსვლელებს.  
 ხმებით ივსება ეზო თუ ოდა  
 და ურუანტელი უვლის გარემოს.  
 მე სურვილები ასეთი მქონდა:  
 ხმები მესუნთქა, როგორც ჰაერი.  
 ხმებად მხარჯავდა, მანიავებდა  
 სიცოცხლე შლეგი და ხელგაშლილი  
 და საკუთარი ხმა მხარში მედგა,  
 ვით საკუთარი ალალი შვილი.  
 მე მიყვარს ხმათა დახარისხება:  
 ზოგი ხმა ჰგავდა ბნელ სიმყუდროვეს,  
 მაგრამ ზოგი ხმით ზეცა იხსნება  
 და თვალში ლამაზ ვარსკვლავს მიტოვებს.  
 ზოგი ხმა იწვის და ფერფლად ცვივა  
 და ალარავის ელიან სახლში,  
 ზოგი ხმა, როგორც ნასროლი ტყვია,  
 წივილით კვდება და ტოვებს ნახშირს.  
 მე მინდა ის ხმა, თავად რომ მეძებს,  
 მოვა, ჩადგება სულში, ვით რთველი,  
 ადამიანზე, ცაზე თუ ხეზე  
 უკეთეს სიტყვის ვიქნები მთქმელი.

მე თუ ვიღიმი, ვიღიმი თქვენთვის,  
აბა ვინ ხედავს საკუთარ ღიმილს,  
სახეებიდან კეთილი კეთილ  
ერთვის და გულიც ხალისით ღვივის.  
ნუ შეაჩერებთ მოწოლილ ღიმილს,  
უვავილებს გაშლას ნუ აუკრძალავთ,  
შენიო შემოდის სინათლე დილის,  
ღიმილო, ჩემი სიცოცხლის ძალავ!  
ზოგჯერ ცხოვრება გვაწვება მძიმედ,  
დღეებს გავყურებო, ვით მეტეორებს...  
მაშინ ერთმანეთს თუ გავულიმებოთ,  
ჩვენ ვეხმარებით ერთიმეორეს.  
მაშ, გავანათოთ ღიმილი იმით,  
სხვა სიყვარულით რაზედაც ფიქრობს  
და გაზაფხულის უვავილებივით  
ჩვენ ერთმანეთის ღიმილი ვკრიფოთ.

## ეს დღევანდელი ხევბი კურნავდეს!

ვნახავ აჭარის ტაძრებს, ციხეებს  
და მსურს ვიტირო, ვიტირო დიდხანს.  
ფრესკებზე ვარჩევ ნაცნობ სახეებს  
და მინდა ქვამაც რაღაცა მითხრას.  
სხალთის ტაძარს რომ მწუხარე ვუმზერ  
და თავს გუმბათი მხურავს მთავარი,  
მე ტკივილივით მაწვება გულზე  
გამოჭვარტლული მისი თავანი.  
როცა დანდალოს ხიდით გასული  
მე რვაასი წლის კიბით ავივლი,  
ძველი კედლიდან ცოცხალი სურო  
ხელს გამომიწვდის თამარქალივით.  
ზოგიერთ ტკივილს ძველსა და უგრძნობს  
მე თან ვატარებ, როგორც საკუთარს,  
მე ვხვდები ტაძარს არა ვით უცნობს,  
არამედ ვინაც კაცად მაკურთხა.  
თვითეულ ქვაზე წვეთი სისხლია,

თვითეულ ხეში — სული წინაპრის,  
ყვავილები კი სხივებს ისკრიან.  
მათი თვალების ჩამქრალ სინათლით.  
გალვიძებულო სხალთის ტაძარო,  
მაგ სამასი წლით ნაწყენ გუმბათებს  
ეს დღევანდელი სიტყვის ხანძარი,  
ეს დღევანდელი ხმები კურნავდეს!

## ხიდი ზოროხევე

კვირადღეს მიყვარს ჭოროხის ხიდი:  
გავალ, მორევზე ბადეს დავაფენ.  
წამომეწევა ქარწვიმა ფინთი,  
შევეყუდრები ნაპირზე ღაფნებს.  
იქიდან ისევ დავაკვირდები  
ხიდს, მდინარეზე ფეხგაბიჯებულს,  
გადმომხელავენ კლარჯეთის მთები,  
როგორც ნაცნობი სოფლის ბიჭები.  
წამოვალ სველი და ფეხშიშველა,  
წყალს დავუბრუნებ ცოცხალ კალმახებს.  
სადღაც იბლავლებს ხარი გიშერა,  
შეაკანკალებს შიშით ბალახებს.  
გლეხის ბუხრიდან კვამლი ადგება,  
მომესალმება ლაზი ძენავე.  
თუ კი არაფრის ძალუძი გაეება,  
ხიდქვეშ ტალღები რატომ ლელავენ?  
ხიდს სივრცეების სტიქია ართობს,  
მწველი წყურვილი შორი კიდისა  
და ძველებურად ბეჭებგამართულს  
მკლავზე უდვია ისევ დიდი გზა.



## წოდება ძირქებები

### მამის ღლიური

ჩემს სამუშაო მაგიდაზე კიდეებშემოცვეთილი, გაყვითლებული რვეული დევს.

რვეული საქმაოდ სქელია და გარედან გაკრული ხელით აწერია: „დღიურები“.

ეს მამის დღიურებია და მე თვალისჩინივით ვუვლი და ვუფრთხილდები მას. ომიდან დაბრუნების მესამე წლისთავზე გარდაიცვალა მამა. იგი მძიმე ჭრილობებს ემსხვერპლა.

ვინ იცის, რამდენჯერ ამიღია ხელში ეს რვეული, რამდენჯერ წამიკი-თხავს დრო-უამისაგან ფერნაცვალი დღიურები, რომელთაგან ერთი მაინც განსაკუთრებულია. ის ისიც...

„1945 წ. 23 იცლისი.

ომიდან ვბრუნდებოდი. ადრე დილით ჩამოვედი მშობლიურ ქალაქში. ავტობუსის ბილეთი ივიღე და ზღვის სანაპიროზე გავედი. ლურჯად ლივ-ლივებდა წყლის უსაზღვრო სივრცე. წივილით დაპქროლნენ ნავსაღგურში თოლიები. სანაპიროს ნელა ეხლებოდნენ პაწია ტალღები.

უკან გამოვბრუნდა.

ავტობუსის ვიწრო სარკმლიდან გავცემოდი ხუთი წლის უნახავ არე-მიდამოს.

საშუალდეოზე აწეულ მზეს ავყევი სოფელში.

ნელა მივაბიჭებდი. მიჭირდა დალმართზე სიარული. ძლივს მიმქონდა  
არც თუ ისე მძიმე ზურგჩანთა. მტეხდა ნაიარევი სხეული.

ცხელონდა. ხვითქად გადმომდიოდა ოფლი და მიწვავდა კისერს, თვალი-  
ებს, სახეს. როგორც იქნა, წყარომდე მივაღწიე. ზურგჩანთა ფრთხილად  
დავდე მიწაზე და ყინულივით ცივ წყალს ხარბად დავეწაფე. მთელ სხე-  
ულში სასიამოვნო სიგრილემ დამიარა. წყურვილი რომ მოვიკალი, ისევ  
განვაგრძე გზა.

რაც უფრო ვუახლოვდებოდი ჩემს ეზო-კარმიდამოს, მით უფრო ვითრე-  
ვდი ფეხს. როგორ გამოვჩენილიყავი ჩემი დაჩეხილ-დასერილი სახით დე-  
დაჩემთან, ჩემს ქეთინოსთან, ჩვენს პატარასთან, რომელიც ახლა,  
ალბათ, უკვე დიდი ბიჭია.

ჭიშკართან სიმღერის ხმამ შემაჩერა. დედაჩემს კალთაში ჩემი ექვსი  
წლის ბიჭუნა ეჭდა. ეალერსებოდა და მღეროდა...

მერე სიმღერა შეწყდა. შვილიშვილმა ბებიას ჰქითხა:

— ბებო, რომ ამბობდი, მამა მალე დაბრუნდებაო, მართლა მალე და-  
ბრუნდება?

— მალე, შვილო, სულ მალე.

— სად არის მამა, ბებია?


— ომში, შვილო.


— ომში? — ბიჭუნა წამით ჩაფიქრდა, მერე იკითხა:— ბებო, რა არის  
ომი?

მეტს ვეღარ გავუძელი. ჭიშკარი შევალე და ეზოში ნელი ნაბიჯით შევე-  
დი. დედამ შემომხედა და გაფიტრდა. მერე წამოიჭრა და მომვარდა. მისმა  
ცრემლებმა სახე დამისველა. ჩემი ალერსით რომ გული იჯერა, ატირე-  
ბულ შვილიშვილს მიუბრუნდა და მიუალერსა. საოცრად თბილი ხმა ჰქო-  
და დედას...“

და მე დღესაც მახსოვს, გარკვევით მახსოვს ის, რაც მაშინ ბებიაჩემმა  
მითხრა:

— ქარგად შეხედე და დაიხსომე, შვილო, აი ეს არის ომი!





## იაკობ გელია

### სად ხართ ნეტავი....

მე არ ვიცოდი, რა იყო ძმობა,  
 ან ამხანაგი, ან მეგობარი,  
 მე არ ვიცოდი, რა იყო გრძნობა,  
 ცრემლი, ღიმილი და ცოდვა-ბრალი.  
 მე არ ვიცოდი, რა იყო სითბო,  
 მზის ბრწყინვალება, მზის მცუნვარება.  
 მე არ ვიცოდი, სიმწარე, სიტებო,  
 ქვეყნად ხმაური თუ მდუმარება.  
 მე არ ვიცოდი, რა იყო ჩრდილი,  
 ცვრიან ბალაბზი ფეხშიშვლად გავლა.  
 მე არ ვიცოდი, თუ ყოველ ღილით  
 რად მაღვიძებდა ფაქიზად მამა.  
 და აი, ერთ დღეს შევიგრძნე ყველა  
 და შევიგრძნობდი ყველაფერს ვიდრე, —  
 შევიცან გული და გულის ღელვამ  
 გამაცნო ქვეყნად ყველა სიმდიდრე.  
 და ამ სიმდიდრეს დავთობდი გულით,  
 კვლავ რომ მეხილა ფრონტელი ძმები.  
 მე სიყვარული როცა ვისწავლე,  
 იმათი ხილვა ვეღარ შევძელი.  
 ოჰ, ჩემი ყრმობის კეთილო ძმებო,  
 გულის ცეცხლი მაქვს ჩაუკეტავი...  
 მე ახლა ვიცი რა არის ძმობა,  
 მაგრამ, თქვენ სად ხართ, სად ხართ ნეტავი!

## დამა ჭისევილში

თოვს, თოვს და, როგორც უამრავ ისრებს,  
 ქარი ჭალაში ფანტავს ფანტელებს  
 და მეწისქვილის მახლობლად ისევ  
 მე ზამთრის ღამეს ტკბილად ვათენებ.  
 აქ ყველაფერი უბრალო არი,  
 მოაგორებენ ვეება კუნძებს,  
 აგიზგიზდება კერაზე ალი  
 და სიტყვის ნავსიც გატყდება უცებ.  
 კაცი ამბების ტყვე რომ გახდები,  
 რაღას დაგაკლებს ქარი ოხერი,  
 კედელზე თეთრი ყაბალახები  
 ჰყიდია ისე, როგორც ხოხები.  
 ბერკაცებს აგერ დიდი ტომრებით  
 მოუტანიათ ძეველი ამბები.  
 ჭრაქი კუთხეში განმარტოებით  
 თითქოს სულს ღაფავს აცახცახებით...  
 და მახსენდება მუდამ ამგვარად  
 ჩემი წისქვილი გესაოცარი,  
 აქ სიტყვის სიტყბო და სიტყვის ძალა  
 ხორბლის სურნელის მსგავსად ვიცანი  
 და შევიყვარე მე წმინდა გულით,  
 ვით ლუკმა პური და სულის საზრდო  
 და ცხოვრებაში ეგ სიყვარული  
 მე მიმაჩნია ყველაზე სანდოლ.  
 თოვს, თოვს და, როგორც უამრავ ისრებს,  
 ქარი ჭალაში ფანტავს ფანტელებს  
 და მეწისქვილის მახლობლად ისევ  
 მე ზამთრის ღამეს ტკბილად ვათენებ.



## ჯემალ ქათაგაძე

### ზღვის სიუვარული

მე დავიბადე ზღვის პირას,  
ზღვასთან დავიდგი კარავი.  
ზღვის სიყვარული ჩემსავით  
არ შეუძლია არავის.  
ზღვაზე გავშალე ბავშვობის  
და სიყვარულის აფრები  
და მოვისმინე ზღვისაგან  
ყველაზე ტკბილი ზღაპრები.  
ზღვამ გამომტაცა ბავშვობა  
და დაამსხვრია, ვით ნავი...  
მე ზღვასთან მაინც ვიყავი  
ყოველთვის გაურიყავი.

ზღვამ სიჭაბუკეც მომტაცა  
და მიაყარა ციც ჰილეს...  
ზღვამ შემასწავლა ღელვა და  
ზღვამ შემასწავლა სიმშეიდე.  
ზღვის ტალღებს, როგორც,  
მეგობარს,  
მე მივენდობი სრულადა.  
ზღვა სიმღერადაც მეყოფა  
და კიდეც სიყვარულადა.  
მე დავიბადე ზღვის პირას,  
ზღვასთან დავიდგი კარავი.  
ზღვის სიყვარული ჩემსავით  
არ შეუძლია არავის.

მზე იყო თბილი და პალმა  
ათამაშებდა მარაოს.  
ტკბილად გეტყოდი: — მიყვარხარ,  
ცივად მეტყოდი: — არაო!

შენს ხვეწნაში და ლოდინში,  
წლები გაფრინდა ჩქაროთ.  
ახლა შენ ამბობ: — მიყვარხარ,  
მაგრამ მე ვამბობ: — არაო!



## მოთა როყვა

### ყველას გული დაგვაწყდა

გადაშეყდა — არდადეგებს სოფელში გავატარებ.

უნდა გენახათ, როგორ გაიხარეს ბიძაშვილებმა, როცა ჩვენმა მანქანამ ბიძაჩემის ეზოს მიაყვირა. ყველანი შინ იყვნენ. ჩემი უმცროსი ბიძაშვილი მარინე ჩვენს შესახვედრად გამოიქცა და სიხარულისაგან სიცილი აუტყდა. დათუნამ და ნუგზარმა მოზვერი, რომელიც საბალახოდ მიჰყავდათ, ეზოში მიატოვეს და ჩვენთან მოირჩინეს.

— ყოჩალ, ჯუმბერ! — შემომეგება ბიძაჩემი. — ალბათ, ისევ შენ ივაუკაცე, თორემ ჩემს ძმასა და რძალს ალარ უნდათ სოფელი... ეს ქვიშეთიო, ეს ბორჯომიო, კისლოვოდსკი და ბაკურიანი! დაიკარგონ აქედან! რძესა და თაფლს არ მოგაკლებ, ბიძიკო, და ჰაერი ხომ არის და არის! აქაურობას რომელი ბორჯომი შეეღრძება!

ბიცოლაჩემს არ უყვარს ბევრი ლაპარაკი და მოფერება. ისე, ჩუმი და მოსიყვარულე ჭალია. — შენი ჭირიმე, შვილო, ნეტა სკოლაშიც აქ შეხვიდოდე! გადარეული არიან ჩემი ბალნები შენი სიყვარულით, — მითხრა და შუბლზე მაკოცა.

დაიწყო ჩვეულებრივი სოფლის დღეები. საქმე კი მეორდებოდა: ბიცოლაჩემი ჩაიში, ბიძა — საფუტკრეში ან ყანაში, ჩვენ — ხან იქით, ხან აქეთ... მაგრამ მოსაწყენი ერთი დღეც არ გათენებულა. მე ვიცოდი, მდინარეზე წასვლა მოგვიწევდა და ანკესები წამოვიდე. ისიც ვიცოდი, ბიძაშვილებს ტყავის ბურთი ჰქონდათ და კამერებიც ჩამოვიტანე. ჭალაში სტადიონი მოვაწყვეთ. სათამაშოდ მთელი უბნის ბიჭები გროვდებოდნენ და იყო ერთი უვილ-ხივილი. ანკესი, ბურთი, მდინარეში ბანაობა — ამას რომელი ბორჯომი შეეღრძებოდა!

ჭალაში მთელი უბნის ბავშვები დაგვხვდა. მარინეს გაევრცელებისა  
ხმა, ხვალ ბურთის თამაში იქნებაო... მართლაც გატურებული თამაში გა-  
იძართა. სრული შემადგენლობით ვთამაშობდით — არც მესხი გვაკლდა,  
არც მეტრეველი, ოლონდ კოტრიკაძე ვერ იყო ფორმაში, ბურთის კარში  
დარტყმისას მინდონზე წვებოდა. ბურთი კი ყოველთვის ტანზე გადაუს-  
ლიდა. რამდენიც დაგვირტყეს — ყველა გაიტანეს... ჩვენი კაპიტანი ნუგ-  
ზარი სულ ცემით ემუქრებოდა, „გაგასიებ. შე გაბერილო! რომ წვები,  
დადექი, იქნებ ბურთი ტანზე მოგხვდეს და უკან დაბრუნდესო!“ მაგრაც  
შემცვლელი არავინ გვყავდა და მუქარა რას უშველიდა! პირველ ტაიმში  
ოცდარვა ბურთი გაგვატანეს!

— სულ არ გვინდა მეკარე! — იყვირა ვიღაცამ.

პირველი ტაიმი დამთავრდა, მაგრამ მეორე აღარ შემდგარა. თუნ-  
დაც შემდგარიყო, ამდენ ბურთის რა გაქვითავდა! დალიალი ფეხბურთე-  
ლები იქით-აქეთ დაცვივდნენ ჩრდილში. დათუნა სადღაც სიმინდებში  
გაძერა და ის იყო, მეორე ტაიმი უნდა დაწყებულიყო, როცა მოვარდა და  
იყვირა: არიქა, ბიჭებო, ვიღაც თალღითს ჭიშკარი ღიად დაუტოვებია,  
ძროხები შემოსულან და მინერალურ სასუქს ლოკავენ, დაწყდებიანო!  
ავირიეთ. „მეცელეს დაგუძახოთ, სად არის მეცელე“, ატყდა ყიუინა. მეცე-  
ლეს ანთიმოზი რქმევია და ყველამ ერთად დაიგუგუნა:

— ანთიმოზ ბიძიაა! ააანთო-მოზ ბიძიაა! ძროხებია ყანაში, ძროხე-  
ბიიი! — შენც არ მომიჯვდე, ანთიმოზის ჩაპიჩუმიც არ ისმოდა. მერე ისევ  
გაიმეორეს: — მეცელე ბიძიაა! ძროხებმა შეცამეს ყანა, საღა ხარ, სააღ?

უცებ ვიღაც თოფიანმა მდინარესთან ცხენი მოაჭენა და გამოვგახასა:

— რა ვინდათ, ძალლის ლეკვებო!

— ანთიმოზ ბიძია, — დაიწყო დათუნამ. — საქონელია შემოსული,  
აგრე სასუქი დაუყრიათ, მას ლოკავენ და დაწყდებიან ძროხები...

— ოჰ, თქვენც თან მიუვებოდეთ, დავისვენებ! — გამოსცა პასუხი  
მეცელემ.

— ბატონო, რომ გაგაგებინეთ, გვევინა კარგი ვქენით, ლანძლვას რას.  
გვემართლებით!

— ჭიშკარს ღიად თქვენ ტოვებთ და მერე მეცელეს აღვიძებთ! —  
გაცხარდა ანთიმოზი.

— როგორ თუ ჩვენ ვტოვებთ! — იუკადრისა დათუნამ. — ჩვენ თუ  
დავტოვებდით, შენ რაღად გაგაგებინებდით!

— უკაცრიავად ვართ, მარა ვეძინა, ბიძია? — დაუძახა მარინემ.  
ატყდა ხარხარი.

— სად წახვალოთ ახლა, თქვე მამაძალლებო! — არ ცხრებოდა მეცელე.  
— შემომისიეთ ხომ საქონელი! ხომ აიკელით მთელი ქვეყანა თქვენი ბუ-

როთი! ხომ დაქციეთ აქაურობა!.. მაცალეთ, ან მე ვიქნები, ან თქვენი

ამ ჭალაში!

— რატომ, ბიძია, ყველანი დავეტევით! — გასძახა ვიღაცამ.

— თუ გეხარბებათ, მოდით, ბურთი თქვენც ითამაშეთ, — წინადა-დება მისცა ნუგზარმა, — მოდით, იქნებ მეკარედ გამოგვადგე.

— გაჩუმდი, ბიჭო! — აფრთხილებს მარინე.

— ამ თოფს ხედავთ? — გვანიშნებს მდინარესთან მოსული მეველე- მარილითაა გატენილი. ახლავე მოუსვით აქედან, თვარა ვაი მისი დღე, ვისაც ეს მარილი მოუწევს, კივი ხმით აკივლებს.

— აგაშენა ღმერთმა, ბიძია!... კიტრები გვაქვს წამოლებული და მა- რილი დაგვავიწყდა. სადილად რომ დავჯდებით, კიტრებს ხელში დავიკ- ვებო და მაშინ გვესროლე! — გასძახა დათუნამ.

— დატოვეთ აქაურობა, მე თქვენ გელაპარაკებით, არ დაგლანდოთ ჩემმა თვალებმა აქ ჩამოსული! — აყვირდა მეველე, მაგრამ ბოლოს მა- ინც ჩვენ შეგვეხვეწა, არიქა, ბიჭებო, მომეხმარეთ, გავრეკოთ ეს საქო- ნელიო!...

ჰო, მეორე ტამი აღარ შემდგარა. მერე, სოფლის ბიჭები რომ წა- ვიდ-წამოვიდნენ, ძროხები მდინარეში შევრეკეთ წყლის დასალევად, გავ- ბანეთ, ამოვედით და აკაციების ხევანში სადილო გავმართეთ. ნასადი- ლევს ჭილოფი გავშალეთ, წამოვწექით და დავისვენეთ.

მალე თევზაობაც დავიწყეთ და პირველი თევზი მარინეს ანკესჩე წამოეგო. გოგო სიხარულისაგან კინალამ მდინარეში გადახტა. არ გასულა დიდი ხანი და მან მეორე თევზიც ამოიყვანა. კარგა მოზრდილი წვერა იყო!

— ფუი ეშმაკ! — იძახდა დათუნა, — ახლა საქმეა ეს?! თევზო, შენ დაგიდგეს თვალი, ჩემს ანკესჩე მოზვიდე, რა იქნება!

ნუგზარმა-იყვირა: რაღაცა უშველებელი მექაჩება, ლამის არის ანკე- სი წამართვას!

— ნუ ხუმრობ, — უთხრა დათუნამ, — თევზი არ დამიფრთხო!

— არ დაგიფრთხო, ოორემ არ გესეოდნენ ერთბაშად! — აი, თევზი, კალმახი! — თქვა ნუგზარმა და წყლიდან უშველებელი თევზი ამოათრია, მაგრამ ნაპირზე ამოღებას არ ჩქარობდა, — შეხედეთ, რა თევზია! აი, ასე უნდა თევზაობა, ისწავლეთ ჩემგან! — ამბობდა და ანკესი ნელ-ნელა ამოპქონდა. თევზი კი ფართხალებდა. — ნუ ცახცახებ, თევზო, ხომ იცი, ვერსად წამიხვალ? — მაგრამ მოხდა საოცრება! თევზი ანკესს მოძვრა და წყალში ტყაბანი მოადინა: კარგად იყავი, ჩემო ნუგზარო!..

იმდენი ვიცინეთ, ერთი ფული თევზის დაჭერას სჭობდა.

— ასე იცის ტრაბახობამ! — თქვა დათუნამ, — თევზს ნაპირზე რომ ამოიყვან, დაჭერილად მერე ჩათვალე.

— ბიჭო, ნუგზარა, რა თევზი იყო თუ იცი, წვერა თუ კალმახი?

- მოიცათ, მოვა კიდევ! — თავს ინუგეშებს წელმოცარული.  
 მოდი, თევზო, მოდი, შე შეჩენებულ!
- მოულოდნელად თავს ბაბუა ექვთიმე წამოგვადგა.
- ჯვარი აქაურობას, თევზაობთ?
- რას წუხდებოდით, ბაბუა ექვთიმე, ძროხას ჩვენც წამოგიყვანდით!
- რა ვიცი, გადარეული საქონელია და ყანებში რომ გაგებულ ვაწვალდებით!
- რა ვიცი! მშვენივრად იბალახა, წყალიც დავალევინეთ.
- პო, ვნახე, — თქვა ექვთიმემ, — კარგად უბალახია... რად გინდა, ძროხა შეიძინეთო, გვეუბნებიან. მარა საძოვრებს აღარ ტოვებენ, შემოლობებს ყველაფერი... სად წავიდეს საქონელი? რა ჭამოს?
- მერე მოხუცი ჩვენი საქმით დაინტერესდა:
- თევზი არის თუ?
- არის ცოტა!
- სტუმარმა მეოცევზემ თუ დაიჭირა რამე? — მოიკითხა ჩემი წარმატება.
- დაიჭირს, რა აჩქარებს, თევზები ნელ-ნელა მოლიან!...
- სადღა იქნება თევზი, სულ რომ ლალუმებს უბათქუნებენ! — გულისტკივილით ამბობს მოხუცი, — მდინარე აღულებულია დინამიტებით...
- ლალუმის სროლა ხომ აკრძალულია! — ვთქვი მე.
- აკრძალული კია, მარა...
- უცებ, ჩვენგან ცოტა დაშორებით, შუა მდინარიდან წყალი ჰაერში შხვილით იაჭრა, ასე, ნაძვის ხე გეგონებოდათ და... მერე ისეთი გავარდა, კინალამ მდინარეში ვისკუცე
- ოი, დაგექცა ოჯახი, გაგიხა ხელი და მხარი! — გაპილპილდა მოხუცი, — ველურები!... პატრონი არა გყავთ და!..
- ხომ გავთავდი შიშით! — თქვა ნუგზარმა.
- ხომ გააღვიძეს მეველე! — იხუმრა მარინემ.
- იმასაც დაექცეს ოჯახი! — გაცხარდა ექვთიმე. — მეოვალყურეობა მას ევალება, მარა შეამხანგებულია მაგ ვირებთან!..
- წყალში ოთხი კაცი გადაეშვა და მოკლული თევზების დაჭირას შეუდგა.
- მოდით, წაგართვათ ტანსაცმელი! — თქვა დათუნამ.
- გაგლახავენ, თვარა კარგს იზამთ ნამეტანს! — ისევ ცხარობს მოხუცი, — დაიჭირე თევზი ანკენით, ბადით... ლალუმით რატომ უნდა მოსპო!
- ექვთიმე ბაბუა, წავალ, ტანსაცმელს წავარომევ, — ერთი ვისეიროთ!...



— გაჩუმდი, ბიჭო, დაგეწევიან და ცემით ვაგბერავენ! — აფრიკული ლებს მარინე დათუნძს.

— აბა, ფხიზლად იყავით და თვალი მაღევნეთ! — გადაწყვიტა და-თუნამ და მდინარეში გადავარდა. არც შემინიშნავს ტანზე როდის გაიხადა. მელალუმენი ისევ თევზებს დასდევდნენ... თევზები გამოჰქონდათ და ნაპირზე ყრიდნენ, მერე ისევ წყალში შედიოდნენ. მათ ტანსაცმელს კი ამ დროს დათუნა უახლოვდებოდა... ის იყო დათუნამ ტანსაცმელი აკრიფა, რომ უცებ ზევიდან მანქანის ხმა გაისმა...

შეცდნენ მელალუმენი, მანქანას დააყურადეს, არ მოეწონათ... იწყეს წყლიდან ამოსვლა. ტანზე ხომ უნდა ჩაეცვათ, მაგრამ ტანსაცმელი უკვე შორს იყო. ისინი ქვევით ჩამოჰყოლოდნენ მდინარეს.

მანქანა კი თანდათან ახლოვდებოდა, ერთი წუთიც და ყანებიდან „ვილისი“ გამოიჭრა... პირდაპირ ლალუმის ხასროლი ადგილისაკენ აიღო გეზი. წყლიდან ამოსული მელალუმენი ტანსაცმლისაკენ გარბოლნენ, მაგრამ მანქანა რომ წამოეფეთათ, მიმართულება შეიცვალეს და მთელი ძალით მოჰკურცხლეს. ჩვენ სიცილი აგვიტყდა. ისინი რომ იქნეთ გარბოლნენ, აქეთ დათუნა გამორბოდა მათი ტანსაცმლით. როცა ჩვენს პირდაპირ მოვიდა და მდინარეში უნდა შემოსულიყო, დათუნა მანქანიდან შენიშნეს. ალბათ, იფიქრეს, ესეც ერთი იმათვანიან და მანქანა მთელი სიქარით მისკენ გამოაქანეს. თანაც სიგნალს აძლევდნენ — შეჩერდიო! დათუნას ეგონა, მელალუმენი მომდევენო და წყალში შემოვარდა. წყალი ჯერ წელამდე წვდებოდა. დათუნას რომ დაუპირდაპირდა, მანქანა შეჩერდა და და მილიციელი გადმოხტა.

— ახლავე დაბრუნდი უკან, შენ გელაპარაკებიან! — გაისმა მილიციელის ხმა.

დათუნას უკან არც კი მოუხედავს, უცვე შუამდინარეს გამოცილებული იყო.

— დაბრუნდი, თორემ გესვრი! — იარაღზე გაივლო ხელი მილიციელმა.

— რას ჰქვია, ესვრი, — რომელი ხარ შენ!! — მთელი ხმით გასძახა ექვთიმე ბაბუამ. — ვის ესვრი?

მარინემ ტირილი დაიწყო:

— არა, ბიძია, ლალუმი მაგას არ უსროლია!

მილიციელმა ახლა ჩვენ მოგვაპყრო მზერა...

— თქვენ ვინა ხართ მანდ! — გამოგვახა და იარაღი შეინახა.

— ვინ ვიქნებით, ხალხი ვართ! — გასძახა ისევ ექვთიმე ბაბუამ.

მილიციელი მანქანასთან მიბრუნდა, შოფერს რაღაც უთხრა, მერე ტანთ გაიხადა და მდინარეში შემოვიდა.



— სულერთია, ტანსაცმელს ვერ მიიღებ, — თქვა სამშვიდობის განკუთხა.

— ხომ გითხარი, ბიჭი, დაანებე თავი-მეტქი! — ტირის მარინე, — ახლა ლალუმის სროლასაც შენ დაგაბრალებე!

— რა თარსი დღეა! — თქვა ნუგზარმა, — დაჭირილი თევზი გამექცა, მეველებ უანაში ტროხების შემოშვება ჩვენ დაგვაბრალა, ახლა რა გასაკვირია, თუ ეს კაციც ლალუმის სროლას დაგწამებს და თავს მიღიცაში ამოგვაყოფინებს!..

— ძროხებს ვინ წიყვანს შინ? — დარღობს მარინე.

— აცალე, გამოვიდეს, — დინგად ამბობს მოხუცი, — საშიში არაფერია.

ნახევრად შიშველი მილიციელი კი უკვე ჩვენთანაა. ყველას გამომცდელი თვალით გვიყურებს. ექვთიმეს დანახვა გაუკვირდა.

— შენც ამათთან ხარ?

— ჩემი ხნის კაცს შენობით არ ელაპარაკებიან!

— აბა, როგორ გინდა! — ცხარობს მილიციელი, — ამ ხნის კაცი აყოლილხარ ბავშვებს და მდრინარეში ლალუმებს აფერქებთ!

ესლა გვაკლდა!

— ოჲ, შენს გამოძიებულ საქმეს რა ვუთხრა მე! — გაცეცხლდა მოხუცი, — ორ შეგიძლია ჯერ გაიგო და მერე ილაპარაკო?

მილიციელი უცებ მოლბა.

— აბა, ვინ ისროლა ლალუმი? — უკვე სხვა ხმით იკითხა მან.

ჩვენ ავუსსენით, როგორც იყო. გაეცინა.

— ვინ დაგიჯერებთ ახლა მაგ ზღაპარს! მასე ფიქრობთ თავის დაძრენას?

— ა, ბატონო, ჩვენი ანკესები! — ვუთხარი მე, — თუ ლალუმის სროლას ვაპირებდით, ანკესებს რაღად ავიკიდებდით!

— დალანგროს ეშმაქა, — თქვა მან, — ხანდახან ისე გავბოროტდები, ყველა დამნაშავე მგონია! ბოლიში, ამხანავებო! ჩვენი ვალია ვიღვეთ კანონის სადარაჯოზე!...

— იდექი მერე, ბიძია, ვინ გიშლის! — ეუბნება მოხუცი.

— მაშ, ეს ტანსაცმელი ეკუთვნის მიმალულ დამნაშავეებს, არა?

— კი, ბატონო!

მილიციელმა ტანსაცმელი გადააწყო.

— შენი საღლაა? — მაინც ეჭვის თვალით შეხედა დათუნას.

— ჩემი აი ეგერ! — მიუთითა მან.

— ყოჩაღ, ყოჩაღ! — ამბობს მოთვინიერებული, — სამაგალითო

ხალხი ყოფილხართ! აბა, ერთი ვნახოთ — ვინ არის ეს ყალთაბანდები.

საქართველო  
სისულისთვის

და ჯიბეები გაღმოაქოთა...  
შენც არ მომიკვდე! — არავითარი საბუთი! უბრალო ქალალდი რაა,  
ისიც არ აღმოაჩნდათ.

— კარგი გაიძვერები ყოფილან! — ამბობს მილიციელი, — ალბათ, გველოდნენ და ვითომ კვალი არ დატოვეს.... სულელები! ამ ტანსაცმლით ცხრა მთას იქით მოვნახავთ!

— თუ მონახავთ და კარგად შეახურებთ, ნამეტან კას იზამთ! — ეუბნება ექვთიმე ბაბუა.

მილიციელმა ტანსაცმელი დახვია, ქარაი შემოუჭირა და დათუნას უთხრა:

— შენთან მაღლობელი ვარ... წამოდი მანქანასთან, შენი სახელი დავიწერო.

— მე კი ოქვენი სახელი მინდა ვიცოდე, — უთხრა დათუნამ. მილიციელმა თქვა თავისი ვინაობა. დათუნამაც უთხრა თავისი.

— იარონ ახლა შიშვლებმა გადარეულებივით! — თქვა მილიციელმა და ტანსაცმელი მხარზე გადაიკიდა. — თქვენთან ბოდიში, მოხუცო, ცოტა უხეშად მოგმართეთ!...

— არა უშავს! — უთხრა ექვთიმემ, — მარა ახლა თევზი რომ მოგცენ, მაი ტანსაცმელი არ მისცე!

— მოცემა რად მინდა, თევზს ისედაც წავიღებ! — თქვა მილიციელმა და წვიდა.

ჩვენ განვაგრძეთ თევზაობა. მარინემ ანკესი ექვთიმეს დაუთმო. გახალისდა მოხუცი. ანკესი მდინარეში ჩაუშვა და თევზის წამოგების მოლოდინში ფეხის წვერებზე იდგა. მაგრამ რას იზამ, თევზი ახლოსაც არ მოეკარა. ჩვენ ჩვენ ვიჟავით, მაგრამ ექვთიმეს გაწბილებას ვერ ვიტანდი. ძალიან მინდოდა, თუნდაც ერთი თევზი გამოჩენილიყო და ის ერთიც ვქვთიმეს ანკესს წამოგებოდა.

— გიჟი არ იყო! — ბუზღუნებდა ექვთიმე ბაბუა, — სადღაა თევზი, ხომ ხედავ, ამოწყვიტეს!

ყველას გული დაგვწყდა. ექვთიმე ბაბუასთან თევზაობა ჩვენთვის დიდი სიხარული იქნებოდა!

10.441

## ჯემალ ჯაფარი

### კ ა ხ ა ბ რ ი ს ვ ი ლ ი

...აქედან მოჩანს მთაგრეხილის ზვიაღი ბეჭი!  
 (და მაგონდება კახაბერი, ფიცხი მხარგრძელი,  
 სპარსეთის დესპანს ყბაში რომ სოხლიშა.  
 და მიკვირს მაინც, უთამაროდ როგორ გავძელით,  
 ამდენ ხანს მაინც ურუსთველოდ როგორ გავძელით...)

კახაბრის ველი!  
 აქედან ოდეს უფრენიათ შიკრიკი მისირს —  
 „იენი ხაბერი,  
 უთხარით სულთანს,  
 რომ აღსრულდა სურვილი მისი  
 და საღოღედ გვაქვს კახაბერი!“

შიკრიკი შეიპყრო ჩემმა პაპისპაპაშ.  
 ბედი, გზა და ხმალი წამსვე გაუღუნა.  
 მოსდგა, თახსირები თხარა და კაფა  
 და...  
 ასე გავიდა სამი საუკუნე.

კახაბრის ველი!  
 ახლა არის დაულეველი  
 ძმობის და ძმების საღოღე და სამარათონო.  
 მოვიდნენ ახლა:

თამარ,  
შოთა,  
ქახა,  
მხარგრძელი, —  
და სამასპინძლოდ მოგელიან, ჩემო ბატონო.

## დავდივარ რწმენით და მოლოდინით...

დავდივარ რწმენით და მოლოდინით,  
რომ ჩვენი ძმობა პარნასზე ავა.  
აქ ცის ნამია რთველის ოდენა  
და სავსე, როგორც ფერების გამშა.  
აქ ნაქებია პური ოდითვე,  
მიწა, სიტყვა და ოჯახის მამა.  
დავდივარ რწმენით და მოლოდინით,  
რომ საქართველო პარნასზე ავა.

\* \* \*


მომეცით უფრო დიდი მწვერვალი —  
საფრთხო არ მყოფნის ახლა ბარადა.  
მომეცით უფრო დიდი მწვერვალი  
და თოვლის გუნდას ვაქცევ ზვავადა!  
მომეცით!..  
მაგრამ რა უნდა მომცეთ...  
ვაჰმე, რაც უნდა იდგეს დარები, —  
მოვკვდები, ალბათ, არწივმა ბორცვებს  
რომ მიაშენოს საბუდარები.

\* \* \*

მექახი,  
მე კი არა მცალია,  
მოუცლელობას ატანა უნდა.  
მექახი, მე კი არა მცალია,  
ამელამ ვრჩები საკუთარ გულთან.  
მექახი...  
მაგრამ თუ კი მოვედი,  
იმხელა გულის მოვიტან წარლვნას...  
საითაც უნდა ბრუნავდეს ბედი,  
ქვეყანა მაინც ტრიალებს წალმა!

## მიზიდან ამორბის ია...

მიწიდან ამორბის ია.  
 მიწიდან ამორბის პური.  
 მიწას დედაი ჰქვია,  
 დედამ არ იცის შური.  
 დედა — ეს არის სიცოცხლე,  
 დედა აროდეს კვდება.  
 მიწამ არ იცის სიკვდილი,  
 მიწა სიცოცხლეს კვებავს.  
 დედავ — მაღლო და ძირო,  
 ამოაზავთე სიცოცხლე.  
 მიწავ, მაღლო და ძირო,  
 ამოაზავთე სიცოცხლე.  
 უფრო დიდი და მაღალი,  
 ვიდრე რამ მზისოდენი.  
 მკერდზე მუდამაც გენთოს  
 ამხელა მზის ორდენი...



## პარმენ ლორია

### გზა, ფარდურით გაკვლეული

ჭერეხზე ჩაყუჩული ბაყაყები უეცრად დაფრთხნენ, ერთბაშად წამოი-  
შალნენ და ტყაპა-ტყუპით მორევში გადაეშვნენ.

ცოტა ხანი და მდინარესთან უცნობი მგზავრი მოვიდა. კალთებშემო-  
ხრუკულ ნაბადოსხმულს, გახუნებული ქეჩის ქუდი ეხურა; ცალ ხელში  
გრძელი ჭოხი ეჭირა, მეორეში — სიძველისაგან შელახული ფანდური.

მდინარესთან წამით შეჩერდა, ხელმოჩრდილებით გახედა იქითა მხა-  
რეს, გადმოყუდებული მთები შეათვალიერა და წყალში შესტოპა.

ფონი თხელი იყო, მაგრამ წყალი ცივი და ძლიერი. ნაპირზე გასვლა-  
მდე რამდენიმეჯერ წაიფორხილა და მიმართულება შეიცვალა, მაგრამ  
მშვიდობიანად გაინაპირა და თავისუფლად ამოისუნთქა.

მუხლებამდე დასველებულს, შალის პაიჭ-წინდებიდან წყალი წურწუ-  
რით ჩამოსდიოდა და ქალამნებს ჭყაპა-ჭყუპი გაპერნდა.

აქ მგზავრმა ნაბადი მოიხადა, მახლობელ ჩირგვზე მიაფინა, ლოდზე  
ჩამოჯდა, წინდა-პაიჭები გაიხადა, გაწურა, ქალამნები ნეშოთი გმოამშრა-  
ლა, კვლავ ჩაიცვა, წამოდგა, თხის ტყავის ქეჩხო, ზურგზე რომ მოეგდო,  
შეისწორა, ნაბადი მოისხა და ამგზავრდა.

ხევში დილის ბურუსი იდგა. მტრედისფრად მოსარკულ ცას მეწამუ-  
ლი ფერი ეძალებოდა.

ახალმოფხიზლებული მგალობლები, თვითინი ბუდის მახლობლად  
ტოტებზე შემომსხდარნი, საამური ხმით ართობდნენ ახალდაჩეკილ ბარ-  
ტყებს; მათი სტვენა-ჭიჭიკი ხევში მოჩერიალე მდინარესთან გაშლილ  
მდელოებს ედებოდა.

უცნობი არ მოუხიბლავს ბუნების ამ სილამაზეს, არც ფრინველების

ჭიქურებულობისათვის მიუქცევია უფრადლება, არც გასავლელი გზაში მოწმებია, ისე შეპყვა სერჩე მიმავალ ბილიკს და მალე დაბურულ ტუში გაუჩინარდა.

აღმოსავლეთი თანდათან ამოწითლდა და მალე მოელვარე მზე ამოკაშვაშია. ქვეყანა მოტხიზლდა, გამოცოცხლდა და სული მოითქვა.

ნაბადმოსხმული მგზავრი ახლა გამოვიდა ტყის საფარიდან და ტიალ ფერდობზე დაგრეხილ ბილიკს ნელი ნაბიჯით გაჰყვა. მის თვალშინ სულ ნასხვა სანახაობა გადაიშალა: მახლობელი სოფლებიდან გამორევილი ნახირი საძოვრებისაკენ მიიჩქაროდა, მწყემსი ბიჭები, კომბლებით ხელში, უკან მისდევნენ და უივილ-ხივილით იქაურობას აყრუებდნენ.

მათ დანახვაზე უცნობი შეჩერდა. ქამარში გარჭობილი სალამური ამოიღო და სამური ხმით აკვენეს-ამდერა.

მწყემსმა ბიჭებმა ნახირი ქოფაკებს მიანდეს და სალამურიან მგზავრს მიაშურეს.

მგზავრმა სალამური ქამარში გაირჭო და ბიჭებს გადახედა:

— სალამი, ყმაწვილებო!

— ალეიქუმ სალამ!

— გაგიმარჯოს!

სხვადასხვა ენაზე შეაგებეს ახალგაზრდებმა.

— საით მიხვალ აქით?

— დაუკარ კიდევ შენი ჭიბონი!

— ჭიბონი კი არა. სტვირია, ჭოვ! — შეუსწორა პირველმა. — ხომ

მართალს ვამბობ?

— სალამურია, ყმაწვილო, სალამური. — აუსსნა მგზავრმა.

— რაც არის არის. დაუკარ კიდევ.

— ჰო, დაუკარი. იქნებ სიმღერაც იცი?! — ერთმანეთს არ აცლიდნენ ახალგაზრდები.

— სალამურზე როგორ ვიმღერო?! თუ სიმღერა გსურთ, ის ფანდურს ავახმიანებ! — და მგზავრმა ფანდური მოიმარჯვა, მაგრამ ამ დროს ბუჩქებიდან სამი შეიარაღებული კაცი გამოიჭრა.

— ვინ ხაჩ? აქ როგორ გაჩნდი? — ფანდური ხელიდან გამოსტაცა ერთმა მათვანმა, რომელიც სხვებზე მაღალი და უხნევი ჩანდა.

— მეჭიბონეა, ჩაუშ ეფენდი. — უცნობის მავივრად მიუგო ახალგაზრდა მწყემსმა, რომელსაც უველაზე გრძელი კომბალი ეჭირა.

— ხასან, მოდი აქ! — ბუჩქებისკენ მიიხედა ჩაუშმა და, როცა შესთან შავგვრემანი ახალგაზრდა მივიღა და სამხედრო წესით გამოეჭიმა. უბრძანა: — ჰეითხე ვინ არის? საიდან მოდის, ვისთან აქვს ბინა!

ხასანმა უფროსის ნათქვამი გადასცა უცნობს.

— ჩემი გზა-კვალი რა მაგის საძებარია! ვინცა ვარ, ისა ვარ; სადაც ვი-

ვდივარ, იქ დავბარგდები. მომცეს ფანდური! — შეწრიალდა და შეწუხა-  
და მგზავრი.

— მაგას ვუჩვენებთ თაგვების სოროს! — გაწყრა უფროსი. — საზ-  
ღვარზე როგორ გადმოაბიჯა?

— დუნიას საზღვარი ვინ დაუდვა და დაუდგინა? — არ შედრკა მგზა-  
ვრი და მოშვებული წვერ-ულვაში გაიქექა. — მომცეს ფანდური! — უფ-  
როსისაკენ წაიწია ის.

— ერთი ამას დამისხდეთ, როგორი ბრძენი ვინმე ბრძანებულა! —  
თქვა უფროსმა. — გაჩხრიყეთ!

ხელქვეითებმა განკარგულება შეასრულეს: ერთმა ნაბადი მოხადა,  
შეორებ ქეჩხო და ჯიბეები გადმოუტრიალა.

ჯიბეები ცარიელი აღმოჩნდა, ქეჩხოში — ცივი მჭადის ნატეხი და  
ორიოდე ცალი ნიორი.

— ამაში რა გაქვს? — შარვლის გამობერილ უბეზე მიუთითა ჩაუშმა.

— ამაში? — ბრიყვივით გაიღია მგზავრმა. — აქ ყველაფერი რიგ-  
ზეა. — სწრაფად ხვანჯარი შეიხსნა და შარვალი ჩაიხადა.

— დონლუზ! — გაბრაზდა უფროსი. — გიაური ყოფილა. ახლავე ას-  
წიე შარვალი.

უცნობმა ბრძანება უყოყმანოდ შეასრულა.

— ბეჩია ოხერ-ტიალი! — გაელიმა უფროსს. — ან ჩვენთან იბეჩებს  
თავს, რომ თავისი მზაყვრული განზრახვა დაფაროს... ხასან, პკითხე რის-  
თვის გადმოვიდა საზღვარზე?

— გაიგე? რისთვის გადმოდი იქითა მხრიდან? — უფროსის ნათქვა-  
მი გადაუთარგმნა ხასანმა.

— ამ დუნიაზე მუდამ ასე დავიარები. — მიუგო უცნობმა. — მომცეს  
ფანდური! შარვალი სულ ასე ხომ არ უნდა მეკავოს, ფანდური ჩემია,  
ჩემი...

— დელი ყოფილა! — სიბრალულით შეხედეს მწყემსებმა უცნობს.

— რუსების ჯაშუში ხარ? — თვალებში ჩახედა უფროსმა უცნობს.

— ჰო.

— ავი განზრახვით შემოპარული?

— ჰო.

— საღალატოდ და ასაოხრებლად?

— ჰო. — ახითხითდა მეფანდურე. — მომეცი ფანდური! დაუუკრავ,  
ბიჭებს მოვალენ! შენ თუ ისურვებ, აი სალამურს მოგცემ... თორმეტ ხმა-  
ზე უკრავს თავისით.

— ნამდვილად ბრიყვი და სულელია, ჩაუშ ეფენდი. — ჩაულაპარა-  
კა ხასანმა უფროსს.

— ასე გგონია? რუსების ჯაშუში რომ გამოდგეს?

— გურჯია, რუსებს სამსახურს რაზე გაუწევს, ჩაუშ ეფენდი?



— გურჯია. გურჯია. — ზედიზედ გაიმეორა უფროსმა. — დღე შეუცველებელი თარჯიში ლა გურჯი რუსის მომხრეა... აქაურებიც კი... არა, შენზე არ ვამბობ... აქაურებშიც ბევრი უჭერს მხარს რუსებსა და გიაურ გურჯებს.

— ვერ დავიწერებ. — ლოყები შეუფერადდა ახალგაზრდა თარჯიშანს. — ჩვენები ისლამისა და სულთნის მორწმუნე და ერთგული არიან.

— მაგრამ გურჯი გურჯია და არდასანდობი. — კერპობდა თურქი ჩაუში. — თუ ალაპმა ინება და საგურჯისტანო რუსებს ავართვით, გურჯებს კარგი დღე არ დაადგებათ.

ხასანს წყენა დაეტყო, მაგრამ ხმა არ ამოულია.

— ვაჲ, ეს რა ოხერი ვინმე ყოფილა! — ადულდა მეფანდურე. — მომე ფანდური, ჩემი ფანდური მომე, თორქემ შენს უფროსს ვეახლები და... დაშტი დარაბა, დამხტი დარაბა. — დაოვივით აჯიგჯიგდა იგი და ჩაუშის წინ წრე შემოავლო.

უფროსმა ერთხანს უცემრა უცნაურ გლახაკს და შემდეგ თარჯიშანს მიუბრუნდა:

— რას იტყვი, ხასან?

— ბრიყვი, გლახაკი და სულელია, ჩაუშ ეფენდი. — მიუგო ხასანმა.

— არ ლირს, იუზბაშს რომ მივვაროთ?

— მეც ასე ვფიქრობ.

— ეი, შენ! აჲა, შენი ფანდური! მაგრამ იცოდე, კარგი რამეები უნდა უმღერო ბიჭებს. — და ჩაუშმა უცნობს ფანდური მიუგდო.

— აი საღოლ, აი საღოლ! — აჯიგჯიგდა მეფანდურე და ფანდურს ხელი დასტაცა.

— დაუკარ, დაუკარ! — ახლა მწყემსებმა შემორკალეს იგი და ფანდურის დაკვრა-დამღერება სთხოვეს.

გლახაგმა ფანდური მოიმარჯვა, სიმებზე თითები აათამაშა და აღმოსავლური ბაიათი წამოიწყო. ქართულს სომხური სიტყვები მოაყოლა, სომხურს — ირანული, ირანულს — თურქული და ისე მოხერხებულად ჩააქსოვა ერთმანეთში, რომ მუსიკალურ გემოვნებას მოკლებული თურქი ჩაუშიც კი მოიხიბლა.

— ეს იუზბაშაც მოეწონება! — ჩაილაპარაკა მან, თავისიანები გაიყოლია და საგუშაგოების შესამოწმებლად წავიდა.

მწყემსებმა თავისუფლება იგრძნეს და მეფანდურესთან ერთად წაუმღერეს. შემდეგ უცნობი თან გაიყოლიეს და კარგი საუზმით გაუმასპინძლდნენ.

შეორე დღეს გლახაკი მეფანდურე ერთ სოფელში, მეჩეთის ახლოს, შემოკრებილ მლოცველებს შორის იჯდა და თავისი ტებილი ხმით იქ მყოფთ ართობდა.

მესამე დღეს მეორე სოფელში სამუშაოდ გასულ გლეხებში იღვა და სალამურს აკვნესებდა.

ყველგან და ყველა სოფელში სასურველი სტუმარი იყო გლახავი მე-  
ფანდურე. ყველგან სიამოვნებით იღებდნენ მას და კარგად უმასპინძლდე-  
ბდნენ. ერთ სოფელში ცნობილი მეჭიბონე-მომღერალიც მოიწვიეს და  
ამ ახირებულ მეფანდურეს შეაჯიბრეს. გამარჯვებული უცნობი მეფანდუ-  
რე გამოვიდა. ეს თვით ცნობილმა მეჭიბონემაც აღიარა და გამარჯვე-  
ბულს შუბლზე აკოცა.

— გიჯობნია, ძიავ, გიჯობნია! — უთხრა მან და მეტოქის ვინაობით  
დაინტერესდა: საიდან ნარ, სად მიდიხარ, ვინ გყავს ნაცნობი და მეგობარი,  
პატრონი და მიმხედავიო, მაგრამ...

უცნობმა უცნობად შემოინახა თავი — არც ვინაობა გაამხილა, არც მე-  
გობრები და ნაცნობები, არც სადაურობა დაასახელა:

— ერთი კაცი ვარ, კაცადშობილი, ცისქვეშ დავდივარ და ვიკვებები.  
მოკეთები ყველგან ბევრი მყავს, უკეთურებს კი არ ვეკარები. ჩემი სა-  
უდი ეს ქვეყანა, ჩემი გზა-ევალი — გამოიცნობია.

„ბევრი აკლიაო“, — გაიტიქრა განთქმულმა მეჭიბონემ და სინანული  
გამოთქვა, ასეთი კარგი ხმის მქონე ადამიანი, ასე რომ დაუჩაგრავს ბუნებას.

გლახავი მეფანდურე-მომღერლის ამბავი სოფლიდან სოფელს გადადი-  
ოდა და მალე მთელ კუთხეს მოედო. ჩადრში გახვეული და შუდამ შინ გა-  
მოქეტილი დედაკაცებიც კი დაინტერესდნენ ამ უცნობი მომღერლის ლექ-  
სობითა და შაირობით. მოზარდი თაობა და ახალგაზრდები ხომ სულ იმაზე  
ლაპარაკობდნენ, ერთი სოფლიდან მეორემდე მიაცილებდნენ და გზადაგზა  
შარბაოთა და ტკბილეულით უმასპინძლდებოდნენ. მოხუცები ბეჭითად  
უგდებდნენ უზრს ფანდურზე დამღერებულ ლექსებს და რატომდაც წამ-  
დაუწუმ ახვრავდნენ.

— ცოდვაა, ძიავ, ძასეთი კაცი, ძალიან ცოდვა. — იბრალებდა ზოგი.  
— ცოტა ჭკუა რომ გააჩნდეს, ხორავით აივსებდა ოჯახს ამ ხმის პატრონი.

— მოლამ რომ უკითხოს, ესაშველება! — ამტკიცებდა მეორე. — ბევ-  
რი გადელებული მოურჩენია იუნუს მოლას.

— ეს დელი კი არა, ბრიყვი და სულელია. ასეთების მორჩენა მოციქუ-  
ლსაც არ შეუძლია. — შენიშნავდა მესამე.

— მაგრამ ისეთი ლექსები და შაირები რომ უსწავლია?

— პაწიობისას დაისწავლიდა. პაწიობისას ნასწავლი ლექსი სიბერეში-  
აც ჩაჰვება კაცსო, ნათქვამია.

ერთხელ ერთ ოჯახში ღამის გასათევად დარჩენილი მეფანდურე უგუ-  
ნებოდ გახდა. მასპინძლებმა შენიშნეს და მიზეზი ჰკითხეს.

— აი ეს. — თავზე დაიდო ხელი სტუმარმა. — ავსული შემოპარულა  
და სტვირს უკრავს.

მასპინძლებმა ერთმანეთს გადახედეს.

— მოლა მევლუდს რომ ვაკითხვინოთ? — თქვა ერთმა. — არგებს.



— ელბეთ უშველის. — თქვა ოჯახის უფროსმა მოხუცმა. — გადაწყვეტილი სისახლის მოვიდეს და ქითაბიც მოიყოლის.

მოლა მევლუდი მალე მოვიდა, მაგრამ ქითაბი არ მოუტანია. სამაგისო კითხვა ზეპირად ვიციო, თქვა და პაციენტს გვერდით მიუჭდა.

— გიშველი, ძიავ, გიშველი. — თავზე დაადო ხელი მან ავადმყოფს და აჩურჩულდა:

სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა...

ავსული შემოეჩია სათიბისა ბოლოსაო,

ასე ჭამდა რენასაო, როგორც ხარი თივასაო,

გაუწყრა წმინდა ვიორგი, გაიძარა დილასაო...

ორჯერ რომ ჩაბუღლბულა ეს ლოცვა, ვადმყოფმა შეაჩერა, უკვე მიშველა, მომისდომ, მაგრამ მოლამ აუხსნა, ეს შელოცვა წინაპრებისაგან მოდის და სამჯერ უნდა ითქვასო.

— ყველაფერი რომ ჭარგი ცოდნითა იმ ბედნიერებს! — ჩილაპარაკა კერასთან მიფიცხვებულმა მოხუცმა და მრავალჯერ განაგონი სიტყვები გაიმეორა: „სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა...“ ალაპ, დიდ არს შენი წყალობა. იფარვიდე მაჰმადის სარწმუნოებას ურჯულოების შემოსევისაგან!

მეორე დილით განკურნებული მეფინდურე ფეხშიშველა ბავშვების თანხლებით მახლობელი სოფლისაკენ მიდიოდა და თავის საყვარელ ლექ-სებს მიიმღეროდა.

\* \* \*

შერიფ-ბეგ ხიძშიაშვილმა ის იყო გააცილა სტამბოლიდან მოსული სულთნის მოციქული და სასახლეში შევიდა, რომ მას ერთ-ერთი ქვეგანა-ყოფის მეთაური, ახალგაზრდა ხირხანელი ყმაწვილი ეახლა და მიახსენა, თურქი ასკერები თვითნებურად შედიან სოფლებში, გლეხებს უკანასკნელ საზრდოს ართმევენ, სამუშაოდ ძალად მიერეკებიან და თვეობით აღარ უშვებენო.

— მერედა, თქვენ რას უყურებთ? --- განრისხდა მბრძანებელი. — რამდენჯერ მითქვამს, სოფლებში წოწიალის ნებას ნუ მისცემთ-მეტქი!

— საზღვრები მათ აბარიათ, ახლო სოფლებსაც ისინი ფლობენ! — ჰე-დრა ჭაბუკმა. — თითო-ორთოლა ჩვენიანი თუ მიჰყავთ, ისიც მხოლოდ თარ-ჯიმნად, ან მეგზურად.

— მაგასაც მალე გუშველი და მოვუღებ ბოლოს! — მტკიცედ თქვა ბეგმა და ახალგაზრდა მეთაური შეათვალიერა.

— თუ ეს კუთხე ჩვენ გვაბარია, საზღვრის დამცველადაც არ ვიქნებით მათზე ურიგო... — შეუთამამდა ახალგაზრდა. — წინაზე გურიელებს საზ-ღვარზე პირუტყვი გადმოპაროდათ, გადასარეკად მწყემსებიც გადმოჰყ-ლოდათ. შეუტყვეს, პირუტყვი წაართვეს, მწყემსები კი ნაცემ-ნაბეგვნი-

საზღვარს იქით გაათრიეს და ხევში ჩაყარეს. მის შემდეგ როგორი გული გადასცემის გამოსახულია

ლი ექნებათ ჩვენზე?!

— მაშ, როგორ ფიქრობ, საზღვრის დამრღვევი დაუსჯელი უნდა წავიდეს! — შემოსწყრა ბეგი.

— მაპატიეთ, მაგრამ სასჯელი თქვენგან უნდა მიიღოს ბოროტმოქმედმა და არა რომელიმე რიგითი მეთაურისაგან... თქვენი ბრძანება კანონია და ჩვენი ვალია შევასრულოთ იგი. გაგიბედავთ და მოგახსენებთ, რომ ჩვენი ინტენსიური არღვევენ იმათ საზღვარს და...

— ჩვენი ინტენსიური არღვევენ საზღვარს?! ეს როგორ, ეს რისთვის?! — აერთო ბეგი. — აბა, რომელი ბრიუვი გაბედავს იქითა მხარეს გადავიდეს და აქაური ამბავი გადაიტანოს?! მიპასუხე, რომელი ბრიუვი გაბედავს ამას?!

— მოყვასისა და ნათესავის დარღი და სიყვარული უფრო დიდ საჭმე-საც გააბედვინებს გაჭირვებულ კაცს... დიდო მბრძანებელო, საქართველო-ში ბევრი ხისიმი და მოკეთე ჰყავს ჩვენებურ კაცს... მაპატიეთ, ამას რომ ვბედავ, მაგრამ... — ჭაბუქმა გულზე ხელი დაიკრიფა და თავი დაპხარა.

— გადი! მეორეხელ არ გავიგონო შენგან ამგვარი რამ! — შერბილებული მრისხანებით უთხრა ბეგმა და წასვლა ანიშნა.

ახალგაზრდამ მოკრძალებით დაუკრა თავი და გავიდა.

— ჩემი ხალხის სურვილი გამიმუღავნა. — ჩილაპარაკა ბეგმა ახალგაზრდა მეთაურის წასვლის შემდეგ და განიერ ტახტზე ფეხმორობით დაეშვა.

დღეს გუნებაზე ვერ იყო ხიმშიაშვილი. არასასიამოვნო ამბავი მოუტანა სულთნის მოგზავნილმა. პირდაპირ ვერ გაბედა, მაგრამ გადაკრული სიტყვით აკრძნობინა, რომ სტამბოლი არ არის მაღლიერი შერიფ-ბეგის საჭმიანობით. სულთანი მაინც დამატანც არ უყურებს ხიმშიაშვილებს კეთილი თვალით, მაგრამ თუ ამ კუთხის მმართველად და ფაშად ჰყავს, ეს უფრო ადგილობრივი პირობების ვამო. აქაური მოსახლეობა არ მიღებდა შერბელ მმართველს, ვერც უცხო მმართველი შესძლებდა ამ ამაყი ხალხის დამორჩილებას. ამიტომ ითმენდა აქაური ბეგების თვითნებობას თურქეთის მბრძანებელი. ნელ-ნელა და თანდათანობით აცლიდა მათ ხელიდან ქვეყნის მართვის უფლებებს. საზღვრის დაცვის გაძლიერების მიზნით შემოჰყავდა უცხო ჭარის ნაწილები და სასაზღვრო სოფლებში აბანაკებდა...

— გასაგებია. — თავის თავს გაესაუბრა ბეგი. — აქვთ საბაბი ეჭვიანობის. — და წინაპრები გაიხსენა: სელიმ-ბეგ ხიმშიაშვილი, მუდამ რომ თურქეთის წინააღმდეგ ამხედრებდა აჭარისა და შავშეთ-ერუშეთის მოსახლეობას, მისი ბალიში მისებრ დაუდეგარი ახალგაზრდა სელიმი, ყველაზე უფრო ურჩი და დაუდეგარი ქორ-ხუსეინ-ბეგი, რომელიც რამდენიმეჯერ ეურჩა სულთანს და მის მიერ გამოგზავნილი დამსჯელი რაზმები ამოხოცა. მართალია, ბოლოს მაინც ჩავარდა ღალატის საშუალებით და თავი მოკვეთეს, მაგრამ ამ სასჯელს ოდნავადაც არ დაუფრთხია ხიმშიაშვილები.

შერიფ-ბეგს სხვა ამბებიც ბევრი მოგონდა, მაგრამ წარსულზე უფრო დღევანდელ ვითარებაში არას არგებს. ახლა სხვა ხერხი და საშუალებაა საჭირო. პირველ ყოვლისა, როგორმე სულთნის ნდობა უნდა დაიმსახუროს, ესვები გაუფანტოს, გული მოუბრუნოს და შემდეგ...

მსახურმა მუსტაფა ქუამალ-ოლლის მოსვლა აცნობა და ბეგი ფიქრებიდან გამოიყვანა.

— მობრძანდეს! — უთხრა მსახურს და უდროოდ მოსული სტუმრის მისალებად მოემზადა.

დარბაზში შუახნის ტანდაბალი სქელი კაცი შემოვიდა. შორიდან მოკრძალებული სალამი მისცა ამ კუთხის მბრძანებელს და გულხელდაკრეფით დადგა.

— როგორ გიყითხოთ, მუსტაფა-ეფენდი? რა ამბები ჩამოგვიტანეთ სტამბოლიდან? — წამოიწია ბეგი. — დაბრძანდით!

— მეტისმეტად კმაყოფილი ვარ, შერიფ-ბეგ, პირადად სულთანთან მქონდა საუბარი. თქვენზე ბევრი კარგი რამ მითხრა. რუსებთან ომის შემთხვევაში შავშელა-აჭარელი ბეგების იმედი მაქვსო. ძალუნ აქებს ჩვენებს. მეც იმდენი რამე დამავალა, რომ... — ალაპარაკდა სტუმარი და უფრო ახლო დადგა.

— ალბათ, შესრულების პირობაც მიეცი? — შეათვალიერა ბეგმა სტუმარი.

— რასაკვირველია. ბევრი საინტერესო ცნობა შევკრიბე. ამ დღეებში ვაცირებ სტამბოლს წასვლას... ცუდ რამეს გვიპირებენ გურჯები...

— გურჯები?! — შეაწყვეტინა ბეგმა. — გურჯები ხომ ...

— არა, ჩვენებზე არ მოგახსენებთ. ჩვენ რა საერთო გვაქვს გიაურებთან! თუ ადრინდელი გურჯის მოდგმის ვართ, ეს ხომ ჩვენ ბრალდ არ დაგვედება! დღეს მართლმორწმუნე მაჰმადიანებს რა საერთო გვაქვს ქრისტიანებთან! ხომ მართალს ვამბობ? — გამომცდელი თვალი შეავლო სტუმარმა ხიმშიაშვილს.

— მაგრამ მაინც გურჯებად გვთვლიან და ნაკლებად გვნდობენ! — ჩაურთო ბეგმა.

— ჩვენიანების ბრალია, დიდო ბატონი! — მიუახლოვდა მიწანს სტუმარი. — საქართველოში რუსების შემოსვლამ ბევრს აუცრუა გული თურქეთის მფარელობაზე. ზოგი ჩვენიანი მზად არის რჯული უარყოს და საქრისტიანო საქართველოში გადავიდეს.

— არა მგონია! — ნაწყენი კილოთი უთხრა ხიმშიაშვილმა. — ჩვენი კაცი სიტყვას და ძმობას არ უღიალატებს. შენ ხომ არა გაქვს რაიმე ცნობა, უფრო მართალი და ჭრებარიტი, ნათქვამის დასაღასტურებლად?

— მაგალითად? — ფერი ეცვალა სტუმარს.

— აი თუნდაც იმათ შესახებ, მზად რომ არიან რჯულზე და აღათზე  
აიღონ ხელი და საქრისტიანო საქართველოში გადავიდნენ. ხომ ვერ მეტ  
ყვი მათ ვინაობას?

ქუამალ-ოლლი შეფიქრიანდა:

— თქვენ თვითონ კარგად იცნობთ იმათ და მე რად უნდა გითხრათ. ხო-  
ლო თუ გსურთ ჩემი ნათქვამი ფაქტებით დაგიდასტუროთ, თანახმა ვარ.  
იქიდანაც ასე მაქვს დავალებული. ჩემს მიერ ჩატანილ ცნობას თქვენი  
დასტური უნდა ახლდეს. დღესაც იმიტომ გეახელით, რომ ეს დასტური  
მივიღო.

— მართლა? — თითქოს ესიამოვნა მასპინძელს.

— ვაჰლა და ბილ-აპი. — და მუსტაფაშ შეკრებილი საიდუმლო ცნობე-  
ბი გაუმულავნა ბეგს. ბევრი არასამედო და მოღალატე ვინმე დაუსახელა,  
ბევრი ქართველების მხარეზე გადასვლის მსურველი გააცნო და...

— თქვენთან წინასწარ იმიტომ შემოვიარე, რომ ჩამოთვლილ პირებზე  
თქვენც მოახსენოთ დიდებულ სულთანს და ამ კუთხის გადარჩენასთან  
ერთად თქვენი ღირსება და პატივი აღიმაღლოთ.

— მადლობელი ვარ! — თავი დაუქნია ბეგმა. — კიდევ რა ცნობა მი-  
გაქვს სულთანთან?

— მთავარი მოგახსენეთ. — გაულიმა სტუმარმა. — ზოგი რამ ისეთიც  
მიმაქვს... — არ დაასრულა სათქმელი მან. — ყოველ შემთხვევაში, საჭი-  
როა ჩვენი ხალხის გადასარჩენად.

— საინტერესოა. ვფიქრობ ასეთი რამეც უნდა ვიცოდე. — გაულიმა ბე-  
გმა და მოსასმენად განეწყო.

— ისეთი არაფერია... — უკან დახევა მოიწადინა სტუმარმა. — მე მინდა  
მოვახსენო დიდებულ სულთანს, რომ... მეტისმეტად თავხედობენ საზღვრის  
განაპიროს მცხოვრებლები, გურიიდან სტუმრებს ლებულობენ, იმათთანაც  
გადადიან-გადმოდიან, თურქ მესაზღვრე ასკერებს ატყუებენ და თვალებს  
უხვევენ...

— მერე?

— ქართველების და რუსის ჯარებსაც შემოგვიყვანენ და... დიდი სულ-  
თნის მფარველობაც გადაგვეცლება... ალაპ, გვფარვიდე ურჯულოების შე-  
მოსევისაგან.

— გასაგებია! — დაუდასტურა მასპინძელმა. — შენ როგორი რჩევა  
გსურს შემოგვთავაზო? იქნებ, უსულთანოდ მოვაგვაროთ ეს საკითხი და-  
საქმეს ვუშველოთ.

— ჩვენს ხალხს გადაიკიდებთ და არ არის კარგი. სულთნის განკარგუ-  
ლების შესრულებისათვის კი თქვენ არავინ დაგდებთ ბრალს.

— მაინც როგორი იქნება შენი რჩევა? — მოუთმენლობა დაეტყო შერ-  
იფ-ბეგს.

— ცყარონ და შიგა თურქეთში გასახლონ საზღვრისპირელი მცხოვრები შეღები.

— ჯერჯერობით საბაბი არ მაქვს, მასე მოვიქცე, თორემ სულთნის ბრძანების არ დავუცდიდი და დაუყოვნებლივ ავყრიდი ყველას.

— საბაბი? — მოცოცხლდა მუსტაფა. — რამდენიც გნებავთ დაგისახელებით მაგალითებს. — და ენამოლესილმა აღმ ბევრი საიდუმლოს ცოდნა გამოამჟღვნა. შერიფ-ბეგი ვერც კი წარმოიდგენდა, ამდენ საიდუმლო მასილას თუ შეკრებდა ეს გაიძვერა.

— ანლა ყველაფერი გასაგებია, — თქვა ბეგმა. — არ შემიძლია დიდი მაღლობა არ გითხრა ამ ღვაწლისათვის. საჩუქარი და ჭილდო ჩემზე იყოს. ჯერჯერობით ეს ათი ოქრო იქმარე. თუ სხვა ცნობების შეკრებასაც არ დაიზარებ... მაინტერესებს ქართველებისა და რუსების მომზრეთა და ხელ-შემწყობთა ვინაობის გაგება... რაც მალე იქნება, მით უკეთესი.

შუსტაფამ არც თუ ისე კმაყოფილმა ჩამოართვა ბეგს ათი ოქრო. ჯიბეში ჩაიღია და შემდეგ უპასუხა:

— სტამბოლიდან ორ თვეზე აღრე ვერ დავბრუნდები, შემდეგ კიდევ არზრუმში მომიხდება წასვლა. იქიდან რომ ჩამოვალ, მაშინ შევუდგები თქვენი ნაბრძანების შესრულებას.

— სტამბოლში რალად მიგეჩქარება, მუსტაფა-ეფენდი. — დაუტკა ბეგი. — რაც თან უნდა წაგელო, ჩვენთან ტოვებ. სულთანს კი მე მოვახსენებ ყველაფერს დაწვრილებით და შენს დამსახურებასაც არ დავივიწყებ.

შუსტაფას ეს წინადადება არ დაუჭდა: იქ ისეთი ამბები მიაქვს, რომ... არა. ჯველაფერს ხომ ვერ გაუმხელს ამ კუთხის მბრძანებელს. ათი ოქრო ძლიერს გაიმეტა. სულთნის კარზე კი შერიფ-ბეგის თვალთმაქცური საქციოელის გამდლაცნებისათვის თვალმარგალიტებით დატვირთვავენ.

— არა, სტამბულში წასვლის ვერ გადავდებ. — მტკიცედ უთხრა მან ბეგს. საუბარი დამთავრებულად მიიჩნია და წამოდგა. — ხირხანის გაღასა-ცვლელამდე თუ კაცს გამაყოლებთ...

— რახან ამალამ არ გსურს აქ დარჩე, შენი ნებაა. — და ბეგმა შინა-დაცვის რაზმის მეთაური გამოიძახა: — აბდულ, მუსტაფა ეფენდის გააცილებ ხირხანის მთამდე! — უბრძანა მან რაზმის უფროსს. — წაიყვან პირდაპირი გზით და საიმედოდ გაისტუმრებ. გასაგებია?! საიმედო და პირდაპირი გზით გაისტუმრებ!

— თქვენი ბრძანება შესრულებული იქნება, დიდო მბრძანებელო! — და დარბაზიდან გასულმა რაზმის უფროსმა მუსტაფა ქუამალ-ოლლი მორიდებით გაიყოლია.

\* \* \*

სოფელ სხალთაში მდინარის პირას ძველი ქართული ეკლესია დგას. ამ კუთხის დაპყრობისა და აქაურების მაჰმადიანად მოქცევის შემდეგ თურქე-

შმა ეკლესიის დანგრევა მოიწადინეს, მაგრამ მოსახლეობამ არ დაანიჭაა — ჩვენი წინაპრების აგებულია, მაგის ძალა და მადლი გვიფარავს და დასახა გრევად ვერ გავიმეტებთო.

მოსახლეობას ანგარიშს არავინ გაუწევდა, მაგრამ ეკლესიის დანგრევას აღილობრივი ბეგებიც ალუდგნენ წინ და ამდენა გავლენიანი პირების სურვილს დამცყრობლებმაც ანგარიში გაუწიეს.

გავა დრო და მოუვლელი შენობა თავისთვად დაინგრევაო, ფიქრობდნენ, მაგრამ დრო მართლაც გადიოდა, წლები წლებს მისდევდა, საუკუნემ მეორეს გადააბიჯა და ეკლესია არ ინგრეოდა. მოსახლეობა მას უვლიდა და უფრთხილდებოდა. შერიფ-ბეგის მითითებით იგი რამდენიმეჯერ შეაკეთეს. ხალხი მას სასწაულმოქმედად თვლიდა; როცა სნეულს მკითხავ-ექიმბაშები ვერ შველიდნენ, ავადმყოფის პატრონს იგი აქ მოჰყავდა, გრძელი თაფლის სანთელი მოჰქონდა, რომელსაც იქვე აანთებდა და მის დაწვამდე მუხლებზე დამდგარი ღმერთს ავადმყოფის შველას შესთხოვდა.

„სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა, ამინ!“, ბუტბუტებდნენ ისინი და ავადმყოფს თვალებში შეჰყურებდნენ, თუ უშველაო.

წელიწადში ერთხელ დღესასწაულსაც იხდიდნენ აქ. ახალგაზრდა მოზვერი მოჰყავდათ შესაწირავად და ეკლესის წინ კლავდნენ.

ახალგაზრდები თავისუფალ დროს აქ იკრიბებოდნენ და დაღამებამდე რჩებოდნენ.

იმ დღეს პარასკევი იყო — ჭუმა დღე. მოსახლეობა უქმობდა. მამაკაცები მეჩეთთან იკრიბებოდნენ, ხელ-ფეხს იბანდნენ და ლოცვად ღებოდნენ. ქალები ოჯახებში ფუსტუსებდნენ და პატარებს უვლიდნენ.

შერიფ-ბეგის სასახლეში უჩევეულო მყუდროება სუფევდა. ბეგი უგუნებოდ იყო, თავის ტკივილს უჩიოდა და ახლოს არავის იკარებდა.

დიდი ბატონის უგუნებობა მსახურებზეც მოქმედებდა; ყველას აწუხებდა მპრანებლის გონჯად ყოფნა.

ციებ-ცხელების მიზეზია, ამბობდა ზოგი. იმან იცის ხურება და თავის ტკივილი. ზოგის აზრით, ციებ-ცხელების მკურნალობა მოლა ზაბით-ეფენდიმ იცის, მაგრამ შერიფ-ბეგი მას კარგი თვალით არ უყურებსო.

— იქნება მუსტაფა ქუამალ-ოლლის დალუპვას დარდობს ბეგი. — ფიშტოსავით ისროლა ვიღაცამ.

— ელბეთ ასეა! — რამდენიმე ხმამ დაუმოწმა ნათქვამი უცნობს.

— სტამბოლს გაუმგზავრებია დავალებებით. — ახლა სხვა ჩაება საუბარში. — სულთანისათვის ძლვენი გაუტანებია.

— საფოშმანო საქმეა, ძიავ. — ჩაერია ლაპარაკში ჭალარა გლეხი. — იმ ადგილს ცხენიანი კაცი როგორ უნდა გადაჩეხილიყო!

— იქნება ძალად გადაჩეხა ვინმემ. გაცარცვა უნდოდა. — ივარაუდა ვიღაცამ.

— გაქუცა რომ ნდომოდათ, მკვდარსაც გაქუცავდენ. იმდენი აქო მიზნი

ქონდა თურმე. — თქვა ისევ მოხუცმა.

— მერე, ოქროები ჰად წაიღეს? — იკითხა ერთმა ჩობანობმ.

— ჯერ აქა აქვთ და მერე პატრონს ჩააბარებენ. კაი ყლაპია შვილები დარჩა იმ ოხერს.

— თვისი ხალხისა და კუთხის მოძულეს შაგნაირი სიკვდილი ეკუთვნის.

— მეორე ჯგუფში ამბობდა ერთი და მუსტაფა ქუამალ-ოღლს ცუდად იხ-სენიებდა. — ბოროტი სულის პატრონი კაცის დალუპვა და სიკვდილი და-სანანი არ არისო. — უმატებდა ნაოქვაში.

— ნუ ამბობ, მუსა! — წასჩურჩულა მეორემ. — შერიფ-ბეგმა რომ გაი-გონოს, გაჭოხვა არ აგშორდება... მუსტაფა მისი ხისიმი იყო.

— იმ დღეს საღამომდე მასთან საუბრობდა. — დაუმატა მეორემ.

შველაფერი ვარაუდზე და ჭორზე იყო აგებული: სინამდვილე რემა კაცმა იცოდა.

სინამდვილეში მუსტაფა ქუამალ-ოღლი შავშეთელი თუთაბერიძეების შთამომავალი იყო. მისი წინაპრები — სახელოვანი ქართველი პატრიოტები დიდხანს ეურჩებოდნენ სულთნის ხელისუფლებას, თურქეთის საწინააღმ-დევი შეთქმულებებს აწყობდნენ, ქართველობდნენ და ქართველობისათ-ვის თავს სწირავდნენ. ხიმშიაშვილებასა და მთ შორის იმ დროიდან დამყა-რდა კაშირი და მეგობრული ურთიერთობა. ხშირებშირად სტუმრობდნენ ერთმანეთს და საიდუმლო თათბირებსაც აწყობდნენ. ერთ ხანს მუსტაფაც მიჰყვებოდა წინაპრების კვალს, მაგრამ საქმარისი გახდა მისი სტამბოლში გასეირნება, იქაური პარამხანების გაცნობა, სასახლის კართან დაახლო-ება, სულთნის ბოძებული წყალობა და დაზვერვის აგენტების წასჩურჩუ-ლება, რომ იგი სავსებით გამოცვლილიყო და წინაპრების კეთილშობილუ-რი მიზნებისათვის ზურგი შეექცია.

საქართველოში რუსეთის ჯარების შემოსვლამ, საქართველოს დიდი ნა-წილის გათავისუფლებამ და აქარა-შავშეთ-ერუშეთის მოსახლეობის საქა-რთველოსთან შეერთების მიდრეკილებამ და სურვილმა თურქეთის ხელი-სუფლება იძულებული გახდა ამ კუთხეში განსაკუთრებული რეჟიმი დაემ-ყარებინა: მესაზღვრებად თურქი სამხედრო პირები გადმოიყვანა, აღგო-ლობრივი ბეგების გავლენის სფერო შეზღუდა, თავისი ჯაშუშები მოამრა-ვლა და რელიგიური აგიტაცია გააძლიერა.

იმ მრავალ ჯაშუშს შორის, რომლებიც ამ კუთხეში მუშაობდნენ. ყვე-ლაზე ნაყოფიერი მუსტაფა ქუამალ-ოღლი იყო. იგი ისე მალე დახელოვ-ნდა საიდუმლო მასალების შეკრებაში, ისეთი ნიჭი გამოიჩინა, რომ ბევრი დაეშილი მზვერავიც კი უკან მოიტოვა და სასახლის კარზე კარგად ცნო-ბილი გახდა.

შერიფ-ბეგი კარგა ხანს ვერ ამჩნევდა ამ თაღლითობას საიმედო წი-

ნაპრების შთამომავალს, ეხდობოდა, ერთხელ საქართველოს სასარგებლო  
სიტყვაც კი დასცდა მასთან, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ რომ ეს ნათელი  
ქვამი სულთნის მოციქულმა სიტყვა-სიტყვით გაუმეორა, მაშინ მისთვის  
მუსტაფას საქმიანობა გასაგები გახდა. მას შემდეგ ფრთხილობდა, ერიდე-  
ბოდა მასთან შეხვედრას, მაგრამ არასასიამოვნო სტუმრობისაგან დაზღვე-  
ული არ იყო. ამ კუთხის შემოვლის შემდეგ იგი თავისი არაბული ცენტრით  
უთუოდ აქაურ მზრდანებელს მოინახულებდა და მის განწყობილებას შეა-  
მოწმებდა.

იმ დღესაც ამავე მიზნით მოინახულა მან ხიმშიაშვილი. მაგრამ სტამ-  
ბოლში წასალები ამბავი ვერ დასტყუა. ხელმოცარული მაინც არ წასულა,  
ათი ოქრო გაიყოლია და ესეც საქმე იყო....

შერიფ-ბეგმა იგი გულთბილად გააცილა, მცველიც გააყოლა და  
გზა დაულოცა....

მაგრამ...

— პირდაპირი გზით საიმედოდ გავისტუმრეო, — მოახსენა მეორე დი-  
ლით ახალგაზრდა მხედარმა ბეგს და მის წინ თავი დახარა.

ბეგმა ხუთი ოქროთი დააჭილდოვა დავალების პირნათლად შემსრუ-  
ლებელი.

\* \* \*

ლოცვის დამთავრების შემდეგ ხალხი შერიფ-ბეგის სასახლის მახლობ-  
ლად მოედანზე შეგროვდა. ყოველ ჯუმა დღეს ასე სჩვეოდათ. მოიყრიდ-  
ნენ აქ თავს და სიმღერა-ცეკვა-თამაშს გააჩაღებდნენ. თუ ბეგი შინ და  
გუნებაზე იყო, ისიც გამოდიოდა და ერთობოდა, თუ არა და, შეკრებილე-  
ბი მაინც თავისას შვრებოდნენ.

დღეს დილიდანვე არ გამოჩენილა ბეგი და არც იცოდნენ რა გუნე-  
ბაზე იყო იგი, ესიამოვნებოდა თუ არა სეირობა, მაგრამ ეს გაუბედაობა  
მეჭიდონე მურადმა სძლია. გაბერილი ტყავის გუდა ამოიდო იღლიაში,  
ჩაბერა სტვირს და მამაპაპისეული საკრავი აზმუვლდა.

— გვიმღერე, გვიმღერე! — გარს შემოერტყნენ მურადს ახალგაზრ-  
დები.

მურადმა ერთხელ კიდევ შეავსო გუდა ჰაერით, ააზმუვლა და წამო-  
იწყო:

„ტაი, ტაი ტაფელა,  
ჩემო დაო ნათელა.  
თუ მიტაფო ქე მიტაფე,  
თორემ წიგნი დიმიწერე.  
წიგნი დიმიწერია,  
ძმისთვის გიმიგზავნია,

3 „ლატერატურული აქარა“, № 1.

ძმაი ატირებულა,  
დაი აკიფლებულა.  
საშველათ წამოსულან,  
ციხის კართან მოსულან,  
კარი დაულეშიათ,  
მტერი დაუძლევიათ,  
ძმა გამოუყვანიათ,  
სახლში წოლუყვანიათ“.

ამ ლექსის შინაარსი არავის ესმოდა, არც მთქმელმა იცოდა, რას ნიშნავდა იგი, ვინ გამოთქვა და ვისზე, მაგრამ მთქმელი და გამგონი მასში რაღაცა დიდ ამბავს ხედავდნენ: ციხეში გამომწყვდეული ვაჟკაცის წერილი ძმასთან, ძმისა და დის ტირილი და შეწუხება, შემდეგ ძმის მისაშველებლად წასვლა, ციხის კარების დამსხვრევა, მტერის დამარცხება, ძმის გათავისუფლება და გულში ჩაკვრა. ალბათ, ყველა თავისებურად ხვდებოდა ამ სიტყვებს და ამიტომაც სხვადასხვაგვარ გავლენას ახდენდა მათზე: მოსმენისას ზოგი იცრემლებოდა, ზოგი მხევდებოდა, ზოგს კი კმაყოფილად ელიმებოდა.

აქ რომ ამ ამბავში იყვნენ, ძველი ეკლესიის მახლობლად ახალგაზრდების კიდევ ერთი ჯგუფი გამოჩნდა. მათი გართობის მიზეზი გლახაკი მეფანდურე იყო, რომელსაც სოფელ-სოფელ ხეტიალით აქამდე მოეღწია.

— კიდევ, ძიავ, კიდევ! — ეხვეწებოდნენ მას ბიჭები და ახალდაკრეფილ ხილს სთავაზობდნენ.

მეფანდურე არ აწილებდა ახალგაზრდა მსმენელებს. ხან სახუმარო ლექსებს დაამლერებდა, ხან საგმიროსა და სარაინდოს. შემდეგ ახალგაზრდებმა იგი ნელა-ნელა გაიყოლიეს და მეჭიბონე მურადის ირგვლივ შემოკრებილ ხალხთან მიიყვანეს.

ხალხს ეუცხოვა გლახაკის გამოჩენა, თუმცა მისი ფანდურისა და სამური სიმლერის შესახებ ბევრს სმენოდა ზემოსოფლელებისაგან.

მურადს არ ესიამოვნა მეტოქის გამოჩენა, მაგრამ კეთილშობილური თავაზიანობა გამოიჩინა და ასპარეზი სტუმარ მომლერალს დაუთმო.

ხალხი შემჭიდროვდა. ყველა ამ გლახაკის სიმლერის მოსასმენად მოემზადა..

გლახაკი მეფანდურე უფრო დაუშნოებულიყო, ტანსაცმელი შემოგლეჭოდა, ქალამნებში თითები მოუჩანდა, წვერ-ულვაში ხომ სულ ერთიანად შეერთებოდა ერთმანეთს და მარტო თვალები და ცხვირი მოუჩანდა.

იგი მაინც მხენ და კმაყოფილი გამოიყურებოდა.

— გვიმლერე, ძიავ, მოგვასმენიე ერთი შენი ჭიბონი და სიმლერა. — არც თუ ისე დარწმუნებით უთხრა ერთმა იქ მყოფმა გლახაკს და თანაგრძნობისა და პატივისცემის ნიშნალ მეჭიბონე მურადს თვალი ჩაუკრა.

გლახაკმაც არ დააყოვნა. ფანდური მოიმარჯვა, რამდენჯერმე ჩემოჭ-  
ჭრა სიძებს, შემდეგ თანდათან ააქლერა და ბოლოს თვითონაც აჰყვნა.

„მოტაცებულ ძმას დავეძებ,  
დედის მკერდზე მოწყვეტილს,  
ვიპოვნი და წყლულს შევუხვევა;  
ცრემლს შევუშრობ მოდენილს,  
ლმერთო, შენი შველა მქონდეს,  
შენი ლოცვა თან მახლდეს,  
ძმა ვაძოვო, გულს ჩავეკრა,  
ჩვენი ძმობა განახლდეს..“

— სულ იმფერია, ჭოვ, შენ რომ მღერი. — გადახედა მეჭიბონეს ჩის-  
მა თაყვანისმცემელმა.

— მარა უკეთესია. — თავის ჩაქნევით ჩაილაპარაკა მურალმა. — და-  
კვრაც კაი ცოდნია, ხმაც კაი ჰქონია, შაირიც... ეჭ, აქ ჰად ისწავლი მასეთ  
შაირებს. — მეფანდურესთან მივიღა და მოეხვია. — დოუკარ, ძიავ, კი-  
დევ ერთხელ შენი ჩონგური.

— გვიმღერე! გვიმღერე! — წამოიძახეს ყოველი მხრიდან და უფრო  
და უფრო შეამჭიდროვეს წრე.

გლახაკმა მეორედ მომართა ფანდური, იგივე ჰანგი და სიმღერა  
გაიმეორა და ის იყო დაამთავრა, რომ სასახლის კარი გაიღო და შერიფ-  
ბეგი გამოჩნდა.

სამარისებური სიჩუმე ჩამოდგა. ბეგმა მიმოავლო თვალი იქ მყოფთ:

— მომგვარეთ აქ! — თითოთ მეფანდურეზე ანიშნა და სწრაფად სა-  
სახლეში შებრუნდა.

ბრძანება შესრულებულ იქნა. გლახაკი მეფანდურე ბეგის საბრძანე-  
ბელში შეიყვანეს.

— წახვალთ და ისეირებთ! — დარბაზიდან დაითხოვა ბეგმა ყველა  
იქ მყოფი და, როცა ისინი გავიღნენ, გლახაკ მეფანდურესთან მივიღა,  
თვალებში ჩახედა და გაიღიმა:

— კეთილი იყოს შენი მობრძანება ჩემს სასახლეში!

— იცოცხლოს და იდლეგრძელოს შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილმა. — მიუ-  
გო სტუმარმა და გადაეხვია.

გლახაკი მეფანდურე მესამე დღეს გავიდა ბეგის სასახლიდან, მაგრამ  
ისეთივე ჩამოგლეჭილ-ჩამოწეჭილი, როგორც შესვლისას იყო. ამან ყველა  
გააკვირვა: ასე შეუმოსავი რატომ გამოუშვა ბეგმაო.

\* \* \*

ვიწრო ოთახი თამბაქოს ბოლით იყო სავსე. საწერ მაგიდაზე ქალა-  
ლდები და უურნალ-გაზეთები ელაგა. მაგიდასთან სამი კაცი იჯდა. ერთი  
მათგანი ახალამობეჭდილ უურნალის გვერდებს ჩაჰკირკიტებდა და შემ-

ჩეულ კორექტურას ასწორებდა, მეორეს გაზეთი ეჭირა ხელში და დაბლა კითხულობდა. მესამე ფიქრებში გართული აქაურობას გამოთიშოდა.

კედლის საათი განაგრძობდა ტაკა-ტუკს და ისარს წუთებს ათვლევინებდა.

მიღიოდა დრო...

— დაიგვიანა. ძალიან დაიგვიანა! — საათს ახედა ფიქრებში გართულ მა კაცმა.

— დაგვიანებას ვინ ჩივის, რამე ხიფათს არ გადაპყროდეს! — გაზეთის კითხვას თავი მიანება მეორემ.

— ასეთი მისია სრულიადაც არ იყო მისი საქმე. — დაუმატა მესამემ.

— პატრიოტული გრძნობა, ჩემო ძმაო, პატრიოტული გრძნობა. — თქვა ისევ პირველმა. —

— პოდა, მაგ პატრიოტულ გრძნობას გადაპყვა მამამისიც. ერთ პატრიოტს გამოეთიშა, მეორის მხარე დაიჭირა და შეეწირა კიდევაც.

— ნეტა კი მშვიდობიანად დაგვიბრუნდეს და... — ჩაილაპარაკა კორექტორმა და გასწორებული გვერდები მაგიდაზე დაალაგა. — ხელის მოწერის გარდა არა უნდა რა.

ამ დროს ქუჩაში ეტლის რახრახი გაისმა და უცებ შეწყდა.

— ივანე მობრძანდა! — ფანჯარაში გადაიხედა ერთმა.

— მართლა?! — კმაყოფილება გამოეხატა სახეზე ყველას.

მალე ოთახში შუახნის კაცი შემოვიდა და მიიხედ-მოიხედა:

— გამარჯობათ. ყმაწვილებო! — სამივეს ხელი ჩამოართვა მან და შაგიდასთან მიღვმულ სავარძელში ჩაჯდა. — დავიგვიანე, პა, დავიგვიანე. რას იტყვით, პა?

— შიშისაგან აღარ ვიყავით, ბატონო ივანე!

— მშვიდობიანი გზა თუ გქონდათ მაინც?

— გამოცდილი მეგზური თუ გყავდათ?

— დიახ, დიახ. — სავარძელში გასწორდა ივანე. — გზა ძნელი იყო, მაგრამ მიმზიდველი. მეგზურობას კი ჩემი ფანდური და ჩაცმულობა მოწევდა.

— თუ კარგი ამბავი ჩამოიტანეთ!

— შემიძლია გიპასუხოთ — კი. არ მოველოდი, ისეთი კარგი, მეტად საიმედო და სასიხარულო. ვერ წარმოიდგენ, ყმაწვილებო, როგორ აღფრთოვანებული დავრჩი იქაურების შეხვედრით...

— მაინც, რა იგრძნობა, ისეთი რა შეინიშნება? — თანდათან დაინტერესდნენ იქ მყოფნი.

— ყველგან ქართული სული ტრიალებს, ყმაშვილებო, ქართული ზენა  
ჩვეულება, ქართული ენა. წარმოიდგინეთ ქრისტიანული ლოცვებიც კი  
შემოუნახავთ...

— მათ მთავარს თუ გაეცანით და ესაუბრეთ?

— როგორ არა. სხვაგვარად რა აზრი ექნებოდა იმ მხარეში ჩემს  
მოგზაურობას... ვინახულე, ვესაუბრე... კარგი ვაჟკაცია, ნამდვილი ქართ-  
ველი პატრიოტი... თუ ღმერთმა წყალობის თვალით გადმოგვეხდა და  
ღვთისმშობელმა მარიამმა ისურვა, მომავალ ომში, რომელიც ამ ორი-  
სამი წლის განმავლობაშია მოსალოდნელი, ჩვენი სამშობლო გაერთიან-  
დება და ქართველი ხალხის დიდი ხნის ნატვრა-სურვილი ფრთხებს შეი-  
სხამს. — მაგიდაზე დალაგებული უურნალის მომავალი ნომრის ახალმო-  
ბეჭდილი გვერდები ჩაათვალიერა და საწერ-კალამი აიღო. — არ შემიძ-  
ლია არ გენდოთ! წაიღეთ და გამომშვებს ჩააბარეთ. — კალამი მელანში  
ამოაწო და ანაწყობი გვერდების სატიტულო ფურცელს ჩაწერა: „ცისკა-  
რი, 1871 წ.“, ბოლო გვერდზე კი, სადაც ჩაბეჭდილი იყო სიტყვა „რედაქ-  
ტორი“, გარკვეული ხელით მოაწერა: ივანე კერესელიძე.



## ვახტანგ გორგანელი

### შენ „დედა-ენას“ უკითხავდი...

სამას წელიწადს არ უნახავთ ღუმელში შეშა,  
არ დახურულა იანვარში ოჯახის კარი,  
სამას წელიწადს მკერდი ფლითა ყინვების ეშვმა,  
მაინც ბუხრიდან ადიოდა ცისფერი კვამლი,  
რაღან შენ იყავ, დედა-ენავ, შეშაც და სითბოც.

სამას წელიწადს ტრიალებდა მომხვდურთა ხმალი,  
სამას წელიწადს მზე ცურავდა ცრემლში და სისხლში.  
გამტყდარა რვალი, უმოწყალოდ დამშრალა წყალი,  
ვერ აღუგიათ მიწისაგან სიცოცხლე რისხვით,  
რაღან შენ იყავ, დედა-ენავ, ციხეც და ფარიც.


დედავ-მშობელო, ვისი აღარ დაგწამეს ბრალი,  
გული ნათელი ვერ შეგიკრთეს, ვერ დაგიშინეს,  
ცხადად რომ მტრისა დასათხრელი გიმზერდა თვალი,  
შენ „დედა-ენას“ უკითხავდი სიზმარში შეილებს  
და მისი მაღლით აპურებდი დამშეულ ბავშვებს.

რა ვთქვა არ ვიცი, აჭარელო ქართველო დედავ,  
სიტყვა არ მყოფნის დაგილოცო დედური მკერდი...  
შენ რომ შეგამკის იმდენი მზე სად ვნახო ნეტავ,  
ამქვეყანაზე შემიძლია მე გითხრა ერთი:  
შენ ხარ ლამაზი, ხარ უკვდავი, ვით დედა-ენა.

## შარი და ალუბლის ტოტი

აღარ ცხრებოდა მღინარის შფოთი,  
 ნაკვერჩხლებს ჰყრიდა წყლისპირას ჩანგი,  
 გეფარებოდა ალუბლის ტოტი  
 და ორლობეში აღარც კი ჩანდი.  
 ემალებოდი, თითქოს შენს რაინდს,  
 არ უჩვენებდი მაგ ლამაზ თვალებს.  
 ცა იყო სუფთა და შენ კი მაინც  
 ჰეგავდი ლრუბლებში გახვეულ მთვარეს.  
 მაგრამ ეგ შენი სითბო და ეშეი  
 ატანდა მაინც ფოთლების ლეჩაქს,  
 რომ იმსხვრეოდა ჩანჩქერი ხევში,  
 თითქოს ამსხვრევდა ამ გულის ბეჭთარს.  
 უცებ დაჲქროლა უჩამბის ქარმა,  
 განზე გასწია ალუბლის ტოტი,  
 გაბრწყინდა ისე ლალი და ქარვა,  
 გადაამეტა ყოველგვარ ლოდინს.  
 სინათლის სხივი ორლობეს გასცდა,  
 ცეცხლი მოივლო ლერწამის ღერმა,  
 გახელებული მდინარე დაცხრა,  
 მაგრამ ამ გულმა უმატა ლელვას.  
 არ ვიცი ის გზა რა ხელმა ქარგა,  
 ფარდებში იდექ, როგორც ნახატი,  
 ო, კიდევ კარგი დაქროლა ქარმა,  
 თორემ მაგ თვალებს როგორ ვნახავდი.





## მოთა ანანიძე

### ამდენ ფიქრს და ამდენ განცდას...


ამდენ ნატვრას, ამდენ ფიქრს და ამდენ განცდას  
ნორჩი გული, ვით მზეს ფიფქი, ვერ გაუძლებს.  
გაზაფხული გოდერძის მოებს უკვე გასცდა,  
ცეცხლის ილი მოუკიდა ჩვენს ალუბლებს,  
დედულეოთ! მზით გამთბარო მთავ და ველო,  
შენზე ფიქრში ყოველ ღამეს ვკეცავ თეთრად  
და ვზეიმობ შენს ორ ორდენს, საქართველოვ,  
ცალ აზიდულ ჩვენს ჭალარა მოებთან ერთად.  
შენს დათაფლულ მკერდზე როცა დავლევ ნექტარს  
და სიცოცხლეს მიხანგრძლივებს მისი სიტყბო,

მუდამ გლოცავ,

მუდამ გლოცავ,

ერთხელ ნეტავ —

დასალოცა შენი სიტყვით თვითონ ვიყო.  
დედულეოთ, მზით გამთბარო მთავ და ველო,,  
ყოველ ღამეს შენზე ფიქრში ვკეცავ თეთრად,  
და ვზეიმობ შენს ორ ორდენს, საქართველოვ,  
ცალ აზიდულ ჩვენს ჭალარა მოებთან ერთად.



## ვ ა ნ გ ი

### ძ მ ე ბ ი

შარშან ჰანიში რუსულ ენაზე გამოვიდა ვიეტნამელ მწერალთა მოთხრობების კრებული „ცეცხლში“. ისინი ასახავენ სამხრეთ ვიეტნამელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას ყბადალებული ამერიკული „ესტალაციის“ დაწყებამდე.

ვგვიდავთ ურთ მოთხრობას ამ კრებულიდან.

დილის ოთხი საათია. მოწინააღმდეგის ხანგრძლივი საცეცხლე წერტიკ კვლავ უშენს ჩვენს ქვეგანაყოფს, რომელიც მზადაა შეტევისათვის. მტრის ტყვიამფრქვევთა კაპანში იკარგება მარიონეტული არმიის ჭარისკაცებისადმი მიმართული მოწოდება: „ჭარისკაცებო... ლაგვნებდით!... თქვენ... ფრონტი! შეგიწყალებთ... მეთაურის ჭიუტობა.... მიღებული იქნება მკაცრი ზომები!“

სიღდანლაც, გვერდით, ისმის აჩქარებული ძახილი:

— მოამზადეთ ხელყუმბარები!

— ამხანაგო მეთაურო, ტყვიამფრქვევი ჩაიჭექა.

— საღ არის ამხანაგი კამი?

კამი წამოდგა და გრძელი „ლებელით“\*\* გაეჭიმა ქვეგანაყოფის მეთაურ ლიკს. სწორედ ამ დროს ჰაერი გაკვეთა ტყვიამფრქვევის ჭერმა. საბედნიეროდ, ლიკმა მოასწრო და სწრაფად ძირს დასცა კამი.

— ნაღმი რომ აფეთქდება, იცოდე — ეს შეტევის ნიშანია, — ამბობს ლიკი.

\* ქვე და შემდეგაც „ფრონტში“ იგულისხმება ეროვნული განთავისუფლების ფრონტი — მთარგმნ.

\*\* ლებელი — მოძველებული სისტემის შაშჩანა.

— მესმის, — უპასუხებს კამი.

იგი მიწას გაეკრა და ოოფი გატენა. მზადაა საბრძოლველად.

უკვე ორი თვეები კამი განმათავისუფლებელ არმიაშია, მაგრამ არ ელოდა, თუ საბრძოლო ნათლობა ასეთ სასტიკ შეტაკებაში მოუხდებოდა. ახლა მას უბრძანეს, რაც შეიძლება ახლოს იყოს მავთულებლართებთან, და ისე ლელავს, რომ ლიკი ჩასჩურჩულებს: „ყოჩალად, ბიჭუნავ!“

კამს სიკვდილის არ ეშინია, მაგრამ მაინც არაა სისიამოვნო იშვე იქ, საღაც ყველაფერი დენთითა გაულენითილი. ნაღმის პირველი იფეთქების-თანავე იგი ისევ დამშვიდდა. ლიკი ისვრის — კამიც ისვრის, ლიკი დგება — კამიც დგება.

ახლა იგი მხოლოდ ლიკის შავ ჩაჩქანს ხედავს. ზუსტად ასევე, მე-თაურის კვალდაკვალ, მან უკვე განვლო მტრის ბევრი საღარაჯო და მავ-თულხლართები.

ბრძოლა სულ მძაფრდებოდა. უეცრად ძლიერ განათდა და კამს თვალი დაუბნელდა, მიწა შეზანზარდა. გაისმა საშინელი იფეთქება და კამს დაე-ყარა ნამსხვრევები, მიწის გოროხები, მან ძლივს გაიგონა შეტევის ბრძა-ნება და წინ გაიჭრა სქელ კვამლში...

და თი — ხელაწეულ ადამიანთა ფიგურები, ლიკი ზანგრძლივი საცე-ცხლე წერტიდან ყვირის:

— მოკლული იანქი! მან ჩაკეტა აქ დაქირავებული ოფიცრები. ახლა გასაგებია, რატომ ადრე არ დაგნებდნენ ისინი.

განმათავისუფლებელი არმიის ოთხმა ჯარისკაცმა ბრეზენტით წაიღო ამერიკელის გვამი. და კამს მოეჩვენა, რომ ეს ბრეზენტზე მწოლარე იან-კი ბევრად პატარა იყო იმ ზეიად ყმაწვილებზე, რომლებიც კუპირებულ ზონაში, მის სოფელში დასეირნობდნენ.

იგი საღარაჯოზე ხეტიალობდა. გზად კედელზე კონდახი ჰქონდა ნებ დინ დიემის\* სურათს, წამოედო ვიღაცის მიგდებულ წალებს, გაიარა, ისევ მობრუნდა და შორს გადაყარა.

ლიკი ხედავდა, რომ კამი ტყუილუბრალოდ კარგავს ღროს და მოი-ღუშა.

— გაიხსენე განკარგულება იარალის შოვნის შესახებ. მაშ, აიღე ეს აშურმა, ვაზნები და ავტომატი, გადააგდე ეგ „ლებელი“.

კამმა სწრაფად სტაცა ხელი ამერიკულ ავტომატს, თითქოს შეეშინდა, სზვამ არ დამასწროს. აშურმას რომ იკეთებდა, ვიღაცამ ჩუმად დაუძახა:

— ტი, მათ...

კამმა მიიხედა, გაუკვირდა ბავშვობის სახელი რომ დაუძახეს, და ხმაც ძალიან ეცნო. მაგრამ გარდა თავისი ქვეგანაყოფის მეომრებისა, წინ და უკან რომ დაძვრებოდნენ, ვერავინ დაინახა... მაგრამ აშურმის შესასწორე-

\* ნებ დინ დიემი — მაშინდელი მარიონეტული მთავრობის მეთაური — მთარგმნ.

ბლად თავი დახარა თუ არა, ისევ გაიგონა:

— კამ, ძმაო...

ამერიკელი მეთაურის ჭიპიდან ჯერ თავი გამოჩნდა, შემდეგ სისტანი მოთხევრილი მწვანე ხალათი. კამმა ავტომატი შემართა:

— აბა, სწრაფად გამოდი!

— ვნებდები. გამოვდივარ, ძმაო.

— შენი ძმა აქ არავინაა, ძალლო!

— გეხვეწები, არ მესროლო. ეს მე ვარ, შიუ.

— შიუ, შენა?!

ხელაწეული ჯარისკაცი ახლა კამის წინ იდგა, სახეგასისხლიანებულს სისხლი მკერდზე ჩამოდიოდა. ეს მართლაც შიუ იყო, კამის ღვიძლი ძმა. ისინი ერთმანეთს ისე ჰგავდნენ, როგორც წყლის ორი წვეთი.

მაგრამ კამმა ავტომატი არ მოაშორა.

— დაჭრილი ხარ...

— არა, მხოლოდ აფეთქებისაგან მკერდი მტკივა.

— დაჯექი მანდ. თუმცა მოიცა, ხელები შეგიქრა.

კუთხეში ჩაცუცქეული შიუ ატირდა.

— რაღა დროის ტირილია, — წაიბუტბუტა კამმა, — რატომ ადრე არ დაგვნებდი?

— ძალიან მეშინოდა.

— კარგი, ნუ ღრიალებ, შენ გაგათავსუფლებენ. მხოლოდ ყველაფერი ისე გააკეთე, როგორც გეტვიან. შინ რა ამბავია?

— შენი წასვლიდან ორი დღის შემდეგ ჩვენები აიძულეს სტრატეგიულ დაბაში გადასულიყვნენ.

კამი სულ დაიბნა და გადაწყვიტა, ახლა წასვლა აჯობებსო. ძმასთან საუბარს ნაადრევად თვლიდა — შიუ ხომ სამხედრო ტკცე იყო. მაგრამ მისი გათოვეც არ ივარებდა. ყველაზე უკეთესია გადასცეს იგი ამხანაგებს. მათ იციან როგორ მოიქცნენ. მტრის მიერ გაწვეული უბრალო ჯარისკაცების მიმართ ფრონტი შეწყარების პალიტიკას მისდევს.

კამს გამოპქონდა ვაზნებიანი ყუთები. მაგრამ სულ სხვაზე ფიქრობდა, და არ იცოდა, ეცინა თუ ეტირა.

მას არ დავიწყნია, რომ ორივეს, მას და შიუს „უნდა ემსახურათ“ ამერიკელებთან და დიუმელებთან. დიდხანს ცდილობდნენ ისინი გადაევადებინათ გაწვევა და, ბოლოს, მართლაც მისცეს ერთ-ერთ ძმას გადავადება, ოღონდ იმ პირობით. თუ მეორე დაუყოვნებლივ წავიდოდა არმიაში. სწორედ მაშინ იყო, შიუმ რომ შესთავაზა, მარიონეტული მთავრობის სამსახურში მე წავალ, ამასობაში შენ დაუკავშირდი წინააღმდეგობის მესვეურებს, რათა შემდეგ ორივე შევუერთდეთ განმათავისუფლებელ არმიასო. ცოტა ხანში კამმა მართლაც მოახერხა დაკავშირებოდა ფრონტი. იგი ძმას წერილს წერილზე უგზავნიდა არმიაში, წერდა, ვითომ სახლი დაწვა,

თითქოს მამა სიკვდილის პირზეა და შვებულება იღეო. მაგრამ მასუნკა  
ამაოდ ელოდა. შიუ დუმდა. რაიმე ხიფათს რომ არ გადაჟყროდა,  
კამი მარტო წავიდა. ვინ დაიჯერებდა, რომ დადგებოდა დღე, როდესაც  
უმცროსი ძმა ესროდა უფროს ძმას, ხოლო უფროსს უნდა გაეთოვა უმც-  
როსი... რა კარგი იქნებოდა, შეტევის დროს შიუს რომ მიებრუნებინა ია-  
რალი დაქირავებულებისა და ამერიკელებისაკენ! ეს აზრი არ შორდებო-  
და კამს.

მან ანგარიშმოუცემლიდ ქამრიდან ამოილო მოხარმული ბრინჯის ულუ-  
ფა და ის იყო ჭამა დაიწყო, რომ გაიფიქრა: „ვაი თუ შიუ ჩვენებს ესრო-  
და!“ და თავზარი დაეცა. შეტაკების დროს ორი მებრძოლი მოკლეს. ოთხი  
თუ ხუთი დაჭრეს. შიუ ხომ აქ რაღაცას აკეთებდა? ეს თუცილებლად უნ-  
და გაირკვეს. „თუ იგი გვესროდა, — წაიბუტბუტა კამმა, — მაშინ...“

აღშფოთება, მწუხარება, სინანული სულს უფორიაქებდა მას. იგი შე-  
ვიდა იარალის საწყობში და მწარედ იქვითონდა. ცლილობდა თავესი გუ-  
ლის ტკივილი დაემალა ამხანაგებისათვის.

ცოტათი რომ დაწყნარდა, კამი უკანვე დაბრუნდა და რას ხედავს: მისი  
ძმა მისხერებია განმათავისუფლებელი არმიის მებრძოლებს, რომლებიც  
ჯიპის საბურავებს არემონტებდნენ.

აღშფოთებისაგან გონდაკარგულმა კამმა დაიყვირა:

— გაეწი ტყვევებთან. ცოცხლად!

შიუმ თავი ასწია. შუბლზე შავად შეხმობოდა სისხლი.

— ძმა! ნება მომეცი შენთან წამოვიდე, მეთაურმა ნება დამრთო! —  
წაიბუტბუტა დამფრთხალმა. შემდეგ კი სულმოუზემელად თქვა: — მსად  
ვარ ასო-ასო ავიქნა თავი! შენ ჩემი არ გჯრა! ვაი სირცევილო! ეს რა უბე-  
დურებაა! უმჯობესია მოკლა! შენ არ იცი, რამდენჯერ ვცადე დაკავშირე-  
ბოდი ფრონტს. სულ უშედეგოდ. მე ხომ შენს გამო დავრჩი მარიონეტულ  
არმიაში. ჩემთვის რომ მოგეცადა... მაგრამ მარტო წახვედი.

— თვითონა ხარ დამნაშავე, — უპასუხა კამმა. — წერილებს გიგზავ-  
ნიდო, რას არ ვჩმახავდი... მაინც რატომ არ დაბრუნდი? სექტორი 4352,  
მატრიკული 296508. ეგრე არ არის?

ამან საბოლოოდ გააფორა შიუ.

— თუ გვინია შენს წერილებს მაძლევდნენ? ისინი სულ ყველას წვა-  
ვლენ. არც ერთი არ მიმილია. თვითონ რომ მოსულიყვავი...

კამმა არ იცოდა. რა ეპასუხა... სწორედ ამ დროს მოვიდა ქვეგანაყო-  
ფის მეთაური ლიკი.

— ეს ყმაწვილი გვთხოვს ნება დავრთოთ შეუერთდეს განმათავისუფ-  
ლებელ ძალებს. იცნობთ მას, კამ?

— ჩემი ძმა. — უპასუხა კამმა. — მე თქვენ გამბობდით მასზე.

— ჰო, წყლის ორა წვეთივით ჰეგბართ ერთმანეთს. ძალიან კავკაციური საქმით გამოვცდით შენს ძმას. ახლა კი შაიყვანე იგი დასაბანად.

კამბა ზურგჩანთიდან ამოიღო ხალათი, რომელსაც ისინი ოდესლაც რიგრიგობით იცვამდნენ. ახლა მათ შეეძლოთ განმარტოებულიყვნენ.

— შენ ისროდი შეტაკების დროს? — ყრულ შეეკითხა კამი.

— კი.

— რატომ? ვის ესროდი?

— ჯიბის საბურავებს. მეშინოდა, ამერიკელი არ გაქცეულიყო, თქვენს მეთაურსაც მოვუყევი ეს ამბავი.

— ძალიან კარგად მოქცეულხარ.

კამი კმაყოფილი იყო, თითქოს მან უბრძანა ძმას, საბურავებს დასცხეო.

— ლიკს ძალიან უყვარს აბალგაზრდობა. მაგრამ მაინც დაგარიგებ. არავთარ შემთხვევაში არ დაუძახო განმათავისუფლებელი არმიის მებრძოლებს „მეკობრეები“, ხოლო დიემელებს — „ნაციონალისტები“, თორებ ყველა დაგცინებს. შემდეგ, რაიმეს რომ გიბრძანებენ, უნდა უპასუხო არა „დიხ, ბატონო“, არამედ „მესმის, ამხანავო“. ეს ჯერჯერობით.

გამხიარულებულმა კამბა შიუ სადარაჯოს შიდა ეზოში გაიყვანა. იქ მათ უცდიდა ლიკი ბრინჯის პატარა ტომრითა და კარაბინით. შიუს კარაბინი! კამს ამაზე არც კი უოცნებია. ამხანავებს ისიც კი მოუფიქრებიათ, რომ ტანკორჩილ შიუს უფრო გამოადგებოდა ისეთი მჩატე იარალი, როგორიც კარაბინია.

— გამიგონე, ჭაბუქო, — მიმართა ლიკმა შიუს, — ასეა თუ ისე... შენ ჩვენთან იქნები. მაგრამ ჯერ კურსი უნდა გაიარო... არა, ეს არაა „კომუნიზმის მხილების“ კურსი. შენ უკეთ გაერკვევი, ვინ არის მტერი და რა არის რევოლუცია. ეს აუცილებელია, ეს დაგეხმარება ემსახურო ეროვნული განთავსუფლების ფრონტს. თქვენ, ახალბედები, ოთხი თუ ხუთი ხართ. სწავლის შემდეგ თვითონ გადაწყვიტეთ — დარჩებით ჩვენთან, თუ შინ დაბრუნდებით. ვინც ჩვენთან დარჩება, ხმას დავურხევთ, თითქოს ისინი დავაკავეთ „დამატებითი გამოძიებისათვის“. მაშინ თქვენს მშობლებს ოკუპირებულ ზონაში არ ექნებათ „უსიამოენებანი“. ახლა კი დაეშვი დანარჩენებს.

შიუ უბმოდ შეუერთდა სხვა სამხედრო ტყვეებს. კამბა თვალი გააყოლა ძმას. იგი ძლიერ სუსტი ჩანდა! მას ახლახან შეუსრულდა თვრამეტი.

გამოჩნდა „დემუაზელი“.\* იგი დაბლა მოფრინავდა. მას ახლდა გამანადგურებლები, რომლებიც მზად იყვნენ ცეცხლი გაეხსნათ... ღამე გააპო 150-მილიმეტრიანი ქვემეხების ზალპმა. ტყვია-წამლითა და დოკუმენტე-

\* დემუაზელი — ქალიშვილი (ფრანგ.), აქ — მზეერავი თვითმფრინავი.

შით დატვირთული ჭიპი და სამი ჯავშანტრანსპორტიორი გაემართავს ცალკეულ რაჭოს გასასვლელისაკენ. მათი ბორბლები სრესდნენ ყველაფერს, რაც კი გზაზე ხვდებოდა. კამთა გაატარა მანქანები, შეამოწმა შენილბვა და დაეწია ლიკს, რომელმაც ბრძანა დახვედროდნენ მოახლოებულ მტრის მაშველ ჭარს — სამ ბატალიონს, ათ ამერიკელ ოფიცერს.

დადგება დღე, როდესაც შიუ კამის გვერდით იბრძოლებს. ჭერ კი იგი სამხედრო ტყვეა, რომელიც ხელში ჩაიგდეს განმათავისუფლებელმა ძალებმა სადარაჯოზე გააფთრებული შეტევის დროს...

კამი აღარ ტიროდა, ოღონდ რაღაც გულს უკუმშავდა.


ვინ ჩააცვა ეს ფორმა მის ძმას? ვინ მისცა ეს იარაღი, ვინ უბრძანა იანქების ჭიპი დაიცავი, შენიანებს, შენს ძმას ესროლეო?

— ამერიკელებმა!

მათ მოიტანეს აქ ომი, ნგრევა, მწუხარება. ეს სადარაჯო და ის, რაც მისგან დარჩა, აგრეთვე მათი ნახელავია. წლების განმავლობაში უზარმაზარი ქსელი, ამერიკელებმა რომ გაშალეს კამისა და მისი ძმის გარშემო, სულს უხუთავდა მათ და დალუპვით ემუქრებოდა. კამი დაუძვრა მას, ახლა ძმის ჭერია. მაგრამ რამდენია სხვა, მათი თანატოლები, რომლებიც გააფთრებით ცდილობენ თავი დააღწიონ ამერიკელების ქსელს. და რამდენი ადამიანია ქვეყანაზე, რომლებსაც ემუქრებიან იგივე აგრძელები, და რომლებიც თვალყურს ადევნებენ შორილან ჩვენს ბრძოლას და ელიან სამხრეთ ვიეტნამის წინააღმდეგობის ძალების ახალ გამარჯვებას.

ამომავალი დილის ნათელში მიაბიჯებს კამი. მიაბიჯებს მტკიცედ, თავაწეული, სერიოზული და ჩაფიქრებული. ათვერ უფრო მრავალრიცხოვანი მტერი ახლოვდება...

თარგმნა ირ. შეგაძლება.



## ევანი ევგემენი

ი უ მ ო რ ი

შეფე,

ხელმწიფე,

იმპერატორი

უნ იცის,

რამდენ პარადს სარდლობდნენ.

ქვეყნიერების იყვნენ პატრონი,

იუმორისა კი —

არასოდეს.

ციხე-დარბაზი ლხინით ტკბებოდა,

თვით ჩიტის რძესაც კი არ ნატრობდნენ,

ბაგრამ ეზოპე გამოჩნდებოდა

და დიდებულნი ჰგავდნენ მათხოვრებს.

ფარისევლობა უმალ ქრებოდა,

ხუმრობის ისრით თვალდანაშრეტი —

თავჭუდმოგლეჭით იყარგებოდა,

უმაღებოდა ხოჯა ნასრედინს.

წოსყიდვა სცადეს,

მაგრამ

ამაოდ.

ვერ მოისყიდის იუმორს კაცი!

მოჯვლა უნდოდათ:

სცადეთ აბაო.

თავს უშველა და უჩვენა ბრაწი!

ბესი მომრევი არ გაჩნდა მკლავი,  
უველა განსაცდელს და უასჭელს  
უძლებს.

მას არაერთხელ მოჰკვეთეს თავი  
და შუბოსნებმა ააგეს შუბზე.

მაგრამ

მოჰკრავდა ყურს სტვირის დაკვრას,  
ძესტვირის შაირს,

იგავს, თუ

ზღაპარს,

დინძახებდა მკვირცხლად:

„მე აქ ვარ!“

ჩიმოუვლიდა მაშინვე სწრაფად.

პრალდება პქონდა პოლიტიკური.

გეგონებოდათ, ყისმათს მინებდა,

მიაბიჯებდა

თავჩაქინდრული,  
თითქოსდა ცოდვას ინანიებდა.  
დაემორჩილა თითქოს განაჩენს  
და, სული უკვე მიანდო ზენარს,  
მაგრამ დაუძვრა უცებ დარაჯებს  
და ხელს უქნევდა:

„ოლოლო თქვენა!“

ჰყავდათ ჭურლიმულში გამოკეტილი,  
მაგრამ ის ამას როდი დარღობდა,  
გამოარღვევდა ქვითკირის კედელს  
და ისევ ლალად დანავარდობდა.  
ფანდები სცადეს ათასნაირი,  
მაგრამ არ იქნა,

ვერ დამარცხეს —  
შაშხანითა და ბასრი შაირით  
იგი იღებდა ზამთრის სასახლეს.  
ის შეეჩინა მრისხანე მზერას —  
რც ბეღენაა,

უცქირონ თარსალ,  
და იუმორი,

სხვის გულს რომ სერავს,  
ჩანდახან ქირდავს  
საკუთარ თავსაც.

ის უკვდავია,  
ცემლგან შემღწევი.

ის არ დაგიღევს  
ღროსა და მანძილს.  
ბაშ — იუმორი იყოს დღეგრძელი,  
ეს უშიშარი,  
მამაცი კაცი.

\* \* \*

არ მსურს ზიარი აღარაფერი!  
მსურს ცის და მიწის ვიყო მფლობელი!  
ზღვა და მდინარე, მთათა ლანქერი  
ჩემია — არ მაქვს გასაყოფელი.  
(ხოვრებავ, ნაწილს მე ვერ მაკმარებ—  
მსურს ყველაფერი, მომეც და ვზიდავ!  
ბედს თუ მწევ, იყოს მთლიანი ბარემ,  
უბედურებაც მთლიანი მინდა.  
მხოლოდ ბალიში მინდა ზიარი,  
რომელზეც თავქვეშ შენ იდებ ნაზ მკლავს  
და თითზე ბეჭდის მქრთალი ციალი  
ჰგავს ცით მოწყვეტილ უსუსურ ვარსკვლავს.

თარგმნა გიორგი სალუჩვაძემ.



# „ მუსიკის მუსიკის განვითარება ”

მიხეილ გორგოლაშვილი

## პროპაგანდისტი-ენთუზიასტი

ალექსანდრე ესიტაშვილმა ოც-დაათიან წლებში შეაღო მოსკოვის ნავთობის ინსტიტუტის კარები და გატაცებით დაეწაფა ცოდნას. ლე-ქციების შემდეგ ბიბლიოთეკაში იჯდა და კითხულობდა არა მარტო ტექნიკურ, არამედ პოლიტიკურ და მხატვრულ ლიტერატურას.

დაძაბულ, ენერგიულ შრომაში გავიდა სტუდენტობის წლები. სწავლის პერიოდში პრაქტიკაშე სისტემატურად დადიოდნენ მოსკოვის ნავთობგადასამუშავებელ ქარხანაში, ზოგჯერ იქ თვეობით რჩებოდნენ, ლრმად ეუფლებოდნენ ტექნოლოგიურ პროცესებს, ითვისებდნენ რთულ მექანიზმებს.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ალექსანდრე მოსკოვის ნავთობგადასამუშავებელ ქარხანაში გაგზავნეს ცვლის ინუინრად. ასე დაიწყო ცხოვრების ახალი ეტაპი,

დადგა მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების პერიოდი. ალექსანდრეს მთელი უბანი ებარა და დაძაბულ, ენერგიულ შრომაში დრო შეუმჩნევლად გადიოდა. თვე თვეს მიჰყვებოდა, კვარტალი კვარტალს, ქარხანა ფრთებს შლიდა, გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევდა. ალექსანდრე კმაყოფილი იყო, რომ საერთო წარმატებაში მასაც შექვენდა თავისი მოკრძალებული წვლილი.

ერთხელ ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ალექსანდრე თავისთან დაიბარა.

— თქვენს სამქროში მრავლად არიან კომკავშირელები, ცოდნას მოწყურებული ახალგაზრდები, საჭიროა მათ სულიერ საზრდოობები, იდეოლოგიურ და პოლიტიკურ აღზრდაზეც ვიფიქროთ. პარტიის ურომ გადაწყვიტა სამქროებში

ჩამოაყალიბოს პოლიტიკურები და ერთ-ერთი ასეთი წრის პროპაგანდისტობა თქვენ უნდა დაგვალოთ. რას იტყვით, ამხანავო აღეჭ-სანდრე, ნდობას გავიმართლებო? — შეეკითხა მღივანი.

ალექსანდრე უხერხულად შეიშ-მუშნა. აბა რა უნდა თქვას? რაჟი საჭიროა, რა თქმა უნდა, საჭმეს ენერგიულად მოჰკიდებს ხელს და ნდობასაც გაამართლებს. მისთვის აგიტატორობა არავის დაუვალე-ბია, მაგრამ ყოველდღე შესვენების დროს და სამუშაო საათების შემდეგაც ატარებს საუბრებს. პროპაგანდისტობა უფრო რთული საქმეა, ვიდრე აგიტატორობა, მაგრამ დაუძლეველი რა არის ამქეცე-ნად?! ეს ალექსანდრესთვისაც სა-სარგებლო იქნება, ახალი მოვა-ლეობა აიძულებს მეტი პასუხის-მეგებლობა გამოიჩინოს, უფრო ღრმად დამუშაოს საკითხები, ამით ხომ თვითონაც გაითაროთ-ებს ცოდნის ჰორიზონტს.

ასე შემოიჭრა ალექსანდრეს ცხოვრებაში მეორე პროფესია — პროპაგანდისტობა, ასე გახდა იგი იდეოლოგიური დარგის მუშაკი. მას შემდეგ ოცდაათზე მეტი წელი გავიდა.

ალექსანდრე მუდამ მღელვარე-ბითა და სიმაყით ივონებს იდე-ოლოგიური მუშაობის პირველ პერიოდს.

— შეიძლება ითქვას, ჩვენ ყა-მირის გატეხა გვიხდებოდა, გაუკ-ვალავი გზით მივდიოდით. გარდა ამისა, წრეში იყვნენ საშუალო გა-ნათლების ისეთი ახალგაზრდები,

რომლებიც ღრმად იყვნენ გათვალისწილებულნი, ბევრს კითხულობდნენ. თუ მათ მეტ ცოდნას არ მივცემდი, ვიდრე იცოდნენ, ისინი ინტერესით აღარ იცლიდნენ წრეში. ეს კი მაიძულებდა ყოველი საკითხი ღრმად შემესწავლა.

მოსკოვის ნავთობგადასამუშა-ვებელ ქარხანაში ალექსანდრემ წელიწადზე ცოტა მეტი დაპყო.

ერთხელ იგი სამინისტროში გა-მოიძახეს.

— სამშობლოსაკენ გული არ მიგიწევს? — ჰკითხეს სამინის-ტროში.

სამშობლოსაკენ გული თუ მი-უწევს? მერე და როგორ! მაგრამ ქარხანა? სამქრო? ვეგმები? აქა-ური საქმეები? ან საერთოდ, სამ-შობლოზე რატომ ჩამოუგდეს სი-ტყვა? იქნებ დასასვენებლად გზავნიან?

— ბათუმის გარეუბანში ნავ-თობგადასამუშავებელი ქარხანა აშენდა, მეორე წელია რაც საექს-პლატაციოდ გადაეცა, მაგრამ მთელი სიმძლავრით ჯერ კიდევ არ ამუშავებულა. ქართველ ამხანა-გებს დახმარება სჭირდებათ. წახევალთ?

ასე გადაწყდა საქართველოში გამომგზავრება. ალექსანდრე მა-შინ ოცდახუთი წლისა იყო, ჯანმ-ნით, ენერგიითა და მისწრაფებე-ბით აღსავს. ინსტიტუტში შეძე-ნილი თეორიული ცოდნა განამ-ტკიცა მოსკოვის ქარხანაში მიღე-ბულმა პრაქტიკულმა გამოცდი-ლებამ. ახლა თვითონაც კარგად გრძნობდა, რომ სარგებლობას მო-

უტანდა ახალფეხადგმულ ქარხანას, აქარის მშრომელთა პირმშობ...

ბათუმის სადგურიდან ალექსანდრე ნავთობგადასამუშავებელ ქარხანაში ავტობუსით გაემგზავრა.

— ცოლშვილიანი ხართ? — პირველი კითხვა ეს იყო, რომელიც ქარხნის დირექტორმა მისცა.

— არა.

— ძალიან კარგი. მაშ საცხოვრებლად ერთი ოთახიც გეყოფათ, შემდეგ ღმერთია მოწყალე. აგრე, კაპიტალურ სახლებს ვაშენებთ და კარგ ბინასაც მოგცემთ.

ალექსანდრე თავის დაკვრით დაეთანხმა და შემდეგ სამქროები დაათვალიერეს.

— ამ პირტიტველა ბიჭმა რა უნდა გვასწავლოს? — თავისთვის, მაგრამ საქმაოდ ხმამალლა ჩაილაპარაკა ვიღაცამ. ალექსანდრე მისკენ მიბრუნდა.

— ყურადღებას წუ მიაქცევ. დაუფქრებლად თქვა... ისე კი ოქრო ბიჭია ჩვენი ცეცხლფარეში, — დირექტორმა ალექსანდრეს შინაურულად გამოსდომ მკლავი.

— არა უშაგს, ერთმანეთს უკეთ გავიცნობთ და აზრს შეიცვლის, — ალექსანდრემ წყენა არ დაიმჩნია, რამდენიმე ნაბიჯი ცეცხლფარეშისკენ გადადგა და ხელი გაუწოდა.

— ვალოდია ნადარეიშვილი, — დაბეჭულმა ცეცხლფარეშმა თავისთვის წაიღუდუნა და ხელი ინსტინქტურად გაუწოდა. ასე გაიცნო ალექსანდრემ ქარხნის პირველი მუშა.

— მოსკოვში ნაცხოვრებრუცე ჩვენთან მუშაობა გაუძნელდება, — უთხრა მას ერთხელ ნადარეიშვილმა.

— რატომ? — დაინტერესდა ალექსანდრე.

— აბა, როგორ გითხრათ?! ჩვენ უსწავლელი, შეიძლება ითქვას, გაუნათლებელი ხალხი ვართ, ბევრმა წერა-კითხვა არ იცის, არც საქმეს ვიცნობთ კარგად, ახლა ვსწავლობთ, არც ჩვენი პროდუქცია მოსწონთ. სანამ გავიწავებოდეთ და ფეხზე მაგრად დავდგებოდეთ, ბევრი ტურა დაიჭყავლებს.

— მონდომება იყოს და... წერა-კითხვასაც ისწავლით და ქარხნის საქმეშიც კარგად გაერკვევით, არ ნახავთ.

„მოსკოველ ინჟინერს“, როგორც ალექსანდრეს შეარჩევეს, განსაკუთრებით შეეხივნენ თანატოლი ვაუები. უყვარდათ მასთან ყოფნა, ქვეყნის ამბების მოსმენა, წიგნებისა და უურნალ-გაზეთების წაკითხვა. ვინც წერა-კითხვა არ იცოდა, გადათვალიერებას სჯერდებოდა, წვრილი შრიფტით ნაბეჭდ გვერდებს კი ნაღვლიანად გადახედავდნენ, როგორც მიუწვდომელსა და შორეულს.

წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ ქარხანაში ორი ჯგუფი ჩამოაყალიბეს, მაგრამ ეს საქმარისი არ დარჩა. ორასზე მეტი კაცი აღმოჩნდა მცირემცოდნე. ბევრი მათგანი ხელფასის მიღების დროს უწყისზე ან ჯვარს ასვამდა. ან სხვას აწერინებდა ხელს. ქარხანაში არ იყო ბიბლი-

ოთხეკა, წითელ კუთხეს მხოლოდ ორი გაზეთი ჰქონდა გამოწერილი — „კომუნისტი“ და „პრავდა“, მთხოვნელი კი უამრავი იყო. ქარხნის პარტიული ორგანიზაცია იძულებული გახდა საგანგებო საათები დაენიშნა გაზეთის ხმამაღლი წაკითხვისათვის.

ერთხელ ალექსანდრე პარტიის საქალაქო კომიტეტში გამოიძახეს, მდივანი პირადად გაეცნო, ხანგრძლივად ისაუბრეს.

ჩვენ ტექნიკურ კადრებზე არანაკლებ გვჭირდება იდეოლოგიური დარგის მუშავები: პროპაგანდისტები, ლექტორები. რაკი თქვენ კომკავშირულ წრესთან მუშაობის საკმაო გამოცდილება ვაქეთ, მოდით, კვლავ კომკავშირულ წრეს ჩაუდევით სათვეში, — უთხრა მდივანშა.

ალექსანდრემ ხალისით მიიღო ახალი დავალება.

წრეში მუშაობა არც თუ ორგანიზებულად დაიწყო. პირველ მეცადინეობაზე მხოლოდ ათი კომკავშირელი გამოცხადდა, ალექსანდრეს კი ეგონა, წითელ კუთხეში ტევა არ იქნებოდა. დაბრკოლებას ქმნიდა ისიც, რომ არ არსებობდა რამე დამხმარე ლიტერატურა, მეცადინეობისათვის კი ლექციური სისტემა არ გამოდგებოდა, რადგან მსმენელებს არ ჰქონდათ ისეთი განათლება, რომ საუბრის ჩაწერა მოესწროთ, ამიტომ მთავარი იყო საუბრები ისე გასაგებად, მიმზიდველად ჩაეტარებინა, რომ მსმენელთა მეხსიერებაში აღვილად აღბეჭდილიყო.

მეორე და მესამე მეცადინეობა ზე მსმენელთა რაოდენობა გამოირიცა კეცდა. ალექსანდრეს აღმოაჩნდა თხრობისა და გადაცემის კარგი უნარი, სასიამოვნო დიქცია. უბრალოდ გადაცემული აზრები აღვილი ასათვისებელი აღმოჩნდა.

შინაარსიანი, საქმიანი ლექციებითა, და საუბრებით ალექსანდრემ საქალაქო კომიტეტის ყურადღება მიიკვრო. მას უკვე ვალებენ ლექციების ციკლის მოწყობას ქალაქისა და რაიონების კომკავშირული აქტივისათვის.

— კაცო, რას სჩადით, სად სცალია ჩემს ინუინრებს რაიონებში სამოგზაუროდ, ლექტორები შემოგელიათ? — ბუზლუნებდა ქარხნის დირექტორი.

1939 წელს ალექსანდრე პარტიის რიგებში მიიღეს, იმავე წელს გადაიყვანეს პარტიული პოლიტწრის პროპაგანდისტად.

შემდეგ კი ...

დასავლეთის ლეგა ლრუბლებმა ქვეყნის მოწმენდილი ცა შებურა, ავბეჭიმითა ჭექა-ჭუხილმა მთელი ევროპა შეაზანზარა. სოციალისტური სამშობლოს ყოფნა-არყოფნის უამი დადგა.

მამული თავის ღირსეულ შვილებს ეძახდა.

ფრონტზე წავიდნენ ვ. ნადარეებიშვილი, ვ. მიქაელი, ტექალრიცვის უფროსი, აქტიური პროპაგანდისტი ნ. რუხაძე. მათ მიჰყეა ქარხნის ორასმდე მუშა.

დაზგებთან, მექანიზმებთან ვაკაცები ქალებმა შესცვალეს, ქვეყანას ახლა ისე ბევრი საწვავი



სჭირდებოდა, როგორც არას-დროს. საწვავს ელოდა ტანკები, თვითმფრინავები, საწვავს ელოდა ქარხნები და ფაბრიკები... და ბა-თუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა იმაზე მეტ საწვავს აძლე-ვდა ფრონტსა და ზურგს, ვიდრე მისგან მოითხოვდნენ.

პროპაგანდისტის მართალ, მხუ-რვალე სიტყვას არასოდეს ჰქონია ისეთი განუზომელი გავლენა, რო-გორც იმის პერიოდში. იდეოლო-გიური დარგის მუშავები მასებში ეწეოდნენ უდიდეს ახსნა-განმარტებით მუშაობას, ხალხში შეჰქონ-დათ მხერია, გამარჯვების რწმენა, სიმტკიცე.

დაირღვა ალექსანდრეს ნორმა-ლური ცხოვრების გრაფიკი, საამ-ქროში არ იყო შემცვლელი ინკი-ნერი, დღედაღმ უხდებოდა მო-რიგეობა; თავისუფალ დროს თუ ნახავდა, იქვე წათვლემდა. მისი მეორე სპეციალობა — პროპაგან-დისტობა არანაკლებ დაძაბულ მუშაობას მოითხოვდა, ახლა თით-ქმის ყოველდღიურად უნდა გამო-ენახა რამდენიმე საათი ლექციები-სა და საუბრებისათვის. მას ელო-დნენ საამქროებში სახელდახე-ლოდ მოწყობილ საუბრებზე, ელ-ოდნენ ფართო დარბაზებში, რაი-ონებში, სოფლებში. ხალხს გან-საკუთრებით ფრონტზე შექმნილი სიტუაცია, საერთაშორისო მბები აინტერესებდა.

ომი გამარჯვებით დამთავრდა. ცხოვრება თანდათან დაუბრუნდა ნორმალურ კალაპოტს, მოშუშე-

ბა იწყო ომით მიუენებულმა მუშაობა და ლობებმა.

1957 წელს ალექსანდრე წარმა-ტებით ამთავრებს პარტიის ბათუ-მის საქალაქო კომიტეტთან არსე-ბულ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუ-ძვლების შემსწავლელ საღამოს უნივერსიტეტს და ახალი ენერ-გიით ებძმება პროპაგანდისტულ მუშაობაში.

შემოქმედებით შრომაში გადი-ოდა წლები. იზრდებოდა, ფრთებს შლიდა ქარხანა, მოდიოდა ახალი თაობა. ალექსანდრე სხვა პროპა-განდისტებთან ერთად მუდამ გა-ტაცებით, შთაგონებით, საქმის ღრმა სიყვარულით განაგრძობდა იდეოლოგიურ მუშაობას, ეუფ-ლებოდა ცოდნის გადაცემის, მა-სებზე გავლენის მოწინავე ხერხებ-სა და მეთოდებს, იზიარებდა სხვა-თა გამოცდილებას და საკუთარ გამოცდილებასაც გადასცემდა სხვებს.


ალექსანდრე ხალისით ასახე-ლებს წრის მოწინავე მსმენელებს: შ. სურმანიძეს, ს. ძელაძეს, შ. ხა-რებავასა და სხვებს, რომლებმაც მნიშვნელოვნად აიმაღლეს იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონე. წრის მსმენელმა ელექტრომობ-ტიორმა კ. ტეეშელაშვილმა ამ რამდენიმე წელიწადში იმდენად ღრმა ცოდნა მიიღო, რომ ახლა თვითონ შეუძლია უხელმძღვანე-ლოს პარტიული განათლების სკო-ლას. იგი ბრიგადირი გახდა, ხოლო მისმა ბრიგადამ კომუნისტური შრომის მაღალი წოდება მოიპოვა.

ალექსანდრე სამართლიანად ამ-  
აყობს, რომ მისი მსმენელები წარ-  
მოების მოწინავენი, პირად ცხოვ-  
რებაში და საზოგადოებრივ შრო-  
მაში სამაგალითონი არიან. მათი  
ენერგიული შრომის შედეგია,  
რომ მეოთხე საამქროს ქარხანაში  
პირველს მიენიჭა კომუნისტური  
შრომის წოდება.

— ახლა პროპაგანდისტული  
მუშაობა უფრო სახალისო გახ-  
და ჩემთვის, — ამბობს ალექსან-  
დრე, — უკვე საქმაოდ დიდი გა-  
მოცდილება მაქვს, ოცდამეცამე-  
ტე წელი განუწყვეტლივ ვემსა-  
ხურები იდეოლოგიურ ფრონტს.  
ალექსანდრე ესიტაშვილი გაჭა-

ღარავდა მშობლიური ქარხნის  
წინსვლისათვის ბრძოლაში, ადა-  
მიანებისათვის ცოდნის მიწოდე-  
ბის სამსახურში, მაგრამ როდი და-  
იღალა. იგი მუდამ მხნე და ხალი-  
სიანია. სამუშაო საათების შემდე-  
გაც უქმად ვერ ნახავთ, ნაცნობ-  
მეგობართა წრეში ზის, ქვეყნის  
საჭირობოროტო საკითხებზე მსჯე-  
ლობს.

უანგარო შრომა ალექსანდრეს  
ლირსეულად დაუფასდა, ხანგრ-  
ძლივი და ნაყოფიერი პროპაგან-  
დისტული მუშაობისათვის ამას  
წინათ იგი დააჭილდოვეს საქართ-  
ველოს სსრ უმაღლესი საბჭოს  
პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.





ეროვნული  
გილდიონის

**კულტურისა და  
სპორტის მინისტრის**

## ნები ლეგაცი

# ქართველი სიმბოლისგან „ვეზენსიგარსნის“ შეცემა

წოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეზენსიგარსნის“ იყო, არის და იქნება პროგრესული ადამიანების მეგობარი ჭირსა და ლხინში. შთაგონების წყარო და მხატვრული შემოქმედების განუმეორებელი წინუში. ისეთად რჩებოდა იგი მისი მშობელი ერისათვის ძველ საქართველოში. პოემის პოპულარობას ხაზს უსამდა ჯერ კიდევ არჩილი და რუსთაველს ათქვევინა:

„საქართველო სავსე არის,  
ჩემი წიგნი ცველგან გაჰქიცეს.  
ვის ლხინი აქვს მას უბნობენ,  
ანუ გული ვისცა უწუხს!“

მიუხედავად ამისა, „ვეფხისტყაოსანი“ და მისი ავტორი მაინც ცერ აცდნენ მიზნობრივ თუ უწევდლი მტრობას. ამ შემთხვევაში არ შეიძლება არ მოგვაგონდეს დიდი შექსპირის ნათქვამი — თვით სათხოებაც ვერ ადგება ცილისწამებას.

ცოდნილია, რომ XV-XVIII საუკუნეების ქართული მწერლობა საზრდოობდა და ოღონძინდა „ვეფხისტყაოსანით“. რუსთაველი იყო „ძირი ლექსის თქმისა“, მაგრამ ამავე პერიოდში კონსერვატულ-კლერიკალურმა საზოგადოებამ, რომე-

ლაც აბოროტებდა რუსთაველის პუმანისტური იდეები, სასტიკი ბრძოლა გააჩალა პოემისა და მისი ავტორის წინააღმდეგ. აქედან მოკიდებული XX საუკუნის დამდევამდე ეს ბრძოლა არ შეწყვეტილა. ახალი ძალით იფეთქა მან XIX საუკუნის დამლევს; როცა „სევერნი ვესტრინგში“ ი. ჯაბადარმა გამოაქვეყნა თავისი პასკვილური სტატიების სერია საერთო სათაურით „წერილები საქართველოში“. ჯაბადარმის დიდმცყრობელურ-შოვინისტურმა გამოხდომის ქართველი საზოგადოების დიდი გულისწყრობა გამოიწვია. პირველი მას გამოეხმაურა ილია ჭავჭავაძე, შემდეგ კი სხვა გამოხერხილი ქართველი მოღვაწეებიც: ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ა. წერეთელი და სხვ.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მებირიახტრე ილია ჭავჭავაძე და მისი თანამებრძოლება, როგორც ცნობილია, „ვეფხისტყაოსანის“ განიხილავდნენ რეალისტური ხელოვნების პრინციპების მიხედვით. ძველი ქართული მწერლობიდან ილია სპეციალურად ეხე-



ბოდა, ისიც პოლემიკურ ასპექტში, მხოლოდ „ვეზნისტყაოსნის“ საკითხებს. მოთა რუსთაველს იგი გრინის შემოქმედს უწოდებდა, რომლის პოემას „მთელმა ფრმა შიგ ჩაატანა თავისი ცრემლი და თავისი სიხარული, შიგ ჩაახვია თავისი სული და გული, შიგ ჩაწინა თვისნი უკეთესნი ფიქრი, ზრახვანი, გრძნობანი...“

XX საუკუნის დამდეგს ბრძოლამ რუსთაველის გაზშემო რამდენადმე განსახავებულ ხასათი მიიღო, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ასპარეზზე გმოვიდნენ ქართველი სიმბოლისტები — ე. წ. ცისფერყანწელები. ეს იყო პერიოდი, როცა ქართულმა მხატვრულმა ლიტერატურამ რეაქციის მძიმე სუსტი განიცადა. მწერალთა დიდი ნაწილი (განსაკუთრებით აალგაზრდობა) აღმოჩნდა ანტისოციალურ-დეკადენტური იდეების ტკვეობაში. მღვიმარეობა დიდად არ შეცვლილა არც მერწევიების ხანძოკლე, მაგრამ სუსტიანი ბატონობის პერიოდში. იგი არა თუ ხელს არ უწყობდა მხატვრული ლიტერატურისა და კრიტიკული აზროვნების იდეურ გაჯანსაღებას, პირიქით, ამძიმებდა და აძნელებდა ატმოსფეროს. სწორედ მაშინ ფრთა შეისხა და გავრცელდა შოკინიშიბი, დავიწყებას მიეცა კლასიკური მწერლობის საუკეთესო ტრადიციები. ლიტერატურა მოწყდა ხალხის ნამდვილ ცხოვრებას, მან დიდი იდეური კრიზისი განიცადა.

ასეთ ვითარებაში თითქოს მოსალოდნელი იყო, რომ ანტირეალისტი ცისფერყანწელები უარყოფდნენ რუსთაველს, მაგრამ მოხდა პირიქით: მისინ შეეცადნენ მოკავშირედ გაეხადათ დიდი პოეტი და დაეპირისპირებინათ იგი ილია ჭავჭავაძესა და სხვა გამოჩენილი სამოცავანებებისათვის, რომელმაც ტიციან ტაბინის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მწერლობა გაიხადეს სამიტინგო ზალად და პოეზია გაზრდად“. ცისფერყანწელთა ეს გამოჩენილი ოროჩეტიკოსი ისეთ შესანიშნავ მწერლებს, როგორიც ილია და აკაკი იყვნენ. „ცრუ რუსთაველებს“ უწოდებს და აქედან უკვე ნათელი ხდება მისი დამოკიდებულება თვით რუსთაველისა-

ლი და საერთოდ კი ჰეშმარიტი რეალისტური შემოქმედებისადმი,

ფრომალისტური ესთეტიკის პოზიციებიდან შეაფასა ტიციან ტაბინემ „ვეზნისტყაოსნი“, გამოაცხადა იგი თვითმიზნურ ნაწარმოებალ, „წმინდა ხელოვნების“ ნიმუშად და, მიუხდავად იმისა, რომ პოეტის პროლოგი სასესმით მართებულად აღიარა ქართული პოეტიკის საუკუნიად. ვერ ჩაწვდა რუსთაველის ესთეტიკის ძარითადი დებულების — შაირობის. უტილატარულ-შემეცნებითი გაების შინაარსს და გათანაბრა იგი ფრინგული სიმბოლიზმის ფერებდებლის პოლ ვერლენის ცნობილ დებულებასთან, „მუსიკა უპირველეს ყოვლისა“. ტიციანი პოლემიური ტონით წერდა: „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში საფუძველი ეყრდნა ქართულ პოეტიკს. რუსთაველისათვის შაირობა სიბრძნის ერთი დარგია „სალვოო სალვოოდ გასაგონი, მსმენელთავის დიდი მარგი...“ ამ ტექსტს ბერი ინკვიზიტორული კომენტარია მიუღია, მაგრამ უბრალო გრამატიკული და ლოდიკური ანალიზი გულისხმობს, რომ რუსთაველისათვის სასმენლად მარგებლობა მოკლებულია იმ კულგარულ გაგებას, რომელიც მისცეს მას უტილიტარისტებმა. ესთეტიკში უფრო საგულისხმოა, რომ რუსთაველი იცავს პრიმატს მუსიკისას ლექსში, რაშიც ის ხვდება... პოლ ვერლენს...“<sup>1</sup>

მა შემთხვევაში ტ. ტაბინიე ეკამოთება: არა მარტო რუსთაველის იმ მეცნევართ, რომლებმაც პოემის პროლოგში განვითარებული შაირობის თეორიის უტილიტარული გაგება მიიღეს და აღიარეს, არამედ უპირველეს ყოვლისა თვითონ რუსთაველს, რომელმაც თავიდანვე ნათლად განსაზღვრა შაირობის (პოეზიის) რაობა საზოგადოება და მისი საციფიკური ბუნება, კერძოდ. როგორც ცნობილია, პოეზიის საკითხს პროლოგში შეიღი სტროფი აქეს დათმობილი და წარმოაღენს პოეტის დეკლარაციას, რომელიც მთლიანად ეგუება, შეესიტყვება ნაწარმოებს. პროლოგში მოცემულია ის,

<sup>1</sup> „ცისფერი ყანწები“, 1916 წ., № 2. გვ. 18.

რაც შემდეგ მხატვრულად განსხვეულებულია „ვეფხისტყაოსანში“. ტ. ტაბიძე წერს: „შოთასაგან რომ პროლოგის მეტი არაფერი დაგვრჩენდა, შემოქმედი კრიტიკი იქიდანაც იგრძნობდა გენის სუნთქვას!...“

მოუხედავად იმისა, რომ ტ. ტაბიძემ ასეთი მაღალი შეფასება მისცა „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგს და რუსთველოლოგთა ის ჭეშმარიტი მოსაზრება გაზიარა. რომ პროლოგი პოემის ორგანული ნაწალია, რუსთაველი არის ეგნიოს მხატვარი და ა. შ., იგი მაინც ვერ ჩასწევდა, როგორც უკვე ვთქვით, მაირობაზე რუსთველური მოსაზრების სიღრმეს და ჭეშმარიტებას. მსოფლმხედველობრივა შეზღუდულობამ, კერძოდ, დეკადენტურია ესთეტიკის ერთგულებამ შეუშალა ხელი ტ. ტაბიძეს გაეზიარებინა. რუსთაველის უტილიტარული შეხედულება შარბობაზე — პოეზიაზე, რაც იმაში მდგომარეობს, რომ პოეზია ცხოვრებას უნდა ემსახურებოდეს და ცხოვრების სასარგებლო სახელმძღვანელო უნდა იყოს — „მსმენელთათვის ღილა მარგი“, განსაკუთრებით ეს ტაეპი არ ეგუებოდა ქართველი სიმბოლისტების, კერძოდ, ტ. ტაბიძის ესთეტიკურ კონცეფციას. თეორია „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ ნიშნავს, რომ პოეზის მიზანია არა რეალური ცხოვრების, არამედ ირრეალურისა და ფანტასმაგრობრიულის ასახვა. და ეს სრულიად კანობზომიერია, თუ გავთვალისწინებთ ხელოვნების დეკადანისი სოციალურ საფუძველს — იმპერიალიზმის ეპოქას, როცა ბურგუაზიის ცხოვრებას გარდუანილად თან ახლავს დაცემულობის განწყობილებები. რაც შეეხება შოთა რუსთველს, ის კერძოითარ შემთხვევაში ვერ გაიზიარებდა თეორიას „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, რადგანაც გამოხატავდა გაბატონებული ფეოდალური კლასის ყველაზე მოწინავე წრის სულისკვეთებას, კლასისა, რომელიც აღმავლობის ფაზაში იმყოფებოდა და სწორედ „აქედან მომდინარეობს შოთას შეხედულებაც პოე-

ზის შესახებ, მისი უტილიტარიზმი“<sup>1</sup>. „რუსთაველი იცავს პრიმატს მუსიკურა სას, რაშიც ის ხვდება პოლ ვერლენს!— წერდა ტ. ტაბიძე. ეს იმას ჰგავს, ამტკიცო, ცა და დედამიწა ერთ სიბრტყეზე მდგრადობენ. სიმბოლისტებისათვის პირზის შინაარსი მუსიკა. მათმა თეორეტიკოსმა პოლ ვერლენმა პოეზიას გამოუცალა მიზანი, იდეა. ლექსი ძალ დაიყვანა მუსიკალურ ერთობლამდე, რომელიც არავთარ შემთხვევაში არ შეიძლება უერცეს რეალისტურსა და სოციალურს. ლექსმა უნდა გამოსახოს ზმანებები, მირავები და გაორებული სახეებით, ქადაგებდა ვერლენი ლექსი „პოეტური ხელოვნება“, რომელიც სიმბოლისტური ესთეტიკის ჭაპულხედი გახდა.

რუსთაველი პოეზის მუსიკალურ მხარეს, რა თქმა უნდა, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს. პოეზია, მისი აზრით, უნდა იყოს „საღმრთო საღმრთოლ გასაგონი, მსმენელთათვის ღიდა მარგი“, მაგრამ მარტოონეგ სარგებლიანობა როდის პოეზიის განმსაზღვრელი. სარგებლიანობა, ე. ი. იდეურობა შესაფერის მხატვრულ ფორმაში უნდა გამოიხატოს. პოეზის ფორმა, მისი მხატვრულობა უდიდეს ესთეტიკურ სიამონებას ჰვერის მკითხველს და სწორედ ამ თავისი ფორმით იგი, პოეზია, სასარგებლო რასმე უფრო საგრძნობლად და უფრო მისაღებად ხდის:

„კვლა აქცა იამების,  
ვინცა ისმენს კაცი ვარგი“.

იამების — ნიშნავს, რომ პოეზიას სასარგებლო რამ აქეს დაეისრებული სახია მონვნო მხატვრული სახეებით გამოსაცმად. რუსთაველი ფილოსოფებს შინაარსისა (აზრისა) და ფორმის ერთიანობის პრინციპს. სიმბოლისტები კი გულმოძგინედ თიშვერნენ ერთმანეთისაგან სწორედ შინაარსსა და ფორმს. ფორმა და მხოლოდ ფორმა — ის რა იყო მათი ძიების საგანი. აქედან გამომდინარე, რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ სიდიადეს ქართველი სიმბოლისტები ბოემის ევფონიურ (ბერლულ-გამომსახველობით) მხარეში ხედავდნენ და უგულებელყოფდნენ

1 „ცისფერი ყანწები“, 1916 წ., № 2, გვ. 17.

მის იდეურობას. „რუსთაველი მე მესმის, — წერდა ტ. ტაბიძე, — როგორც ქართული სიტყვის შემკრები ერთეული. მომავალ დიდ მხატვარში უნდა შეხვდეს რუსთაველი და მალარმე“.

ფრანგული სიმბოლიზმის ფუძემდებლის მალარმეს მიხედვით, ლექსი მაღალმხატვრულია, თუ მისი შინაარსი გაუგებარია. ქართველმა სიმბოლისტებმა გაიზიარეს მალარმეს ეს დეკადენტური მოხაზუება. ტ. ტაბიძას მოთხოვნით, მომავალ დიდ მხატვარში ერთმანეთს უნდა შეხვედროდა მალარმე და რუსთაველი. ეს ნიშნავდა მოთხოვნას: ბუნდოვანება ლამაზ მხატვრულ ფორმაში.

ამგარად, ცისფერყანწელები ისევე, როგორც მათი ეკრიპტელი მასწავლებლები, მხატვრულ ფორმას აფეტიშებდნენ და ამ პოზიციიდნ შეაფასეს მათ რუსთაველიც. ისინ უგლებელოფენენ პეშარიტებას, რომ რუსთაველი აზისა და მისი შესატყვისა მხატვრული ფორმის მთლიანობის ვირტუოზი ხელოვანია.

წარსულის პოეტებიდან ქართველმა სიმბოლისტებმა ამოიჩინეს შოთა რუსთაველი და ვაჟა-ფშაველა (ეს უკანასკნელი სიმბოლიზმის დაწყებად მონათლეს) და ორივე — ვაჟა-ფა და რუსთაველიც „წმინდა ხელოვნების“ მასხურებად აღიარეს. „არის ორი მწვერვალი ქართულ პოეზიაში, — წერდა შალვა აფხაიძე, — შოთა რუსთაველი ქვეული ლეგენდად.. ვერიალურ და ბუმბერაზ ხაზებში ფშაველა ვაჟა“<sup>1</sup>. შ. აფხაიძე განმარტავს თვითეულის ლირებას. „რუსთაველთან სიმფონიური რკალით მოდის ქვეული რასის მაისის მხემდე ასული კულტურის ციკლი, იქ სიტყვაში დატრალებულია ნაპირზე მომდგარ სიკვდილის ინტუიცია... ჩვენთვის უფრო ახლოა, როგორც ობიექტი ფსიქოლოგიურ და პოეტური განცდის პოლუსი პირველი, რომელშიც გაიშალა საუკუნე კატასტროფის მოლდინით... უფრო საყვარელია შორეული ვაჟა მოულოდნელ პერსპექტივით,

<sup>1</sup> „ბახტრიონი“, № 7, 21 აგვისტო (წლის თარიღი ამ განხეთს არა აქვს — ნ. დ.).

ხელუხლებელ მადანებით, მაყვალ ქართული და ბაზაროსულ ეფექტებზე მომდევნობის გადასახმავი რუსთაველის სიტყვაში „დატრიალებული სიკვდილის ინტუიცია, საუკუნე კატასტროფის მოლოდინით“ და „შორეული“ ვეჯ „ბაზარისულ ეფექტებით.“ რუსთაველისადმი დამოკიდებულებაში ცისფერყანწელთა შორის შალვა აფხაიძეს უკიდურესი პოზიცია ეყირა. მან ქართული პოეზიის რენესანსი ცისფერყანწელთა მოღვაწეობას დაუკავშირა და არა რუსთაველს. შ. აფხაიძე პირდაპირ წერდა: „ხელოვნების რენესანსის სადავე ახალმა შეკოლამ — სიმბოლიზმა დაიკვანეს ხელში, იგი სხვა გზას ვერ არჩევდა“.<sup>2</sup>

აშკარაა, რომ ახალგაზრდა პოეტის ნიკილისტური შეხედულებები აქ არა მარტო რუსთაველს, არამედ მთელ ქართულ მწერლობას გადაწვდა.

ქართული კულტურისა და ხელოვნების რენესანსი, რომელიც XII საუკუნის მონაცოვარია და „ვეგხისტყაოსანს“ უკავშირდება, შ. აფხაიძე გადმოიტანა XX საუკუნის პირველ ათეულ ქულებში, რეაქციის მძვინვარების ხანაში და მის მესავეურებად ცისფერყანწელები გამოაცხადა.

ცისფერყანწელები ბევრს წერტილებროვნულ დეკადანშე, ქართული ენის და ლექსის გადაგვარებაზე რუსთაველის მომდევნო კონკაში. „რუსთაველის შემდეგ ქართული ენა გადაგვირდა და ლექსი გაიტეხა. ჩვენში დღემდე გრძელდება ეს ეროვნული დეკადანი“, — წერდა ვალერიან გაფრინდაშვილი.<sup>3</sup> ხელოვნებისა და ლიტერატურის, კერძოდ, პოეზიის ნამდვილი დეკადანი ჩვენში დაიწერ 1916 წელს, როცა ქართველმა სიმბოლისტებმა გაფორმეს თავისი ორგანიზაცია, ვამოსიც უკრანლი „ცისფერი ყანწები“ და პირველივე დეკადარაციით თავი გამო-

<sup>1</sup> „ბახტრიონი“, № 7.

<sup>2</sup> „მეოცნებე ნიამორები“, ოქტომბერი, 1919 წ. გვ. 9-10.

<sup>3</sup> „მეოცნებე ნიამორები“, 1923 წ. № 9, გვ. 6.

აცხადეს „განახლების მეთაურებაზ“. ო. თოვტა ქართველ სიმბოლისტებს „ვაჭ-  
ისტყაოსნის“ მეცნიერულ კვლევა არ  
ცურარმობით, ცალკეულ თეორიულ სტა-  
ტიკებში ბევრი მცდარი ზოგადი შეხედუ-  
ლება გამოთქვეს. გამოდიოდნენ რა დეკა-  
დვენტური ესთეტიკის პოზიციებიდან.  
მით „ვეფხისტყაოსანი“ შეაფასეს მხო-  
ლიდ და მხოლოდ მხატვრული ფორმის  
ძიხედვით, გააფერიშეს პოემის მხატვრუ-  
ლი მხარე, რითაც უგალებელყვეს მისი  
მაღალი იდეურობა და კუმანჯი. ეს  
ერთგული ნიპილიზმის თავისებური გა-  
მოვლინებაა. მას ასაზრდოებდა რეაქცი-  
ოს ეპოქა.

ამვე დროს ქართველი სიმბოლისტების  
ციფრი შეხედულებებს „ვეფხისტყაოსან-  
ზე“ საერთო არაფერი იქნა არც აღორ-  
მინების პერიოდის რელიგიურ-სარწმუნო-  
ებრივ ბრძოლასთან და მით უმეტეს არც  
XIX საუკუნის დასასრულის ერთგულ  
ნიპილიზმთან. ივანე გაბადარის დიფ-  
ნიცყრობელურ-შოვინისტურ გამოხდომებ-  
თან. ცისფერყანწელები არათუ არ უგუ-  
ლებელურფდნენ რუსთაველის დიდ სა-  
ხელს. ერთ-ერთი ცისფერყანწელის სიტ-  
ყვებით რომ ვთქვათ, იგი „თვალშეუდგამ  
ძრწყინვალებად“ მიაჩნდათ. მაგრამ სამ-  
წეხაროდ, როცა ასე ამბობდნენ ისინი  
მხოლოდ და მხოლოდ პოემის მხატვრუ-  
ლი ფორმითან გამოიდინენ.

ქართველი სიმბოლისტების ეს ზოგად-  
თეორიული შეხედულებანი შოთა რუს-  
თაველსა და მას პოემაზე დადასტურებუ-  
ლია მით მხატვრულ შემოქმედებაში.

დავიწყოთ პარლო იაშვილით.

1913-1923 წლებში შექმნილი 3. იაშ-  
ვილის ლექსები გამოხატვენ მათი ავტო-  
რის დიდ სიციალურ ტრაგედიას. „წმინ-  
და ხელოვნების“ თეორიით და სიმბოლი-  
ზმის ფუძემდებელი ფრანგი პოეტების  
შემოქმედებით გატაცებას და ინდივიდუ-  
ლიზმის, მისტიციზმისა და ეროტიზმის  
ცოდნებისა.

1916 წლს დაწერილ უსათაურო ლექ-  
სით პარლო იაშვილი უას ამბობს წარ-  
სკლის კადასიკურ მემკვიდრეობაზე. მაგ-  
რამ ჯერმერის მით ეს შეხება უცხოელ  
კლასიკოსებს:

„პარლო იაშვილს მომეწყინა უცხოელი  
დღიტი,  
ვაქებდი შექსპირს, მაგრა ფარდა,  
შექსპირს უარი,  
რა ექნა, რომ ჩემთვის ბეთოვენი  
მხოლოდ ყრუ არი  
და რომ წარსულმა ვერ გამომდა მე  
ანდამანტი“.<sup>1</sup>

წარსული ეპოქების ის შემოქმედი, რომელიც ხელოვნების უპირველეს ღა-  
ნიშნულებად თელიდნენ ცხოვრების გა-  
უმჯობესებისათვის ბრძოლას და გამოხა-  
ტავდნენ პროგრესულ იდეებს, გაუგებარი  
თარისა ახალგედა. სიმბოლისტისათვის.  
ის სრულიად მარტო გრძნობდა თავს.  
ცაჟა-უშაველა. სულხან-საბა ორბელიანი  
და შოთა რუსთაველიც კი უცხონი იყვ-  
ნენ მისოვის. ვერ შველდნენ მის მარ-  
ტობას:

„ვეკონტულობ შოთას, ვაჟას და  
საბას  
და ვერ შშველიან მათი წიგნებიც.  
ეწევები... თავამდე ვიხურავ საბანს,  
მესმის: „მარტო ხარ, მარტოც  
იქნებია“.<sup>2</sup>

შეკათა. რომ შემოქმედების გაზაფხუ-  
ლება — 1913-1916 წლებში პ. იაშვილის  
პოეზია და მსოფლმხედველობა სათავეს  
ღებდა დასავლეთ ევროპის სიმბოლიზ-  
მიდან. მომდევნონ წლებშიც არაფერი  
შეცვლილა. პოეტი მტკიცედ იდგა იდე-  
ალისტურ-დეკადურებად ესთეტიკის პო-  
ზიციებშე. მაგრამ პ. იაშვილის ზოგიერთ  
ლექსით გამოჩნდა ქართული, ეროვნული  
სახეები. კერძოდ, შოთა რუსთაველი. სა-  
ინტერესო ის არის, რომ სიმბოლისტი  
პოეტი რუსთაველთან ალავრდს გადადი-  
ოდა (ლექსი „ავტოპორტრეტი“, 1917 წ.).  
რომ არაფერი ვთქვათ ამ ახალგაზრდულ  
გამჭედლობაზე, საყითხავია, რატომ აირჩია  
პ. იაშვილმა აღავერდად რუსთაველი?

რუსთაველი მას ესახებოდა „წმინდა  
ხელოვნებას“ უპირველეს მსახურად,  
„ცეტესტყაოსანი“ კი მხატვრული ფორ-  
მის ძიხედვით გრუმეორებელ ქმნილე-

1. პ. იაშვილი. ერთომეული 1955 წ.,  
გვ. 121.

2 იქვე. გვ. 108.

არ ვედავები შოთა რუსთაველს „*მარტინ გავტონი*“.

ბად. ლექსში „*ავტოპორტრეტი*“ პ. იაშვილი თავისთავის უწოდებს „*დენდას*“, რომელსაც უაილდის ყელსახვევი ამჟენებს და არის „*ლამაზ რითმისთვის ერთი წუთით ჩაფიქრებული*“. იგი ქადილით აცხადებს, რომ ართობს მშვენიერ ქალთა კრებულს, უსაგნო ლირიკოთ გატაცებულია და თანამდგომ პოეტად რუსთაველს თვლია:

„*შევხარი მზესა, ვეტრფი  
მთვარის კვითელ ხავერდსა  
და რუსთაველთან გადაუდავარ  
შე ალავერდსა.*“

რაკი რუსთაველი ფორმალისტური ესთეტიკის წარმომადგენლად მიიჩნია, სავსებით კანონზომიერად უნდა ჩაითვალოს სიმბოლისტი პოეტის მისწრაფება — მასთან ალავერდი გადავიდეს.

რაც შეეხება ქართული სიმბოლიზმის გამოჩენილ თეორეტიკოსს ვალ. გაფრინდშვილს, მასაც პოეზიის მთელი შინაარსი ესმოდა როგორც ცისფერი ყვავილივით უკვდავი სიტყვების შეჩევა, ე. ი. ფორმალისტური ძიებანი, მაგრამ პ. იაშვილისაგან განსხვავდით, რუსთაველის მოასპარეზობილან თავი შორს ეჭირა:

„*მე უკვდავ სიტყვას, ვით ცისფერ  
ყვავილს,  
დავეძებ ყოფნის ვიწრო არეზე.*“

რუსთაველი ფორმალისტური ესთეტიკის წარმომადგენლად მიაჩნდა თითქმის ყველა ცისფერყანწელს და ყველა მათგანი ნიშანა და ენერგიას იმაზე ხარჯავდა; რომ ლამაზი რითმები და სიტყვები შეერჩია. ლექსში „*ორპირი*“, რომელიც 1926 წელსა დაწერილი, ტ. ტაბიძე სინანულით შენიშვნავს: „*მე ვინ მალირსებს რუსთაველის სახელს, მაგრამ ოცნება მარც ტკბილია.*“ დასახელებული ლექსის მხატვრული სახეები და განწყობილებები გვარტშმუნებენ, რომ მისი ავტორი კმაყოფილი არ არის საკუთარი ფორმალისტური მონაგარით და მხოლოდ ოცნებიბს. რომ რუსთაველს გაუტომდეს...

ამრიგად, ქართველი სიმბოლისტები „*ვეფხისტუყაოსნის*“ მეხოტენიც იყვნენ და ამავე დროს თავისებური გამყალბებლებიც, რაკი ხაზს უსვამდნენ მარტო-დენ მხატვრული ფორმის სიდიადეს. ეს, რა თქმა უნდა, ჩრდილს აყენებდა ფორმისა და შინაარსის მხრივ ამ უკვდავი და შეუდარებელი ქმნილების მნიშვნელობას. „*ცისფერყანწელთა*“ შეცდომა ფორმალისტური ესთეტიკიდან მომდინარეობდა, რომლის ტყვეობაშიც ისინი ორ ათეულ წელზე მეტ ხანს იმყოფებოდნენ.



## გიგლა მაგარა

### დემონი—რიმიზი ქავთარაძე

ამ სამოცი წლის წინათ გალა-  
კტორნ ტაბიძის კვალს ამოჰყვა და  
მისთან ერთად სამწერლო ასპარე-  
ზშე გამოვიდა მისი სემინარიელი  
ამხანაგი და ახლო მეგობარი, დე-  
მონის ფსევდონიმით ცნობილი  
ახალგაზრდა პოეტი დიმიტრი ქა-  
ვთარაძე. ეს პოეტი გალაკტიონს  
ფეხდაფეხ მიყვებოდა, მაგრამ  
სულ ორ წელიწადს. მან ტრაგიკუ-  
ლად დაასრულა თავისი ცხოვრება  
—1910 წელს თავი მოიწამლა.

თავის ხანმოკლე სიცოცხლეში  
დემონს ბევრი არ დაუწერია, მაგ-  
რამ რაც დაწერა, ჭეშმარიტი პო-  
ეზიის ისეთი ნათელი სხივებით არ-  
ის განათებული, რომ მისი დავი-  
წყება უსამართლობა იქნებოდა.  
ჩვენ გვსურს მისი დავიწყებიდან  
მზეზე გამოყვანა, მისი საკმაოდ  
მდიდარი შემოქმედებისადმი ყუ-  
რადლების გამახვილება.

ჩვენი პირველი განმათავისუ-  
ფლებელი რევოლუციის — 1905  
წლის რევოლუციის დამარცხებას  
მოჰყვა ლირებულებათა გადაფა-  
სება და ერთგვარი ჭაობის ტენდენ-  
ციების გაძლიერება. ბევრმა დაკა-  
რგა მომავლის რწმენა და შექმნილ  
შავბნელ სიღუხჭირეს თავი და-  
უხარა. გალაკტიონი მათ გამოეთი-  
შა. მის გზას გაჲყვა დემონიც.  
თამამად შეიძლება ითქვას, რომ  
ქართული ლიტერატურის კარები  
გალაკტიონმა გაულო მას და პო-  
ეტმა პირველსავე ლექსებში გა-  
მოიჩინა უტყუარი ნიჭი, დაიმსა-  
ხურა მკითხველთა საყოველთაო  
სიყვარული. ყველა აღფრთოვანე-  
ბული იყო მისი ლექსებით და  
დიდ მომავალსაც უწინასწარმეტ-  
ყველებდნენ.

მაგრამ ამ წინასწარმეტყველე-  
ბას და იმედებს მალე ფრთები

შეეჭრა. მაშინდელი დამყაყებული ცხოვრებით გამწარებულმა პოეტმა სიცოცხლეს თვითონვე გამოუტანა მკაცრი განაჩენი და თვითმკვლელობით მოულო ბოლო. აი როგორ დაიტირა ეს ნიჭიერი პოეტი ქუთაისის ქართული გიმნაზიის მოსწავლეთა ერთდღოულმა ალმანახმა „სკოლა და ცხოვრება“, რომელიც 1910 წელს გამოვიდა.

„ამ რამდენიმე ხნის წინად გაზეთებმა მოგვიტანა შემდეგი შემაძრწუნებელი ამბავი. ამ. დემონმა თავი მოიწამლა და რამდენიმე საათის წვალების შემდეგ გარდაიცვალა. ეს ამბავი ჩვენ ელდასავით გვეცა და გაოცებით გავიძახოდით — ნუთუ ამ სულის შემხუთავმა რეჟიმმა კიდევ იმსხვერპლა ერთი იმ ამხანაგთაგანი, რომლის ლექსები მტკიცედ გვიხატავდა იმის გულის წადილს, მაგრამ საწყალობელს არ დასცალდა თავისი მიზნის შესრულება და უდროოდ გარდაიცვალა.

„დემონი (დიმიტრი, ქოჩო ქავთარაძე) იყო შვილი დეკანოზის სკომონ ქავთარაძისა, დაბადებიდან 20 წლისა. პირველ დაწყებითი სწავლა მიიღო ახალსენაკის სასულიერო ორკლასიან სასწავლებელში. კურსის დამთავრების შემდეგ თბილისის სასულიერო სასწავლებელში შევიდა. მესამე კლასამდე მოასწრო სწავლა და 1910 წელს 18 იანვარს თავი მოიწამლა. სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა დემონის ფსევდონიმით 1908 წ.

და სწერდა მეტად შინაარსიანი ლექსებს.

„ძვირფასო ამხანაგი! თუმცა არ დაგცალდა შენი გულის ჰანგები ყველასათვის გაეგზარებია, მაგრამ მაინც მოწაფეები არ დაგივიწყებენ, როგორც ნამდვილს და შეგნებულ ამხანაგს, არ დაგივიწყებენ, როგორც პირადი ნაცნობნი, ისე უცნობნიც — ვისაც კი შენი შინაარსიანი ლექსები წაუკითხავს. ქუთაისის შეგნებული მოსწავლე ახალგაზრდობა უკანასკნელ სალამს უძლვნის შენს ხსოვნას და გულითადი მწუხარებით გითვლის საუკუნო ხსენებას. დაუკიწყარი იქნება, ამხანაგო, შენი ხსენება ჩვენს გულში“.

ქუთაისელ გიმნაზიელთა ალმანახმა „სკოლა და ცხოვრება“ ტყუილად როდი დაიტირა ასე გულმწვავედ მართლაც დიდი ნიჭის პოეტი.

თავისი ცხოვრების ტრაგედიას დემონი ნაწილობრივად ამყდავნებს იმ ლექსში, რომელსაც „დედის საფლავთან“ ეწოდება და რომელიც ზემოთ ნახსენებ ალმანახში ნეკროლოგთან ერთად დაიბეჭდა. ამავე დროს მასში კარგად ჩანს პოეტის დიდი და მდიდარი სულიერი სამყარო, მისი სუსტი და ძლიერი მხარეები. ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ დემონის შემოქმედებას თანამედროვე მკითხველი ირ იცნობს. ამიტომ აქ სრულად მოგვყავს ეს საკმაოდ ვრცელი ლექსი, როგორც პირების ცხოვრებისა და შემოქმედების დიდი დოკუმენტური ძეგლი.

სულით ობოლი, ბეჭისაგან ანატირები  
 ფედას კეტბდი, დაჩავრულმა ვნახე სამარე,  
 სიჩუმე იყო, საიდუმლოდ ქროდა ნიავი  
 და ღრუბლებს შუა სკედიანი ცურავდა მთვარე.  
 ლოდზე ჩამოვჩექ, დალნებით შორს გავურუბდი,  
 ირგვლივ ღუმილი ჩემს კაეშანს ეფარებოდა,  
 ცა დასხრილი, ჩადრ მოსხმული ზე დამყურებდა  
 და მთვარის შუქი მის სივრცეში შთანთქმებოდა.  
 შევწი აჩრდილნი დაცურავდნენ საცლავებს შუა,  
 მათი ჩურჩული საიდუმლოდ ნიავს არხევდა,  
 შორს გადაჭონდა მთის ნიავსა მათი ნათქვამი,  
 იფინებოდა გარს გლოვის ხმა, სევდა-ვაება.  
 დედავ ძვირფასო, საბრალოა შენი შობილი  
 ბედით დასხილი, ყველასაგან დევნალ-გმობილი,  
 მან კელარ პპოვა მეგობარი, სატრფო გულისა,  
 არ განუცდია მას ნუეში სიხარულისა.  
 დადის მარტყა განდევგილი, დალნებული  
 ექებს მეგობარს, რამ გაანდოს მას ტანჯვა გულის,  
 მას მიკეცდლოს უსამართლოდ დაობლებული,  
 რომ გააგონის კეთილ გულში ხმა სიპრალულის.  
 ექებს საბრალო, ალარ იქნა, კედარ იპოვა,  
 მუდამ ობოლი შენთან მოდის, დედავ ძვირფასო.  
 შენ შეგიძლია შეუხვიონ გულის იარა,  
 შენ, მხოლოდ შენ გიძს მისი გრძნობა შენ დააფასო,  
 უბედურ შევალსა სიზმრად მაინც გამოეცხადე.  
 შენ იყავ მისი ამხანაგი და მეგობარი,  
 შენ განდობს გულსა, სოფელიდან გამოქცეული;  
 უსამართლობით ანატირი და განამწარი  
 შევევითინებდი შრიალ-ობოლი დედის საფლავსა,  
 მაგრამ ის სდუმდა, არ მაძლევდა მშობლიურ ხმასა,  
 მავი ღრუბელი სევდიან კას ეფინებოდა  
 და ვარსკვლავთ გუნდი მის კალთებში იფარებოდა.  
 დაწყნარებული, უშფოთეველი იყო მიღმიო,  
 შაენი აჩრდილნი გაჩქარებით მიმოცურავდენ,  
 შორით შორს შლიდენ ფრთხებს განიერს სევდიანთა  
 და საფლავებსა დუმილისა ჩადრს ახურავდენ.  
 სულით ობოლი, ბედისაგან ანატირები  
 საყვარელ დედას შევჩინდი ჩემს მწარე ხევდრსა,  
 მაგრამ ის სდუმდა, ჩახუტებულ საბრალო შვილსა  
 სამარის ცარით მისველებდა მღელვარე მეერდსა.

ეს ლექსი დემონმა დაწერა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის პირველ წლებში, მაგრამ მასში სრულებით არ იგრძნობა დამწყები პოეტი. ზღვა გრძნობები, უდიდესი

განცდები, დიდი პოეტური წვალირიცული განწყობილების ფონზე კიდევ უფრო მწველი და მომაჯადობელია. იგი შეუნელებელი ანტერესით იკითხება დღესაც კა.

„დედის საფლავთან“ პირველად  
დაიბეჭდა სოციალ - დემოკრატიულების მოგების თრგანოში „სხივი“, რომელიც გამოდიოდა თბილისში 1909-1910 წლებში და რომლის თანამშრომლები იყვნენ ვ. რუხაძე, ლალიონი (მამულიაშვილი), იასამანი (კინწურაშვილი), ნ. ზომლეთელი (ქურიძე), ფ. რუშაველი, ივ. გომართელი, ვ. მალაქიაშვილი (ხუროძე), ბ. ახოსპირელი, პოლიო ირეიაელი (კალანდაძე) და სხვები.

ურნალ „სხივში“ დაბეჭდილდებს „დედის საფლავთან“ გაეთქმული ქვე შემცევი ს რედაქციო შენიშვნა:

„12 თე 13 იარვარს ჩვენს რედაქციაში შემოვიდა ახალგაზრდა სემინარიელი და რამდენიმე ლექსი შემოიტანა დასაბეჭდათ. ჩვენ ვთხოვთ შემოსულიყო 5 დღის შემდეგ პასუხისათვის. გვიდა რამდენიმე დღე და 18 ოქტომბერს (კორექტურული შეცდომა, უნდა იყოს 18 იანვარს — გ. მ.) შეგვატყობინეს, რომ ამ ახალგაზრდა ჯანღონით სავსე ყმაშვილს თავი მოეწამლა. ის გარდაიცვალა. ვგეხდავთ მის ერთ ლექსს, რომლიდანაც მკითხველი დაინახავს, რომ ის არ ყოფილა ზეგარდმო ნიჭის მოქლებული და შესაძლო იყო მომავალში შესაფერისი ნაყოფი გამოელო. ამ ლექსში (იგულისხმება ლექსი „დედის საფლავთან“ — გ. მ.) აშკარად გამოსჭვივის მისი პესიმისტური სულისკვეთება. ის ექებს მეგობარს. სატრფოს გულისას და ვერ უპოვ-

ნია ამ ქვეყნად. მისი თავისმკვლეულობის მიზეზად კიდეც ეს უნდა ჩაითვალოს. გული გივდება, როდესაც ხედავ როგორ იღუპება ნორჩი, გრი გაუფურჩქნელი ძალა, შევ მიწაში ჩაქვს თავისი ნაზად, სათუთად გაზრდილი ფიქრები.

„საუკუნოდ იყოს შენი ხსენება, საბრალო დიმიტრი თუ ბედმა მოგიძულა და მომავლის იმედები ვერ მოასწარი სხვებისათვისაც გაეცნო თავი, შენი ამხანაგები მაინც საქმაოდ გიცნობენ და ისინი არ დაივიწყებენ შენს სახელს“.

დემონი იბეჭდებოდა სხვა გამოცემებშიც. ასე, მაგალითად, ურნალ „მოწაფეში“, რომელსაც სცემდა ალ. შანშაშვილი, დაბეჭდილია დემონის ლექსი „სიზმარი“. ახალგაზრდა პოეტი ამ ლექსში ჰიმნს უმღერის ერთა ძმობის დიად იდეებს. ამ მხრივ ეს ლექსი ქართულ პოეზიაში მერცხლის პირველ ჭიკჭიკად უნდა ჩაითვალოს. ლექსის შესავალ ნაწილში პოეტი ამბობს:

„მდერნდა მოხუცი ერთა სიყვარულს, ქებით ატებობდა ტურფა შხარესა და სიო ნაკრავ სიმთა ქლერითა უხვად ატებობდა არე-მარესა. ერთ უმზერდა საყვარელ მგოსანს, მეზობელ მტრებთან ხელჩაუიღულა, დავიწყებოდათ შური და მტრობა, ძმურად გარდექმათ მოქიშპე გული. სამოთხე იყო ძმობის ალამი, ამაყად ტაში ჟაფრიალებდა და საზოგადო მოყვასო სიყვარულს შეუჩეველად აღიარებდა. გასწვრივ სალ კლდეზე

გამდმომდგარიყვნენ  
წინ ქეთევანი და თვით თამარი და მთ სიხარულს ბრევ ბანს აძლევდა ბედნებობით სავსე მთა-ბარი“.

5 „ლიტერატურული ქარა“, № 1.



ასე მშვენივრად უგალობა პოეტ-მა ერთა ძმობის უჭქნობ იდების, მაგრამ ეს იყო სიზმარი, მხოლოდ წარმოდგენა. მისთვის სანუკვარი მომავლის იძელები კი ცხოვრების სინამდვილეში გათელილი იყო. ყოველ შემთხვევაში ბრძოლის საგნად იყო გამხდარი და ცხოვრების სინამდვილე მას ასე ეხატებოდა:

„ერთ თვალს იფშვნეტს, ეყო დუმილი, ავლავ განახლებით დგება ივერი. იღვიძებს მხარე, ვხედავ განთიადს აგრე კაშკაშებს სხივი ძლიერი“.

იმავე მოსწავლეთა ჟურნალში დაბეჭდილია ლექსი „გუძლვნი არჩილს“ (არჩილი უნდა იყოს დეპუტატი ჭაფარიძე). მომავლის ნათელი და ღრმა რწმენითა დაწერი: ლი ეს ძლიერ ექსპანსიური ლექსი:

„განთიადისას დადებულ სხივებს წინ ეფარება ისევ ღრუბელი და უმზეობით საბრალო ჭინება მკაცრი ყინვისგან ია სურნელი. მაგრამ ღრუბელი გადიფანტება, კვლავ გაიხსნება მნათობის თაღი და სურნელოვან იავარდებით კვლავ ამზანდება ედემის ბალი.“

ამავე ნომერში დაბეჭდილია დემონის პირველი პროზაული ნაწარმოები „წვეთები“, რომელსაც ავტორი ეტიუდს უწოდებს და უძღვნის სემინარიელ მოსწავლეებს. საცენზურო პირობების გამო იგა იძულებული იყო მიემართა ალეგორიებისათვის. ავტორი ლაპარაკობს წყაროზე, წვეთობით რომ იწყება და თანდათანობით მატულობს; თუმცა კლდეები გზებს უღობავს, სავალს არ აძლევს. მაგრამ ცალკეული წვეთები ერთმანეთთან შეერთების შემდეგ მდინარედ იქცევიან, ძლიერდებიან. მათ

უკვე წინანდებურად სუსტად არ ცემთ გული. როგორც ვხედავთ, მწერალმა ეპოქის დიდი თვალსაჩინო მოვლენა — რევოლუციური ბრძოლა მშვენიერ აღეგორიულ ფორმებში გადაგვიშალა.

გვერდს ვერ ავუვლით დემონის ელეგიური შინაარსის, მაგრამ დიდი სოციალური იდეების შემცველ უსათაურო ლექსს:

„მშვიდი საღამო.

ტურფა საღამო.

შორს ქალაქს გაღმა ამოღის მთვარე.

მყულროებაა, ცა იცრემლება,

ნეტარებითა თრთის არე-მარე.

ფანჯრის ბაქაზე დაყუდებული,

ვეზმერ ბუნებას, სულთქმას ვიყავებ,

და ცუმად, ჩუმად სულგანაბული

ვითვლი ციმციმა ცაზე ვარსკვლავებს.

ბეღნიერებაა, რა იქნებოდა

სიზრათა მაინც გაღმოგევლინა

და ნორჩი ობოლსა ოქროთ ნაკერი

შეზი კალოები გადაგეფიანა.

სულგანაბული შევნატრი მთვარეს

და ძლიერ ვიყავებ ცურემლებს

მდუღარეს“.


— ასეთია არც მთლად სრული სურათი უდაოდ ნიჭიერი, მაგრამ ულროოდ დაღუპული პოეტის დემონის მდიდარი შემოქმედებისა. რომელიც მეტეორივით მხოლოდ რამდენიმე წუთით გამოჩნდა ქართული პოეზიის ეს გაუშლელი ვარდი, მოციმციმე და მოკიაფე ვარსკვლავი, რომლის პირველსავე ლექსებში იკრძობოდა მდიდარი პოეტური სული, მშოოთვარე ფიქრებისა და აზრების დაუშრეტელი მარაგი, ფეხის პირველი აღგმისთანავე მოწიფულობის ნიშნებს რომ იჩენ-

და და თავისი უკვდავი ლექსების  
ელვარებით ყველას რომ იტაცებ-  
და და ხიბლავდა.

ბოლოს, საჭიროდ მიგვაჩნია მო-  
ვიტანოთ გალაკტიონისა და დემო-  
ნის სკოლის ამხანაგის—განსვენე-  
ბულ აკაკი სირაძის მოვონების ის  
ნაწყვეტი, რომელიც დაცულია  
ჩემთან და რომელიც გალაკტიონ  
ტაბიძეს ეხება, მაგრამ დემონსაც  
იხსენიებს. აი ეს ნაწყვეტიც:  
„....იმ ხანებში სემინარიაში სწავ-  
ლობდა აგრეთვე გალაკტიონის მა-  
ხლობელი მეგობარი, დიღათ ნიჭი-  
ერი პოეტი დემონი. ეს ახალგაზრ-  
და უეჭველად ბრწყინვალე მომავ-  
ლის მქონე იყო. იგი იბეჭდებოდა  
მაშინდელ ქართულ უურნალ-გაზე-

თებში და ყველას ძლიერ მოსწონდა  
და მისი ლექსები. მახსოვს, რა  
თავზარდამცემი იყო მისი თვით-  
მკვლელობის ამბის გაგება სკოლა-  
ში. მახსოვს ისიც, თუ რა საშინ-  
ლად იმოქმედა ამ ამბავმა გალაკ-  
ტიონზე, რომელმაც საფლავზე  
მღელვარე, აგზნებული ლექსით  
მიმართა მის უდროოდ გაციებულ  
ნეშტს“.

დემონი ღირსია არ მივცეთ და-  
ვიწყებას, გავიხსენოთ საჭმიანად  
და დაგვიანებით მაინც გამოვცეთ  
მისი ლექსთა კრებული. ეს საჭი-  
როა თუნდაც იმ გარემოს ნათელი  
წარმოდგენისათვის, რომელშიც  
მოუხდა გალაკტიონს პოეზიის ას-  
პარეზზე გამოსვლა.



୫୨ ମୃତ୍ୟୁ  
କାହାରେ

## କାଶେଲ୍ କିମ୍ବା କାମରହିନୀରୀ କାହାରେ ମୂଲ୍ୟବିଦ୍ୟାକାରୀ

ଉ. କଣଠାଲାମ୍ବିନ୍ ଅଧ୍ୟାତ୍ମିକ ସାମାଜିକ ଚାରିତ୍ର୍ୟରେ

...କ୍ଷେତ୍ରରେ କାନ୍ତିନାନ୍ଦ ପଞ୍ଜିଯଶ୍ବର, ତାତିକୁଳ  
ଦ୍ଵାରାମେଳିଲା, ମିଥ୍ୟନାରକ୍ଷା ପୁରୁଷଙ୍କ. ଏହାର  
ପିଲିସ ଗାଲନ୍ଦା ଉତ୍ତରିକ୍ଷେତ୍ରରେ, ମୁଖ୍ୟକାରୀ କଥା  
ଅଧିକାରୀଙ୍କ, ପ୍ରେସରୀଙ୍କ, ରାଜାଙ୍କ ଓ ଉତ୍ସମାଜୀଙ୍କ  
ଦ୍ୱାରା ବେଳିବାରେ ପରିବର୍ତ୍ତନ କରାଯାଇଛି । କାହାରେ  
କାମରହିନୀ କାହାରେ ପରିବର୍ତ୍ତନ କରାଯାଇଛି । ଏହା  
ଏହାରେ କାମରହିନୀ କାହାରେ ପରିବର୍ତ୍ତନ କରାଯାଇଛି ।

ଏହାରେ କାମରହିନୀ କାହାରେ ପରିବର୍ତ୍ତନ କରାଯାଇଛି ।

କାମରହିନୀ କାହାରେ ପରିବର୍ତ୍ତନ କରାଯାଇଛି । ଏହାରେ କାମରହିନୀ କାହାରେ ପରିବର୍ତ୍ତନ କରାଯାଇଛି । ଏହାରେ କାମରହିନୀ କାହାରେ ପରିବର୍ତ୍ତନ କରାଯାଇଛି ।

ଏହାରେ କାମରହିନୀ କାହାରେ ପରିବର୍ତ୍ତନ କରାଯାଇଛି । ଏହାରେ କାମରହିନୀ କାହାରେ ପରିବର୍ତ୍ତନ କରାଯାଇଛି । ଏହାରେ କାମରହିନୀ କାହାରେ ପରିବର୍ତ୍ତନ କରାଯାଇଛି ।

ოოდა და დაკარგვა კონტაქტი ბუნების სამყაროსთან. ხალხი კი მოითხოვს. მან უწინმდღვროს მტრერთან ბრძოლაში. უაღრესად რთულ კონფლიქტში გიხსლართა მინდის პიროვნება. ი. კობალაძემ საკუსხით იგრძნო ეს სირთულე და სპექტაკულის რეესისორთან (გ. უორდანა) ერთად სცადა მისი დამაჯერებელი გადაწყვეტა. სჭირო განდა ცხონგრებისეული პრობლემატიკის წინაპლანზე გამოტანა და ზოგადსაკაცობრიო ჰუმანიზმის ხაზგამით ჩვენება. თუმცა რამდენადმე ბლაკატური ხასიათი მიიღო სპექტაკულის ფინანში ამ ტენდენციამ, მაგრამ იმდენად მართალი, იმდენად უშუალო და პოეტური იყო ი. კობალაძე, რომ ეს სცაც სხვაგვარად აუდერდა.

ტრაგიკული სიმათარე აქვს იმ წუთებს, როცა კომალაძის გმირი ჰკარგავს სმენს. როცა აღარ შეუძლია იყოს მცურნალი და მოთავე თვალის ხალხისა. ხალხს კი ამ შეუძლია უწინნამდღვროდ იბრძოლოს, არ შეუძლია დასთმოს ის, ვისიც სჯერა და სწავს. ქორი აუწყებს საშინელებას. აუწყებს მინდის ბრძოლის ამბავს. კობალაძე გაოგნებული, სულამდე შეძრული ელის როდის გაიღვიძებს ბუნება მის სულში, როდის ამეტყველდება იღუმალი ძალა. იგი ბორგავს, ლელავს, აწყებდა სცანის კიდევებს, და რაც უფრო ძლიერი მისი სულიერი შეშფოთება, გთ უფრო მძლავრია ქოროს ხმა:

რატომ დაპარგე გონება,  
რისთვის გაჭიდე რეულია,  
ახლა ქვეყანაც დალუპე,  
შენ პირში გიღგას სულია!

კერ შევარიგე ბერგვამა,—იტყვის კობალაძის მინდია და ჩვენ გვესმის, თუ რა ნიშავას ეს შერიგება.

კონფლიქტი გადაიჭრა, ისევ დამყარება პარმონია. ისევ ამღრულნენ ბუნების შეილნი, მაგრამ ეს უმსხვერპლოდ არ მომძღვარა. დიდი იღების გამარჯვებას დიდი აღმიანი შეეწირა. კობალაძის გმირი ისე დაეცა, როგორც პატიოსანი ჯარისაცი ბრძოლის ველზე.

უკანასკნელად გაისმა მისი ხმა:

მზეო მუდამაც ყოფილხარ, კელავ იყავ მიწის მხატველი, გარემონტუნთა ადამიანებს, გზა წარუმართო ნათელი. დაუშვა ფარდა, მაგრამ რამპის იქით როდა დარჩა კობალაძის გმირის ცხოვრება. იგი გადავიდა დაზაბზში, შეუერთდა მაყურებლის ფიქრსა და გონებას, სულიერი სიმხეები შემატა მას და დიდი ესთეტიკური სრხარული მიანჭა მაყურებელს.

როცა სპექტაკლი დამთავრდა, იმავე ლაშეს შევხვდი ი. კობალაძეს. იგი იღობებოდა კეთილი ადამიანის ღიმილით და უხაროდა, რომ წარმოდგენამ გაიმარჯვა. მეც რამდენიმე საქებარი სიტყვა უკონარი, მან კი გულუბრყვილოდ შემომხედა და მითხრა: — ჴო, მგონი რალცას მივაგენით. ეს იყო და ეს. იგი ერიდებოდა თავისთავზე ლაპარაქს, თითქოს ეშინოდა ზედმეტი ქებისაც (ასეთ დროს სიმართლეს ამაჯერებლობა აკლდება). მე ეს ევგრძენი და ფრთხილად ერთი შენიშვნაც „შევაპარე“. — არა, მარტო ეგ კი არა, სხვაც არის გასაკეთებელი, — მიასუხა მან და ეს განსაკუთრებით გამეხარდა. ეს იმას ნიშავდა, რომ მსახიობი როლზე მუშაობის გაგრძელებას პირებდა. მჯეროდა, იგი ბევრ ახალ დეტალსა და ფერებს შემატებდა მის შვენიერ აქტიორულ სახეს.

ი. კობალაძესთან ყოველი შეხვედრა დიდი სიხარულია. მას აქვს რალაც ბავშვური უშუალობა და მიმზიდველობა. იგი ხშირად იგონებს ხოლმე იმათ, ვისაც რამე სიყვეთ მინც გაუკეთებია მისთვის. განსაკუთრებით მღელვარებით ახსნებს ს. ახმეტელს. იგონებს დიდ ხელოვანთან გატარებულ წლებს, გაფრენილ სიკაბუეს, იმ ღელებს, მი სიხარულს და იმ გატაცებას, თავისი შემოქმედებითი ცხოვრების გაზაფხულზე რომ პეონდა: ეს იყო რუსთაველის ოეტრში.

\* \* \*

ი. კობალაძემ ასზე მეტი როლი შეასრულა, ასზე მეტი ადამიანის გული ჩაიღა და მისი ფიქრითა და განცდით იცხო-

ვრა. ეს არის სხვადასხეო ხასიათებით, ინტერესებით სავსე სამყარო. ამ სამყარო-ზე კველაფერი ხდება (როგორც ცხოვრებაში), აյ არის კონფლიქტები, მძიეობი ტრაგიული კოლიზიები, არის სევდა, სიყვარული, არის გმირობა, ღალატი, სამართლი და უსამართლობა. ვის არ შეხვდებით აქ — იქნება ეს ფაშისტური ტირანის წინააღმდეგ მებრძოლი პერიონ ნავარი თუ პროფესორი ზანდლუკელი, ვმი-რი არსენა თუ მინა დუღნიკოვი, აქ არიან ბრძენი მოხუცი გოჩა და შემართებული ურიელი, ტრაგიული ბისა და მხედართუფრისი ბაგრატიონი, ამცვეყნად კველაზე ტრაგიული ოიდიპოსი და ოტელო.. და გან მარტო ისინი!

რაღა თქმა უნდა, მეტაც ძნელია ერთმა აღმიანჩა ყოველი მათგანის ცხოვრებით ცეხოვრო. ი. კობალაძემ მოელი ამ მრავალფეროვანი რეპერტუარიდან. გამოყო თავისი აქტიორული ბუხებისთვის. უფრო ახლობელი ტრაგიული სახეები. სწორეული ტრაგიული როლების სცენურ გახსნაში გამომეურინდა მისი თეატრალურ-ესთორიული იდეალიც. კობალაძეს არ უყვარს ხინამდვილის კოპირება, ფსიქოლოგიურ წერილმანებში ჩაძირვა და ნეიტრალიზაცია. იგი ძლიერი, ვნებიანი, სიკეთის და მამკვიდრებელი პაონის შემოქმედია. ფართოა მისი აქტიორული უესტი, მასშტაბური სახის გააზრება.

ტრაგიული სიმბაფრით, ეჭოციური სიღრმითა და შინაგანი ექსპრესიით გამოიჩეოდა მისი ბახა („მოკვეთილი“). ვაჟას რთულმა პოეტურმა სამყარომ შთააგონა მსახიობს ბახას როლში ხსნგასმით მოეცა ძლიერი აღამიანის თვისებები. არა იშვიათდ მომხდარი, როცა ქართულ სცენაზე ბახა წარმოუდგენიათ, როგორც დამცირებული და ბედშავი ჭაბუკი. კობალაძე არ გაყვა ამ „ტრაგიულ“ გზას. ცდუნება კი დიდი იყო. მან უფრო სწორი და უფრო რთული გზა პირჩის: ბახას როლში გვიჩვენა ვაჟაცური ქედუხერლობა, გვიჩვენა მისი ხასიათის ძლიერი შხარეები და ამით მეტი სიმბაფრი მიანიჭა გმირის სულიერ ცხოვრებას. ღრმა შინაგანი კონფლიქტი ჩონთახა და ბახას შო-

რის ბევრად აძლიერებს ემოციურ ჭირვებულებას.

მინდიასა და ბახას როლებს გარკვეული შინაგანი ნათესავური კაშშირი აქვთ თიდობოს მეფეეთის. საქმე მარტო ტრაგედიას უანრა როლი შეეხება. აღმათ, არც ერთ ძართველ მწერალს იძევნი საერთო არა აქვს ანტრიული ხანის ტრაგიკოსებთან, როგორიც ვაკის. ქართველი გენიოსის შემოქმედებაში მართლაც და „უშვენიერებულ სად გაიშალა“ კაცობრიობის უკანასკნელი ძავშვინა, როგორც ეს მოხდეონილად შენიშვნა კ. ზელინსკიმ. განსაცვალისტებელი შუნებრიობა და უღრმესი ტრაგიული განცდა, ფორმის სისადავე და სულიერი მონუმენტალიზმი, ეპიკური სიდიად და ლირიკული სითბო ერთნაირდ ახასიათებდ ვაჟა-შაველასა და ბერძენ ტრაგიკოსებს.

კობალაძეს მორალური უცლება პქონდა შერქინებოდა კველაზე უმძიურეს ტრაგედია. იგი მომზადებული შეხვდა შეფის როლს. ამიტომ არავის გაკირვებია, როცა დიდი წარმატება ხედა „ოიდიბის მეფეს“ (რეპ. ა. ჩხარტიშვილი და შ. ინასარაძე) ბათუმის თეატრში.

ბათუმის თეატრის სცენტრალი „ოიდიბის მეფე“ ჩვენ 1957 წელს ვნახეთ მარჯანიშვილის თეატრის აცენაზე. ეს იქ დროს, როცა მთელ კავშირში ქუხდა დალექსიძის სცენტრალი, როცა საკაშირო ალიარება მოპოვა რუსთაველის თეატრის „ოიდიბის მეფემ“. ასეთ დროს მეტად ძნელია განთავისუფლდე პირველი შთაბეჭდილებისაგან. და მანც, ბათუმელთა წარმოდგენამ ცხოველი ინტერესი გამოიწვია. სცენტრალის მიმართ შესაძლოა გვქონდეს სადა, მაგრამ ერთი რამ ცხადია: წარმოდგენა სატაპო მოვლენაა ბათუმის თეატრის ისტორიაში.

ი. კობალაძემ დიდი ლირიზმი და ინტიმი შეიტანა ოიდიბისის როლში. იგი ჩვენს წინ წარმოსდგა, როგორც დიდულებული პოეტური სახე ტრაგიული ადამიანისა. მან აქ გვიჩვენა ძლიერი მეფის ფაქიზი სული და გრძელობათა დელგა, დაგვანახა რთულ კონფლიქტებში მოქცეუ-

ლი აღმიანის ვაჟკაცური ბრძოლა მოწათან.

ქეთე უნდა გავიხსენოთ სიტყვაძეშვილი, მიუკერძოებელი მკლევერის ა. ფარავას, უზრი. „კობალაძის ოიდიპისი, — წერდა იგი, — ლირიკული გმირა... მის სულიერ თართოლვას, მის განცდებს იმდენი სითანა და გულითადობა ახლავს თან, რომ მე არ შემიძლია კობალაძის მიმართ ზემოაღნიშნული ეპითეტი არ ვიხმარო. ამასთან კობალაძე იშვიათი პლასტიკის მქონე მსახიობია. მისი თავდაცემა, უკაცები, სახის მეტყველება ძლიერი განცდით და ღრმა აზრითაა აღბეჭდილი. მთელი ფიგურა ანტიურ ქანდაკებას ავით პლასტიკურია. ი. კობალაძე ჩვენს დიდ მსახიობს ლადონ მესხიშვილს მაგინებს. საიდან და როგორ წარმოშვე ეს მსგავსება, — ძნელი გამოსაცნობია. ა. მიბაძვაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება, რადგანაც ი. კობალაძეს მესხიშვილი თვალითაც არ უნახავს. ი. კობალაძის ეს შემოქმედებითი მსგავსება ვლ. მესხიშვილთან. ჩემის აზრით, მხოლოდ ეროვნული ნათესაობით უნდა აიხსნას“.

როგორც იტყვიან, კომენტარები ზედ მეტია!

\* \* \*

გოეთემ შექსპირის შესახებ თქვა: „ვანუსაზღვრელია გავიზარდე, როცა მას შევვეხ, ყველაფერი, რაც მასში ვნახე, ჩემთვის უცნობი, ახალი და საოცარი იყო და ამ უჩევულო სინათლე, ამ უჩევულო ელვარებამ თვალი მატენაა“. უცნობი სამყაროს ხილვით გაოცებულ მა გოეთემ შექსპირი მცხუნვარე მეტს შეადარა, რომელსაც იშვიათად თუ ვიმე გაუმართავს თვალს.

მხოლოდ ერთეულმა თეტრებმა შეძლეს შექსპირული გამონათვება სცენიდან.

ბათუმის თეატრი კარგად გრძნობდა ამ სირთულეს. იგი შექსპირში ხედავდა ადამიანისა და ბუნების გრანიოზულ სამყაროს, მის რალაც ღვთაებრივ სიღიადეს. თითქოს ეშინოდა კიდეც ამ უჩევული სამყაროსთან მიახლოება.

ი. კობალაძემ კარგახანს „უტრიალა“ შექსპირულ სახეებს. იგი ფრთხილად და

გულმოდგინედ შეუდგა ოტელოს სამზადისს.

ტრადიცია, ძლიერი ტრადიცია იდგა მსახიობის წინაშე. ი. კობალაძე უნდა გაჰყოლოდა დიდი ტრადიციის ნაკვალებს და ამავე დროს სრულიად ახალი საშუალებებით გაემდიღრებინა სახე. მისი წარმატებაც ამაში იყო. მართალია, მსახიობი ერთბაშად ვერ განთავისუფლდა ტრადიციის ინტერიისაგან, მაგრამ თანდთან მიაღწია სრულ დამოუკიდებლობას და მაყურებელმაც სიხარულით მიიღო მისი ოტელო.

ი. კობალაძის ოტელო კეთილშობილი რაინდია. იგი იბრძების სიმართლისა და სილაპაზისათვის. ამ ბრძოლაში მას ფარივით იცავს მისი დიდი რწმენა ადამიანისადმი. მოკვდა რწმენა და მოკვდა ოტელოც. მსახიობი განსაკუთრებით ძლიერად გადმოცემდა ეჭვიანობის სცენებს. იგი მთრთოლვარე ხმით, დაძაბული ნერვებითა და ალალი გულით ექცედა და კეშმარიტებას, რათა აღლეფინა სიმართლე, მაგრამ უფრო გონიერულად იყო მოქსოვილი ინტრიგების ბადე, რომელშიც გახევია იგი. კობალაძემ სცადა დიდი სიმართლითა და სიწრიფელით მოეთხრო ტრაგიული ისტორია პატიოსანი კაცისა.

ტრაგიულ წუთებში გარინებული აუდიტორია სულმოუთმებელად უსმენდა ოტელოს სულისშემძგრელ აღსარებას და, როგორც გოდება დაყარგულ ბეჭნიერებაზე, ისე ისმოდა ოტელოს ხმა დარბაზში. ეს ხმა აღვიძებდა ადამიანის გონებას და მაღალი ჰუმანური იდეალებისაკენ მოუწოდებდა.

ამ იდეალებს ესწრაფოდა კობალაძის ოტელოც.

\* \* \*

„ბათუმში, სასტუმრო „ინტურისტთან“ არის პატარა კაფე, რომელსაც მე არტისტულს უუწოდებ. როცა ბათუმში ჩამოვდევარ, ყოველთვის იქ მიეისწრავი. ვიცი, რომ იქ შევხედება ნაცნობ ადამიანებს: იქნებიან მწერლები, მსახიობები. და, რაღაც თქმა უნდა, უსათუოდ იქნება ი. კობალაძეც. იგი განსხვავებულ კოლორიტს ძლიერებს მთელ გა არე-მარეს. მას წინა-

თაც ვიყავი ბათუმში. კაფეში რომ შევე-  
დი, ი. კობალაძე დავიწენხე. მომერიდა,  
ჩემთვის ცალკე მაგიდას მიეუჭექი და დი-  
დებული შავი ყავა მოვითხოვე (რომლის  
მსგავსი მხოლოდ კაიროში დამილევია).  
კობალაძემ შემნიშნა და მაგიდასთან მო-  
ვიდა. თვით უხერხელად ვიგრძენი, მე  
უნდა მიისულოყავი (ასევა, ზოგჯერ ახალ-  
გაზრდებს ვეიჭირს ნაბიჯის მოზომვა).  
—როგორ არის თეატრში საქმე? —ვკით-  
ხე იუსუფს. —არა გვიშავს. —მიპასუხა მან  
და წამიერად შეფიქრდა. აღრეც შემიმჩ-  
ნევია: საუბარში ჩაფიქრება იცის ხოლ-  
მე. ვატყობილი, რაღაც აწუხებდა, რაღაცის  
თქმას აპირებდა და თითქოს ერიდებოდა  
კიდევაც. მერე საყვედურით მომმართა—  
იშერათად ჩამოდიხართ. პო, თქვენი წერი-  
ლი წავიკითხე „ცისკარში“. ასე, ხშირად  
უნდა წეროთ „პერიფერიების“ თეატრები-

ზე, ჩალანი წლობით შრომიბს, იშრიმეტები  
ქვენის. საკიროა მათი გამხნევება, გახლი-  
სება, ნურც შენიშვნებს მოერიდებით. ეს  
ისე, სხვათა შორის. გითხარით, თითქოს  
მომეფება და გაჩუმდა.

— თქვენ იუბილეზე უსათუოდ ჩამო-  
გალ, — ვუთხარი მე.

— გამეხარდება, მოსაწვევს გამოგიგ-  
ზახნით.

დილხანს აღარ გვისაუბრია. გავშორდი  
და თან გამყვა მისი კეთილი ღიმილი.  
იუბილეს ეერ დავესწირი. ვიცი, ღიღი  
ზეიძი ზუა ლხანი იყო. მაყურებლების  
გულითადი მაღლობა უთხრეს მართალ  
კაცსა და ხელოვანს, დაულოცეს გული  
და მარგვენა, დაუფასეა ნაღვიწი და ნა-  
შრომი.

მეც ამ წერილით ვკერთდები იმ დილ  
ზეიძისა და სიხარულს.



## აბელ სერგელაძე

# გათამაზი აუს ხადეოსანთა მოღვაწეობის ისტორია იმ ას დროს

XIX საუკუნის 80-იანი წლები-დან დაიწყო ხალხოსნების იდე-ური გადაგვარება და გადასვლა ლიბერალიზმის ბანაუში. მათ უარ-ყვეს თვითმპყრობელობის წინა-აღმდეგ ბრძოლა, დაადგნენ ცარი-ზმთან თანამშრომლობის გზას და მეფის მთავრობის „წყალობით“ სცადეს მშრომელთა მძიმე მდგო-მარეობის „გაუმჯობესება“. ამ მხრივ ნიშანდობლივი იყო ხალხო-სნური მიმართულების ქართული უურნალის „იმედი“ გულუბრ-ყვილო განცხადება: „იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იმპერატორი ალ-ვესანდრე მესამე შეღავათს მის-ცემს თავის ხალხს, ცრემლს შეუ-შრობს, იმედს გაუმართლებს!“<sup>1</sup>

ხალხოსნების ასეთი ეპოლუცია

იყო რუსეთის იმპერიაში კაპიტა-ლისტურ ურთიერთობათა განვი-თარების კანონზომიერი შედეგი. სხვანაირად არც შეიძლებოდა. კა-პიტალიზმის წინსვლასთან ერთად, — წერდა ვ. ი. ლენინი, — გაითი-შა სოფელი. გაითიშა ძველი გლე-ნური სოციალიზმი, რომელმაც ადგილი დაუთო, ერთი მხრივ, ლაბრულ-მეშჩანურ რადიკალიზმს, ხოლო მეორე მხრივ, — პროლე-ტარულ სოციალიზმს. ხალხოსნე-ბის გადაგვარებაში გარკვეული როლი შეასრულა ცარიზმის რე-პრესიებმაც, რამაც გული გაუტე-ხა წვრილ-ბურჟუაზიულ ინტელი-გენტ რევოლუციონერებს, „და-არწმუნა ცარიზმის სიმტკიცეში“ და ხელი ააღებინა ბრძოლაზე. მხოლოდ უმცირესობამ თანდა-

<sup>1</sup> უურნალი „იმედი“, 1881, № 2.

თან შეიგნო, რომ თავგანწირულ რევოლუციონერთა ბუნტარული, პროპაგანდისტული და ტერორისტული ბრძოლის გზა, ცალკეულ წარმატებათა მიუხედავად, ვერ მოიტანს გამარჯვებას, რომ საჭიროა სტრატეგიისა და ტაქტიკის ძირეული შეცვლა, კერძოდ, პროლეტარიატის ამხედრება და ბრძოლაში ჩაბმა. ამიტომ უკვე 80-იან წლებში მათ მიაშურეს სამრეწველო ცენტრებს, დაიწყეს დაკავშირება ფაბრიკა-ქარხების მუშებთან, წრების შექმნა და ბრძოლისათვის მომზადება. ამის საუკეთესო დადასტურება იყო თედორე გუზენკოსა და პეტრე შაფრანოვის საქმიანობა საქართველოში, კერძოდ, თბილისა და ბათუმში.

ქართველ ხალხოსანთა მოღვაწეობა მეცნიერულ ლიტერატურაში შედარებით კარგადა შესწავლილი (ა. კიკვიძე, ზ. შველიძე). ისტორიკოსებს ყურადღებიდან არც მათი ბათუმში გაწეული საქმიანობა გამორჩენიათ (ვლ. სიჭინავა), მაგრამ რუსი ხალხოსნების (თ. გუზენკო, პ. შაფრანოვი) რევოლუციური მოღვაწეობა ჩვენს ქალაქში საზოგადოებისათვის თითქმის უცნობია. ეს მაშინ, როცა საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივში მათხე დაცულია საგულისხმო საბუთები, რომელთა ნაწილი დოც. შ. ცაგარეიშვილმა გამოაქვეყნა კიდეც.<sup>2</sup>

<sup>2</sup> „საისტორიო მოამბე“, ტ. IX, თბილისი, 1956 წ.

ამ მასალებით აქტიურ პიროვნებად მოჩანს თელორე ანდრიაშვილის გუზენკო. საქართველოში იგი 1887 წელს ჩამოვიდა დონის როსტოვიდან და 15 აპრილს ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოში ხარატად დაიწყო მუშაობა. მასთან ერთად თბილისში ჩამოვიდა აგრეთვე მისი ტაგანროგის მეგობარი პეტრე მიხეილისე შაფრანოვი.

თ. გუზენკომ მაშინვე სცადა თბილისელ მუშებთან დაკავშირება, შექმნა წრეც. რომელიც ათამ-დე წევრისაგან შედგებოდა. წრეს გააჩნდა რვამუხლიანი საკუთარი პროგრამა „მუშათა კავშირის“ სახელწოდებით. წრის მიზანი იყო მუშათა თვითგანვითარება და „უფრო დიდი წრის შექმნა მუშათა რევოლუციური მომზადების მიზნით“. ამიტომ სხდომებზე წრის წევრები ეცნობოდნენ მუშათა საკითხისადმი მიძღვნილ ნაწარმოებებს, რევოლუციური ხასიათის ბროშურებს და სხვ. არსებული წყობილების წინააღმდეგ მგზნებარე მოწოდებებით გამოდიოდა თვით თ. გუზენკო. საგულისხმოა, რომ წრემ კავშირი დაამყარა დონის როსტოვში არსებულ მუშათა ასეთსავე წრესთან, რომელსაც უგზავნიდნენ ხელფასის სამპროცენტს. თვით თ. გუზენკოს „როგორც წრის ხელმძღვანელს“ იქ ოცი მანეთი ვაღაუგზავნია.<sup>3</sup>

თ. გუზენკოს უცდია მუშათა მოძრაობასთან დაკავშირება, რაც

<sup>3</sup> სცია, ფ. 7, ს. 76, ფურც. 196-198.

განსაკუთრებით საგულისხმოა. ცდის უკვალოდ არ ჩაუვლია. იმავე წლის ივნისში ამიერქავკასიის რეინიგზის სახელოსნოების სახარატო საამქროს მუშებმა მოაწყვეს გაფიცვა, რომელიც შედარებით ორგანიზებულობით ხასიათდებოდა. თბილისის გუბერნატორის მოწმობით, მათ შემდეგი მოთხოვნები წარუდგინეს რეინიგზის აღმინისტრაციას: „ა) დაითხოვონ ხსენებული სახელოსნოების უფროსი და მისი თანაშემწე, ბ) დაითხოვონ რეინიგზის უანდარმთა საქმართველოს რიგითი მსახურნი და გ) რეინიგზის აღმინისტრაციამ მომავლისათვის წესად გაიხადოს, რომ მუშების დათხოვნა ხდებოდეს ყველა ხელოსნის თანხმობით“.<sup>4</sup> მართალია, გაფიცვა უშედეგოდ დამთავრდა, მაგრამ მას მაინც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა მუშათა კლასობრივი თვითშეგნების ამაღლებისათვის.

თ. გუზენკოს წრეს დიდხანს არ უარსებია. მართალია, იგი იცავდა კონსპირაციას (მიმოწერისათვის ჰქონდა საიდუმლო შრიფტიც),<sup>5</sup> მაგრამ პოლიციას მაინც საქმაო მასალა დაუგროვდა მისი საქმიანობის შესახებ. 1888 წლის 17 აგვისტოს გასცეს ორდერით. გუზენკოს დაბატიმრების შესახებაც,

<sup>4</sup> იქვე, ფ. 31, ს. 619, ფურც. 56.

<sup>5</sup> საიდუმლო შრიფტს ქართველი ხალხოსნები ხმარობდნენ ჯერ კიდევ XIX საუკუნის 70-იან წლებში (ვ. სიჭინავა, ერთი ფურცელი... გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1958, № 74),

მაგრამ მის კვალს ვერ მიაგნეს მხოლოდ მოგვიანებით გაირკვა, რომ თ. გუზენკო და პ. შაფრანოვი 23 ივლისს გაემგზავრნენ ბათუმში, სადაც ალფრატერის მექანიკურ ქარხანაში დაუწყიათ მუშაობა. ამიტომ 10 სექტემბერს უანდარმთა სამმართველომ ბათუმის განყოფილებას აცნობა თ. გუზენკოს მოძებნის, ჩხრეკისა და დაპატიმრების შესახებ. „ჩამორთმეულ მასალებთან ერთად იგი თბილისში უნდა გადაეგზავნათ“. სხვათა შორის, თ. გუზენკოს დაპატიმრებას უანდარმერია სასწრაფო საქმედ თვლიდა. მიმართვაში პირდაპირ იყო ნათქვამი: „წარმატების ინტერესებისათვის... გადადეთ საქმესთან დაკავშირებული სხვა პირთა ჩხრეკა და დაპატიმრება“.<sup>6</sup>

15 სექტემბერს თ. გუზენკო გაჩხრიკეს. მას უპოვეს „მამხილებელი მასალა“, კერძოდ: 1. ორ ფურცელზე დაწერილი პროგრამა მუშათა ცენტრალური და ადგილობრივი სალაროების შექმნისა და მათი დანიშნულების, სხვადასხვა ქალაქში არსებულ მუშათა წრეებთან დაკავშირება-გაერთიანების, მუშათა საბრძოლო რაზმების ჩამოყალიბების, წრეში ახალი წევრების მიღების და თვითგანვითარებისათვის შეცადინეობების ორგანიზების შესახებ და სხვა. 2. რევოლუციური ხასიათის სტატიიდან ამონაწერები, რომელიც იწყებოდა სათაურით: „არ ვუღალატებთ პარტია „ნაროდნაია ვოლი-

<sup>6</sup> სცია, ფ. 7, ს. 76, ფურც. 30-31.

კა” ძირითად პრინციპებს”, 3. რევოლუციური და ტენდენციური მიმართულების ლექსები მუშებში გასავარცელებლად; 4. სხვადასხვა სახის საეჭვო წერილები. თ. გუზენკო დააპატიმრეს. მაღვე გაჩერიკეს 3. შაფრანოვიც. მართალია, საქმესთან დაკავშირებული რაიმე საეჭვო ვერ უნახეს, მაგრამ იგი მაინც დააკავეს თბილისში „რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის ეჭვმიტანილ“ 3. კალოშასათვის გაგზავნილი ერთი „ნართაული“ წერილის საფუძველზე. ორივე დაპატიმრებული თბილისში გადაგზავნეს.

თ. გუზენკოსა და 3. შაფრანოვის ჩამოსვლა ბათუმში არ იყო შემთხვევითი. XIX საუკუნის 80-იან წლებში აქ გაიხსნა ათობით სამრეწველო საწარმო, სადაც რამდენიმე ათასი მუშა იყო. დასაქმებული. მეტისმეტად მძიმე ვითარებაში მუშაობლენენ და ცხოვრობდნენ ისინი. ამას თან ერთოდა კოლონიური ჩაგვრის პოლიტიკაც. ამით იქმნებოდა ჯოჯოხეთური პირობები, რაც ბათუმელ პროლეტარიატს არსებული წყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად ამხელრებდა. მაშასადამე, რევოლუციური მუშაობისათვის აქ ხელსაყრელი ნიადაგი არსებობდა და რუსმა ხალხოსნებმაც ამიტომ მოაშურეს ბათუმს. მართალია, მასალებში არაა კონკრეტული მითითება თ. გუზენკოსა და 3. შაფრანოვის მიერ მუშებში გაწეულ საქმიანობაზე, მაგრამ ჩამორთმეული დოკუმენტების საფუძველზე

კარგად ჩანს მათი ორგანიზაცია-რულ-პროპაგანდისტული მუშავების გადასაცემი.

პროგრამა, რომელზეც ჩხრეკის ოქმშია ლაპარაკი, სწორედ ბათუმელი მუშებისათვისაა შექმნილი. ჩანს, თ. გუზენკოს უცდია მუშათაწრის ორგანიზება და პროგრამის შედგენით წინასწარ განუსაზღვრავს მისი მიზნები და ამოცანები. ეს პროგრამა კი საინტერესოა. გუზენკოს შეხედულებებისა და ბათუმში ჩატარებული მუშაობის ხასიათის გასაცნობად. მართალია, ავტორი არ ღალატობს „პარტია „ნაროდნია ვოლიას“ ძირითად პრინციპებს“, მაგრამ ამის მიუხედავად თ. გუზენკო ორთოდოქსი ხალხოსანი არაა და არც ლიბერალიზმის ჭაობში ჩაშვებული. პირიქით, იგი არ იჩიარებდა ხალხოსნების ბრძოლის აღრინდელ საშუალებებს და თვლილა, რომ „აუცილებელია რევოლუციური მოღვაწეობის ახალი პროგრამის შემუშავება“.<sup>7</sup> თ. გუზენკოს აზრით, ეს მით უფრო დროული იყო, რომ პროვოკატორების გამცემლობის საფუძველზე მთავრობამ დიდი ზიანი მიაყენა რევოლუციურ პარტიას. ამიტომ მას ბათუმში გადაუდგამს პრაქტიკული ნაბიჯები „ახალი პროგრამის“ შესადგენად, რომლის იდეები მას უდაოდ უნდა ექიდაგა ალფრატერის მექანიკური ქარხნის მუშებს შორის.

7 იქვე, ფურტ. 32. ხაზგასმა ჩვენია — ა.ს.

თ. გუზენკოს პირველად უცდია ბათუმელ მუშებში რევოლუციური ლექს-სიმღერების გავრცელებაც (სხვანაირად გაუგებარი იქნებოდა მის საქმეებში მათი ოლორჩენა). საბუთებში დასახელებულია სულ ექვსი ლექსი. აქედან სათაურით მხოლოდ ორია მოხსენიებული: „რუს მებრძოლს“ „მუშის“ ხელმოწერით და „საშინელი დღე“ (ხელმოუწერლად), რომელიც მიძღვნილია მეფეზე თავდასხმის მონაწილეებისადმი. პირველი, როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, „მთლიანად რევოლუციური ხასიათისა“ ყოფილა, დანარჩენი ლექსების კი საბუთში მხოლოდ პირველი სტრიქონებია მოტანილი, რამაც გაართულა მათი სათაურისა და ავტორის ვინაობის დადგენა.

დაპატიმრებულთა საქმის ძიება გაჭიიანურდა. დაკითხვებზე თ. გუზენკო ცდილობდა კვალის დაფარვას, არ თვლიდა თავს დამნაშაველ, მაგრამ მიკვლეული მასალების საფუძველზე აშკარად ჩანდა მისი და პ. შაფრანოვის „ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა“. ამიტომ 1889 წლის 30 ოქტომბერს პოლიციის დეპარტამენტმა მათ გასამართლების გარეშე მიუსაჯა პატიმრობა თითო წლით იზო-

ლირებულ საკნებში, ხოლო მას გელის მოხდის შემდეგ გადასახლება სამშობლოში ორ-ორი-წლით პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ. 8

ასეთია ბათუმში თ. გუზენკოსა და პ. შაფრანოვის მოღაწეობის სქემატური სურათი,<sup>9</sup> რაც საინტერესო ფურცელია თვითმკყრობელობის წინააღმდეგ ქართველი და რუსი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიაში. იგი საყურადღებოა აგრეთვე ჩვენი ქალაქის მუშათა მოძრაობის ისტორიის ადრეული პერიოდის გაშუქებისათვის — ნათელი მოეფინა ა. ი. საუკუნის 80-იანი წლების რევოლუციურ მუშაობას, რომლის შესახებ თითქმის არაფერი იყო ცნობილი.

8 იქვე, ფურც. 509.

9 თ. გუზენკოსა და პ. შაფრანოვის შემდეგ, 90-იან წლებში, ბათუმში მოღვაწეობდა აგრეთვე ხალხოსანი ივანე ანტონის-ძე გერვანი, რომელიც მასთან შეკრებილ მუშებს უკითხავდა ლექციებს „რუსეთის რევოლუციონერთა თავგანწირული ბრძოლის შესახებ“. ამ დროს ბათუმში ვრცელდება მარქსისტული იდეები. ალბათ, ამიტომ მუშებს სულ არ მოსწონდათ მისი „ვხოვდენე ვ ნარდ“ (ბათუმის რევოლუციის მუხეუმის არქივი, ფ. 5, ს. 27, ფურც. 1-2).



## რამაზ სერგანიძე

### სამი „აჭარა“ საქართველოში

აჭარის ასს რესპუბლიკის ფარ-  
ულებს გარეთ, ცაგერის რაიონის  
ოლქანისა და ზესტაფონის რაი-  
ონის ძირულის სასოფლო საბჭო-  
ებში არის სოფლები, რომლებსაც  
აჭარა ჰქვია. თვითუულ მათგანში  
დაახლოებით ოთხმოცი კომლია.

სამწუხაროდ, ამ სოფლების შე-  
სახებ ქართული საისტორიო და  
გეოგრაფიული ლიტერატურა თი-  
თქმის არაფერს ამბობს.

ლეჩხემის აღწერისას ვახუშტი  
ასახელებს მხოლოდ ცაგერის ეკ-  
ლესიას და დეხვირის ციხეს. აკად.  
გიულდენშტენდტი, რომელიც  
1771-1772 წლებში მოგზაურობდა  
საქართველოში, ჩამოთვლის ლეჩ-  
ხემის ორმოცდაორ სოფელს, მათ  
შორის აჭარასაც, მაგრამ მის  
ღირსშესანიშნაობებზე (ციხე, ეკ-  
ლესია) არაფერს ამბობს.

ვახუშტი ასახელებს ამჟამინდე-  
ლი ზესტაფონის რაიონის ცამეტ

სოფელს, რომლებიც ცნობილია  
ციხეებითა და ეკლესიებით, მაგ-  
რამ სოფელ აჭარაზე რატომღაც  
არაფერს ამბობს. არ ახსენებს მას  
არც აკად. გიულდენშტენდტი, რო-  
მელიც იმერეთის 380-მდე ტოპო-  
ნიმს ჩამოთვლის. ეს, ალბათ, იმით  
აიხსნება, რომ ორივე სოფელი პა-  
ტრაა და გეოგრაფიული მდებარე-  
ობითაც არ იქცევდა XVIII საუ-  
კუნის ისტორიუმსთა თუ მოგზა-  
ურთა ყურადღებას.

რატომ ჰქვია ამ სოფლებს მთე-  
ლი კუთხის, ხეობის სახელი?

საქართველოში არსად გვსმენია,  
მაგალითად, სოფელი გურია, ქარ-  
თლი, კახეთი, იმერეთი, სამეგრე-  
ლო, თუ მხედველობაში არ მიგი-  
ლებთ ქუთაისის მახლობლად მდე-  
ბარე სოფელ მესხეთს. ესეც, ალ-  
ბათ, იმიტომ, რომ მესხეთსა და  
აჭარას თითქმის ერთნაირი ისტო-  
რიული ბედი ჰქონდათ.

ყურადღებას იპყრობს ამ სოფ-  
ლებზე არსებული თქმულებები,  
რომელიც ჭერ კიდევ შემორჩენი-  
ლა აღგილობრივ მოსახლეობაში.

ჭერძოდ, ცაგერის აჭარაზე სა-  
ინტერესო მასალები მოგვაწოდეს  
ალპანის საშუალო სკოლის მას-  
წავლებლებმა მაყვალა ორჯონიკი-  
ძემ და ბაბუცა მუშკურიანმა. ხალ-  
ხური გადმოცემით, ის აღგილი,  
სადაც ამჟამად სოფელი აჭარა  
მდებარეობს, წინათ დაუსახლებე-  
ლი ყოფილა. სამხრეთ საქართვე-  
ლოზე ოსმალთა თავდასხმის დროს  
აჭარის ხეობის ლტოლვილი მო-  
სახლეობა მდინარე ლაჯანურისა  
და რიონის შესართავთან დაბანა-  
კებულა. ლაჯანურზე ხიდი გაუდ-  
ვიათ, რომელზეც წაუწერიათ „აჭ-  
არის ხიდი“, ხოლო ბანაკის მახ-  
ლობლად ბოძზე—„აჭარა“. შემდ-  
გომ მის ახლოს მდებარე შეუდა-  
ლის მთის ფერდობზე მცხოვრები  
მოსახლეობაც აჭარის ხიდის ახ-  
ლომახლო ჩამოსახლებულა და  
დამკვიდრებულა (მთქმელები სო-  
ფელ აჭარის მცხოვრებლები კოს-  
ტა და მიხა ფრუიძეები).

დოც. მიხ. ალავიძე თავის „ლეჩ-  
ხუმურ ზეპირსიტყვიერებაში“  
წერს, რომ წარსულში აჭარა-ალ-  
პანა აზნაურ ახვლედიანებს კუთ-  
ვნობათ, საერთოდ კი ეს მხარე  
გიორგი ინასარიძის სამფლობე-  
ლოში შედიოდა. სოფელი აჭარა  
მოიცავდა ამჟამინდელი ალპანის  
სასოფლო საბჭოს ტერიტორიას.  
მაგრამ ჩვენი საუკუნის დამდეგს,  
როცა საფოსტო კავშირი დიდად

გაფართოვდა, ხშირად იქ გაგზავნი-  
ლი წერილები და ამანათები შეცა-  
დომით ბათუმში მოდიოდა. ამი-  
ტომ სასოფლო საბჭოს უძვე-  
ლესი სახელი „არპანა“ ანუ „ალ-  
პანა“ დაერქვა, ხოლო შემდგომ-  
ში შერქმეული სახელი „აჭარა“  
შერჩა სოფლის ერთ უბანს, რომე-  
ლიც ამჟამად ალპანის სასოფლო  
საბჭოში შედის.

ძლიერ საინტერესოა ზესტაფო-  
ნის რაიონის სოფელ აჭარის  
მცხოვრებთა მოგონებებიც (მო-  
გვაწოდეს მასწავლებლებმა ლილი  
მაღლაკელიძემ და თამარ მიქაბე-  
რიძემ).

ამ სოფელში, როგორც თქმუ-  
ლება ამბობს, აჭარიდას ჩამოსახ-  
ლებულა ოთხი ძმა ლეონიძე-  
ერთ-ერთ ძმას პეტრე რქმევია, მას  
ნიორის მოშენება ჰყვარებია. ერ-  
თხელ, როცა პეტრე თავის ბოს-  
ტანში მუშაობდა, მეფეს ჩამოუვ-  
ლია და უკითხავს, რას თესავო.  
როცა გაუგია, რომ ნიორი მოჟყავ-  
და, უბრძანებია, ამიერიდან ნიო-  
რაძე იქნებიო. ამგვარად, ლეონი-  
ძის გვარი გადაკეთებულა ნიორა-  
ძედ.

არსებობს მეორე გადმოცემაც,  
რომლის მიხედვით აქ აჭარიდან  
ჩამოსახლებულა ორი ქართველი  
მუსლიმანი ებანოლლი, რომელთა  
გამოკცევის მიზეზი ბატონის მოკ-  
ვლა ყოფილა. ძმების შთამომა-  
ვალნი ებანოლიძეებად წოდებულან  
(მთქმელები თ. ა. ებანოლიძე და  
ა. ა. ნიორაძე).

ამჟამად ზესტაფონის რაიონის აჭარაში ძირითადად ორი გვარი — ნიორაძები და ებანიძეები ცხოვრობენ, რომელთა წინაპრებად, როგორც დავინახეთ, ხალხური გადმოცემა აჭარიდან გადმოხვეწილ ქართველებს თვლის. ამის მიხედვით სოფელიც ორად არის გაყოფილი — ნიორაძებისა და ებანიძეების უბნებად. სოფლის სახელწოდებაც, თქმულების მიხედვით, ლეონიძეებისა (იგივე ნიორაძების) და ებანიძეების ყოფილ აღგილსამყოფელთან, აჭარასთან (ამჟამინდელი აჭარის ასრ) არის დაკავშირებული.

არსებობს მე-13 საუკუნის საეკლესიო პირის გაბრიელ ლაბეჭინელის ხელნაშერი, სადაც მოსურებულია „აზპანა“ (იგივე „ალპანა“) და არა „აჭარა“. ეს ფაქტიც აღისტურებს, რომ სახელი „აჭარა“ მოგვიანებით არის შექმეული.

როგორც ცაგერის რაიონის, ისე ზესტაფონის აჭარაში არის გვარები, რომლებიც აჭარაში არც თუ ისე იშვიათად გვხდება, როგორც, მაგალითად, ქობულაძე, სანიკიძე, ბაკურიძე, ხუციძე და სხვები. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ლეონიძეები, რომელთა თანა-

მოგვარეები დღესაც მრავლად ცხოვრობენ ბათუმის რაიონში. კიდევ უფრო მეტი დამთხვევაა ტოპონიმიკაში. ამ სოფლებში არის ისეთი ტოპონიმები, რომლებსაც აჭარაში არა ერთ, არამედ რამდენიმე ადგილს ვხდებით: სამელია (2), ჭალა (13), დიდახო (8), სამარწყვია (4), სარეკელა (2), ფერეულები, ეწერი (3) და სხვ.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ცაგერისა და ზესტაფონის რაიონების სოფლების სახელწოდება „აჭარა“ გარკვეულად დაკავშირებულია აჭარის ხეობიდან მოსახლეობის იძულებით მიგრაციასთან და, თუ ასეა, მაშინ ისინი, როგორც ახალშენები, აღმათ, ჭარმოიქმნენ არაუგვიანეს ზერდასაშვილის დასაწყისისა.

ზეპირგადმოცემა, რა თქმა უნდა, არ არის დოკუმენტი, მაგრამ ფაქტი თავისთავად ძალზე საინტერესოა და საყურადღებოც. ხალხში დარჩენილი თქმულება ასახავს საქართველოს ცალკეული კუთხის მოსახლეობის იძულებით იყრა-გადასახლებას, მშობლიური კერის ჩაქრობას, სოფლების ვაჭქმებასა და სხვა ისტორიულ ივნებობას.



1935 წ 25 201

## ა ნ ა ფ ი ლ ი ვ ა მ

## ა მ რ ხ ა კ ვ ე ლ ი ტ

ცხობილი, ორადნაც კინომსახიობის უერარ ფილიპის მეუღლის ანა ფილიპის „მონცვენესი“, რომლის ნაწყვეტებსაც ვთვავაზობთ მკითხველს, მეტად თავისებური ნაწარმოებაა. ელზა ტრიოლეს თქმით, „იგი დაწერა თვით მწუხარებამ, წარმოუდგენელმა, არმოგონილმა, უტყუარმა, ნამდვილმა მწუხარებამ“. მასში მშვენივრადაა გმოკვეთლი უერარ ფილიპის — ადამიანის, მეუღლისა და მამის სახე.

— რამდენხანს იცოცხლებს კიდევ? — უვევეითხე ექიმებს, როცა მათ მიმიწვევს საოპერაციოსთან მდებარე პატარა ოთახში.

— ერთიდან ექვს თვემდე, მაქსიმუმი.

— რაჯი დააძინეთ, ხომ არ შეგიძლიათ ისე გააქეოთოთ, რომ აღარ გაეღვიძოს?

— არა, ქალბატონო.

სულ ხუთით წუთით ადრე, მეგობრებთან ერთად, მოსაცდელ ოთახში ვისხედით.

„გთხოვთ, ქალბატონო“, შესვლისთანავე მითხრა მოშელელმა. მივსდევდი მას და ვფიქრობდი: „რა სწრაფად მოხდა, მეუბნებოდნენ კი, საათნახევარს მაინც გაგრძელდება. ოც წუთზე მეტი არ გასული!...“

თოხი თეთრხალათიანი ექიმი მომიახლოვდა, ყველაფერი ამოვიკითხე მათ სახეზე. ერთმა მათვანმა უსიტყვილ მომაწოდა სკაბი. ყველაფერს მივხვდი. ჩემი

6 „ლიტერატურული აკარა“, № 1.

საკუთარი სიკვდილით დასჭა განვიცადე. და მას კი, ვინც უნდა მომკვდარიყო, ეძინა ჩემგან რამდენიმე ნაბიჯზე.

— იწვალებს?

— არა, მოკვდება გალევისაგან.

დაბლა სართულზე დავეშვი. ეს იგივე ლიფტი იყო, ალბათ, იგივე შაბაური, ჩემთვის კი სამყაროს დასასრული მოახლოვდა. ვიღაცას ვუთხარი: „კველაფერი დამთავრდა“. ტელეფონთან მიმიხმეს და ტუშილებს მოვყევი. ცოტახნის შემდეგ პალატაში შევეღი. შენ უკვე იქ იყავი. მოწყვალების დას შენს მარცხენა ფეხში ფიზიოლოგიური ხსნარი შემყავდა. მძიმედ სუნთქვავდი ზონდის გამო. ასეთია რად შენ ხომ მოშვენებაც შეგეძლო, ამგვარი ფერმერთალი და სევდანი სახით ასეთი სახე ზოგჯერ მძინარესაც ხომ აქვს და ყველაფერი რიგზე იქნებოდა.

სწორედ ამაზე ვოცნებობდი იმედიან

წუთებში: სამი საშინელი დღე და ისკვეწინ არის მოელი სიცოცხლე. სამა საშენელმა დღემ განვლო, მაგრამ წინ სიკვდილი იყო, და დღეიდან ჩვენს შორის აღიძართა ტყუილი. მაშინაც კი, როცა გვძინა, არ შემეძლო მეცქირა შენთვის სასოწარკვეთით. ვმაგრობდი და თოთქმის შეუგნებლად ვთმაშობდი შეს წინ კომედიას, მე იგი ბოლომდე უნდა მეთამაშა. მისკენ მიყვალით მე და შენ ცხოვრებას დღიდან. გამგები თვალებით ფადავხელით ერთმანეთს, როცა საოცერაციოდ გაჰყავდით.

\* \* \*

ერთხელ სექტემბრის ლაბეს, ხანგრძლივი მოგზაურობიდან შინ დავბრუნდით. არავის გაუგია ჩვენი მოსვლა, ძალის არ დაუცეფია; იგი მხოლოდ უხმოდ გვეკროდა, და ამით გამოხატავდა თვის სიხარულს. დავსხედით ქვის მოაჭირზე მღინარესთან, პადრი მოუარე ანთებდა თეორ სახლს და პარქს, რომელთა ყოველი კუთხეც ნაცნობი იყო ჩვენთვის.

წლობით ვცხოვრობდით იმ შეგნებით, რომ სიკუარულის პირველი წუთოდანვე შევექმნიდით: ბავშვებს, პროფესიის, მეგობრებს, სახლს და, შესაძლოა, დავშარებოლით უკეთესი სამყარო შექმნავი. აღსრულების დრო დადგა. ჩვენ საუკეთესო შემოქმედნი აღმოჩნდით. იმ ღამეს, იქნებ იმიტომ, რომ დიდინის განშორებამ ჩვენს ალქმას განსაკუთრებული ძალა შემატ, ან კიდევ, იქნებ იმიტომ, რომ ღამე შვევნიერი იყო, ჩვენ დავინახეთ — ჩვენი გეგმები სინამდვრედ იჭვდა.

\* \* \*

როცა გავიგე, შენ უნდა მომკვდარიყვი, დავტრწმუნდი, რომ აյ არას-დროს აღარ დავბრუნდებოდი! მაგრამ შენი თხოვნით ერთხელ მანც კიდევ ჩამოვედი აქ. ბატონი ვ იმავე მდელოზე მუშაობდა, რომელზეც პირველად ვახეთ, კრეფდა ჩამოცვენილ წითელ-

1 ლაპარაკია კარმიდამოზე, რომელიც ფილიპს ჰქონდა ქალაქებრეთ, სოფელში — მთარგმნ.

ყველიან წაბლის ფოთლებს. ერთმანეთს გადავეცვით. მყითხა, როგორ გრძელდებოდა თავის. შენ კარგად იყავი... დაბრუნდებოდა როგორც კი წამოდგომის ნებას მოგცემენ.

\* \* \*

ბავშვები თამაშობდნენ. მე ჩაი დავამზადე უსამდით ჩაის, თან იქითკენ ვიყურებოდით, სითანაც შენი მანქანა გამოჩდებოდა ხოლმე; როცა ჩამოდიოდი. მე აქ უკანსკერელად ვარ. გაქრა ჩემთვის ამ აღგილთა მომაჯალებლობა.

\* \* \*

ის, რაც ჩვენ შევქმნით, იცოცხლებს უჩვენოდ. მთელი ჩემი არსება ბოლობით ასლდგა ამ ხების, ყვავილების, ფრინველების, ძალის და უზრო მეტად ნივთების, კედლების, ამ ავეგის, ამ სამშვენისების, ამ კარადაში აკურატურულად დაკიდებული ტანსაცმლის წინაღმდეგ. ისინი იასებდებოდნ. ნივთები შურს იძიებენ, მათ თავისი ცხოვრება არ გააჩნიათ, მაგრამ ისინი ცოცხლობენ იმათ სიკედილის შემდეგაც. ვინც მათ ფლობდა. იმ ნაშუადლების უძის ბუნებრივიდან და სამართლიანდ ჩავთლიდი, რომ შეს უკანსკერელ სუნთქვასთან ერთად ამ აღგილზე დედამწიფა გახეთქილიყო და ცველაფერი შიგ ჩაეტანა.

\* \* \*

ვიგონებ იმ ბალში გატარებულ ღამეს, სადაც არა მარტო ვხერიალობ: ზოგჯერ ეს აღგილი იმ აღგილებში მერევა, რომელთაც გავურჩივარ შენი სიკედილის შემდეგ:

შუალამე იყო. ჩვენ უკანსკერელნი გამოვედით თეატრიდან. თოვდა. მივაბიჯებით ხელიხელ ჩაიდებულნი. ლაპარაკის არც სურვილი, არც მოთხოვნილება არ გვერდი. დავბორიალობდით უაზროდ, მოუფიქრებლად. აქა-იქ ჩუმად და უხმოლისის ჩასალებრივი მანქანები. ქუჩები ცარიელი მეჩევნებოდა; შესაძლოა, სიყვარული გვმორებდა ადამიანებს. ჩვენთან ერთად ღამე იყო და ცა. პარიზი შორის იყო. ვაკების ქუჩა მივატოვეთ, ლუქსემბურგის ბალისაკენ გავედით. მომართავ: „შევიდეთ!“ გადავძვერით ლობეზე და

აღმოვჩენილი ზღაპრულ სამყაროში. თუ — ლი იფშვნებოდა ცეხქევე. ბედნიერი ვიყენით. ვგრძნობდით, სუფთა და მშვიდი იტუ ჩვენი სიხარული, აღსავს „რწმენით, რომ ყველაფერი მხოლოდ ჯარგად ჭავლიდა. პატრი გაიხსდე და მასზე დასხვდით. ღმერთი ვეუცერდით ერთმანეთს. ერთდავდი შენს რა ფერის თვალებს, თოვლისაგან დასველებულ წმიამებს. ქალაქი ჩვენგან რომ ფეხის ნაბიჯზე იყო, ჩვენ იგი გარს გვერტა. სამა საათმა დარჩეა. რად გავიფიქრე უცბად უბედურებაზე? არა ჩვენს — ამას იმ წამს ვერ წარმოვიდგენდი, — არამედ სხვის უბედურებაზე? სწორედ ამ წუთს ერთონ კვდებიან, შეორენი — კლავენ, შესამენი — სცილდებიან; ტირინ ობლები; ლრგინში ქალები და მამაკაცები ფიქრობენ იმაზე, თუ როგორ გაიტანონ თვი.

შეის, შორს აქედან, ინდონეზიაში ადგინები იმყოფებიან აკონიაში, კედებიან წამებაში. მას შემდეგ, რაც დედამიშაზე სიცოცხლე გაჩნდა, სიხარული და ტანჯვა, დაბადება და სიკვდილი გვერდიგვერდ დადიან; და ასე იქნება მუდამ, უიდრე არსებობს წუთისოფელი. ვისხედით უძრავად, აღსავს ბეღნიერებით, ხელიხლიკიდებულნი, ერთმანეთს შეწებებულნი. ერთმა ჩვენგანმა თქვა: „თე ოდესზე უბედურება დაგვატყდება, ლირსეული შევკვდეთ მას“. მეორემ უკასუნა: „გვირდები“. როცა ქალაქმა გამოიკიდება იწყო, ჩვენ დაგშორდით ერთმანეთს. მინ მობრუნებულთ ძილი აღარ გვინდოდა, ისე ძვირფასი იყო ჩვენთვის ის ღამე, თეორი, როგორც თოვლა, და ისე მშვენიერი, რომ წარმოუდგენელაც კი იყო მისი თუნდაც ერთი წუთის დაკარგვაც.

\* \* \*

არის დღეები, როცა მეშინია, რომ თავს ვერ მოვერევი. ყოველობის დაბაზული ვარ. მეპარება თაგბრუზევე. ჭანჭველასავთ მუდამ რალაც უნდა ვაკეთო, რომ არ ვიფიქრო. მთავარია — იცხოვრო სათობით, ვიდრე არ იგრძნობ, რომ სიცარიელე გაქრა. მაგრამ ტაივილი მუხანათია, იგი ვერაგულად გვპარება.

დილიდან ყველაფერი რიგზე მიიტო, გაორებულ ცხოვრებას შევეჩვით. მე უფრო მიმდინარე ქრობ, ეც ვლაპარაკობ, მე ვმუშაობ; მთლიანად შენით ვარ შეცყრობილი. მაგრამ ჩვენს შორის მანძილი ბუნდოვანს; ხდის შენს სიახლოვეს, სწორედ იმდაგვარად, როგორც ფოკუსს აცდენილი ფოტოსრათი. ამ წუთიდან აღარ ვუჩინობ. მწუხარება ისე მემორიილება; როგორც კარგად გახელილი ცხვნი, მაგრამ უცბად რომელიაც წუთში მაინც მოულოდნეულად მიძყრობს. შენ — აյ ხარ: უყრებში შენი ხმა ელერს, მხარზე შენი ხელი დევს, მესმის დერეფანში შენი ნაბიჯები. დავიღუბე, დამჩრენია გარინდება და ვუცდი, როდის დამთავრდება ყველაფერი ეს, კაშეშებული ვდგავარ, ხოლო აზრი მებნევა ისე, როგორც მართვადაკარგულ თვითმფრინავს. არა, შენ აქ არა ხარ, შენ იქ ხარ, ყინულოვან არარაობაში.

...ციცქარებოდი სარკეში ისე, როგორც ახალგაზრდა ბეღნიერი ქალი ხვალისათვის, ქორწინების შემდეგ. არა, ჩემ სახეზე არაფრის გამოცნობა არ შეიძლებოდა. მწუხარება მას უფრო მოვგანებით დაახეს კვალს, ჯერჯერობით კი ჩემი სახე წარსულ ბეღნიერებას გამოხატავდა. მე შემეძლო მშვიდად ვყოფილიყვავი, შენ ვერაფერს შემამჩნევდი.

იგივე სახის ნაკვთები, იგივე ღიმილი, აბაზანას ვლებულობდი და ერთმანეთს ოთახიდან რთაში ვესაუბრებოდით. თყალებს ვეხუჭადი, რომ უკეთ მომესმინა შენი ხმა. ასე ხარბად უწინ არათოდეს გისმენდი, და მაინც ვიცოდი, რომ ერთ მშვენიერ ღლეს შენი ხმის ულერაც გაქრებოდა ჩემთ შესიერებით და დამავიწყდებოდა, როგორ ლაპარაკობდი: „შენ ფიქრობ, რომ ორ კვირაში შევძლებ აბაზანის მიღებას?“

ტელეფონით გასუბრობდი, მაღლობას ენიდილი ყვავილებისთვის, რომელიც შენ გამოგიგზავნეს. ვყვებოდი, როგორ კარგად ჩაიარა ოპერაციამ, ერთად ვთხნებულით პასუხებს სასწრაფო წერილებზე, შემდეგ მათ მანქანაზე ვებჭდივად ზურგშექცეული, რომ ჩემი სახისათვის შესვენების საშუალება მიმეცა.

ქვითორებს ვიწერდო. ფული გვითავდებოდა... „მარტიდან მუშაობას დავიწყებ“,

— ამზობდი შენ: მერე დასტენდი: „ბეღნიერი ვარ“. ეს გულს მიალავდა. რას ჰგვადა ეს: დანის ჩაცემას თუ ვნებიან ალერსა? მიამიტი გამომეტყველებათ გლოლატობდი, ჩემი თვალება პირველად გატყუებდნენ. უფსკრულის პირზე მშეყავდი, მე კი მილოცავდნენ. მრცვეონდა, მაგრამ ასე ვიქცეოდი. სიმართლის ძალაზე რაღაც უფრო ძლიერი და მამოძრავებელი მიბიძგებდა სიცრუისაკენ.

პო, ერთ თვეში დასასვენებლად გავემგზავრებით შვილიცარიულ სახლი ხისავნით, ჩენ ფეხვეულ დათოვლილი ველუბი, ჩენ უკან ტუკ და მზით გაბრწყინებული მთები: — არა, არასოდეს, არასოდეს ეს ალარ განმეორდება! პოხერ მაინც დღეში მოგიახლოვდებოდი ხოლმე, რომ შენთვის მეთქვა სიშართლე, ჩურჩულით ვიმეორებდი პირველ ფრაზის — ეს ვიცოდი, შენ ხელად გაიგებდი: „უნდა გამოგატყდე“; ანდა: „ჩენ შალე დავშორდებით ერთმანეთს“: ან კიდევ: „შენ გატყუება“. რისთვის, რა უფლების ძალით გიმალავ იმას, რაც უბირველს ყოვლისა შენ გეხება? რად უნდა მიმყავდე მუხანათურად იქ, სადაც შენ თვითონ წახვდოდი ვაჟაფაურად, მე ვაცოდი, სიკვდილს ამაყად შეხვდებოდი. მაგრამ შენ მიმზერდი და მეუბნებოდი: „მე კარგად ვარ, შენ დალზე ბევრს ზრუნავ ჩემთვის, მე კი შესახიშნავად ვარ, არაფერი არ მტკივა“.

გჩუმდებოდი. გაუნდრევლად ვიგექი შენ ფეხებთან. შენი ხელი ჩემსაზე ესვენა და სუნთქვას ვიკავებდი, ვცდილობდი წარმომედგინა, რა მოხდებოდა, ყველაფერი რომ მეთქვა შენთვის. ერთი წუთითაც კი არ დაგროვებდა სიკვდილზე ფიქრი, მე კი შენს მკლავებში ჩავარდნილს საშუალება მომეცმოდა გამომეტირე და მელაპარაკა ჩენ სიცრუულზე. უშეირდი შენი ნაოცერაციების ნაკრს, ერთობოდი ამით. „ჩემი გაჭრილი მუცელი“.

მძაგდა ეს ნაკერი, მაგრამ ივი პიპოზი ვით მოქმედებდა ჩემზე. ჩემ ბაგეთაგან ორ თუ სამ სანტიმეტრზე ცხოვრობდა

კიბო, რომელსაც შენ უნდა მოვაწყოდები ეს არ იცოდი. როგორ ვერ ხვდებოდი ჩემს აზრებს? ჩემი სახე ისევე მოხერხებულიდ გატყუებდა, როგორც ეს ნაკრის შესახედავად ასე უცნები. — უჩვეულო გრძნობა, როცა მეტრდი გაჭრილია. — მაშ რა, ეს ხომ შენი პირველი იყერაციაა. თავს მეტრზში მიდებ — როდის მოვრჩები? თავს გინევ და გილმი: — პო, თვითონ კი ვფიქრობ: არა, არასოდეს, ჩემო სიყვარული, ანდა მორჩები, როცა მცვდარი იქნები. მსურდა არაფერი მცოდნობა, შემცხერებინა ის, რისი შეჩერებაც შეუძლებელი იყო.

...არ ვიცი, მხოლოდ მგონია, მას შეჭდებ, რაც ღმერთად ყოფნა, გამოსცადებარ მოისურვებდ კვლავ მოკვდავი გახდეს სიყვარული — ეს ცხოველმყიფელი წყაროც არის და ის, რც მას კვებას, ცხოვერებას ნაყოფიერს ხდის; სიყვარული — ეს არის სასწაულის შეგრძნება და კიდევ რაღაც გამოუცნობი, დაკარგულ სამოთხეში დაბრუნების შეგრძნება, სულისა და სხეულის შეგუება, ჩუმი სისუსტისა და ძალის გამოშეღებება, ცხოვრების სიყვარული და სიკვდილისადმი გულგრძლობა, შენ ის იყავი, ვინც ყველაზე მეტად მაცაშირებდა აცხოვრებაზან, და შენვე მაგემე სიკვდილი.

როცა სიკვდილი მესტუმრება, თავს არ მოვიტყუებ იმით, თითქოს შენთან მოკვდილდე, უბრალოდ — მე წავალ ნაცნობი გზით, შენს მიერ უკვე განვლილ გზით.

იმ დღეს, დღილით ადრე, ორივე კარი გაიღო. დღე და კიდევ ნახევარი უკან მოგლევდო. მესსიერებაში დაუსრულებდელ გზა დამრჩა: სოფლები, რომელებიც ვავარეთ, მანქანები, რომლებსაც წინ გდავსწრებდით ხოლმე, და ჩევნს წინ ყვავილებში ჩაფლული სამგლოვიარო შვი მანქანა; თვალს ვერ ვაშორებდი მას. სხვა თოთქმს არაუგრი აღარ მახსოვეს, ისიც კავერ შევამჩნე, რომ ლიონს სამხრეთით გადავუხვიერ და გამოჩნდა პირველი კვიპარისები და პირველი კადრებით გარშემორტყმული წყალსატევი. აქ ცაფრს იცვლის და, თუ წვიმს, შაშინ ისაც

უანსაყურებშულად გამოიყება, არა  
შე, როგორც ჩრდილოეთში. ყოველ-  
თვის, როგორც კი მე და შენ აქ მო-  
ვხედებოდით, მოხიბლული და ოტაცე-  
ბული ვრჩებოდით ამით.

სამცლვიარო მანქანა მიაღდგა ჩასახე-  
ქლე საღვურს. ჩვენც შეეჩერდით, რომ  
მიგვეტვებინე, თუმცა-და შორს იყ-  
ვი უკვე. საღამორებას შეეჩერდით. მანქა-  
ნა გარაუში გავაჩერეთ. მე იქით-აქეთ და-  
ცლიოდი, არ ვიცოდი რა. მექნა. ვაფერ-  
ზოლ კვავილებს, ვასწორებდი კრეპს,  
რომელიც კუბოს ეფარა, გზაბნეულივით  
დავხეხტებოდი, წასლო ვერ გადამეწყვი-  
ტა. ყველაფერი ეს საიცარი იყო, მე ზე-  
მოთ თბილ ლოგინში, შენ კი მარტო აქ-  
მი გარაუში.

ვსვამდი, ეჭამდი და ტირილი სულაც  
არ მინდოდა. არ ვფიქრობდი მომავალ-  
ზე, არც ბაგშვებზე, რომლებიც უკვე ორი  
დღეა არ მენახს; მერე ისინი მომიყვები-  
ან, თუ რა მხიარულად იყვნენ თავის პა-  
ტარა მეგობრებთან.

მეორე დღეს ჩამოვედით სასაფლაოზე, მხოლოდ აქ დაცუბრუნდი სინამდვალეს. დავინახე ზღვა, შორეული და ნაცრისფერი, როგორიც თვით იყო იყო. მესმოდა ჟავილების შრალი და კუბოზე დაცე- შული პირველი ბელტის-უგულო მევახე გუგუნი. სამყაროში მარტო ვიყავით. შენ მევდარი, მწოლარი, იქ ძირს, მე კი ცო- ცხალი ვიდექი აქ, შენს ზემოთ. მსურდა ჭერეტი გამეპონ ხე და თუთა, შენ რომ დამენახე. კველაფერს დავთმობდი ქვეყა- ნაზე, ჰო, კველაფერს, ოღონდ ცო- ცხალი მენახე, მენთან ერთად მევლო იქ ბორცვზე, სადაც ჩვეულებრივ დაედიო- დით ხოლმე და კერძებოდით, რომ ზღვისთვის გვემზირა.

თი წუთი მხოლლდ; მეტი ორ, და შემ-  
დევ — სიკვდილი, წამება, ტანგვა, რაც  
განდა, ოღონდ შენ დაგინახო, დავყო  
შენთან.

პირველად ჩემს სიცოცხლეში მომეწყუ  
რვა შეუძლებელი. დრო გაიღის და რო-  
მელიმე შვილი მეტყვის: „შენ ხომ ყვე-  
ლაფერი შეგიძლია, გააკეთო ისე, რო-  
შროთ დროით დაბრუნდეს ის, მხოლოდ

ერთი დღით, ვიზებიმებთ, ვიქწნებით ჰევია-  
ნად. დაინახავს, რომ ჩვენ ბელნარე  
ვართ“. მე მათგვის უნდა ამესხა, რომ ეს  
ჩემს ძალ-ღონეს აღემატება და ჩემი თვა-  
ლით უნდა მენახა, როგორ მიხვდა ბავშ-  
ვი იმას, თუ რას ნიშნავს „არასდროს“ და  
ამას ისიც ჩემსავით ვერასოდეს შეუჩიგ-  
ლებოდა.

წყიმა დაწყუო. სამრეკლოს საათმა შუა-  
ლამე გვატცნო. ნიავიც კი არ ქროლა.  
ფოთლებზე უხმოდ ცვიოდნენ წვიმის  
წევთბი და, ჭის, კედლებზე შავ ზოლებს  
ტოვებდნენ. მიწამ თანდათან დაფრა კუ-  
ბო. მალე ორმო გაქრა და მის ნაცლად  
აღმოცენდა მიწისა და ყვავილის ბორცვი.  
ახლა ვიცა, რა არის სხასულო, იგი ჩე-  
მთვის უიყრო აღარ არის. სწორედ იმგვა-  
რად მემორიალურ დაფებზე, პარიზის  
ქუჩებში რომ გაჩნდა იმ ადვილოს, სადაც  
„შინააღმდეგობის მებრძოლნი“ დახოცეს.  
ჰირისუფლები უშეკრძნენ ტყვიისა-  
გან დამახინებულ სახეებს, სისხლის გუ-  
ბეს და გართხმულ სხეულებს.

\* \* \*

— თელი ჩვენი სიცოცხლეს; დამთავრდა, დამთავრდა სამუდა-

მოდ. დრო ისწრაფის. მიაქროლებს თავის ტალღებს. ერთიღა მრჩება — ან დაგიხსრჩო ან შევრჩე. არც ის მინდოდა და არც ეს; არჩევანზე უარი გაცხადებდი: ცხოვრება კი დაუნდობლად მოითხოვდა, როგორც ტრიანი: „ან იცხოვრე, ან მოკვდი. არც ჰამა გსურს, არც სმა, დაეხეტები მხოლოდ სახეშეშლილი“. ცხოვრებამ დაადასტურა, რომ მართლი არ ვიყენი. არც ფრთხალი გახლდით, არც მხნე, ჩემი დასაყრდენი ბაგშვები იყო; როგორ ისინი გვერდით მყავს, თავი უნდა შევიკავო. მათი გამოუცნობობა ისევე მეხმარებოდა, როგორც შენი. ეს იყო მხოლოდ მოჩვენებითი სიმშვიდე, ნილაბი. რომელსაც ვატარებდი, მაგრამ ეს მმატებდა გამძლეობის ძალას. სიზმარში ვეძებდი საშველს — დაიძინონ, თავი დავიწყებას მივცე, გავეხვიონ სიბრუნვეში; მაგრამ როგორც კი თავალს დავხუჭავდი, შეგნიდან რაღაც დამბარმავებელი შუქი მსკვალვდა. ვიგებე მარტობა, დაუნდობელი, გვერდშეულელი, იგა მიხმიბდა კველაფერს, მიკვეცავდა პირიზონებს და, საითაც არ უნდა მიმგპყრო ყურადღება და აზრი, ვერაფერს სხვას ვერ წავაწყდებოდი ხოლმე. აღარ ვიოდი, რით შემეჯსო ღლები, რით შემეჯცია ყურადღება. გხედავდი მხოლოდ შენ, ვფრქრობდი მხოლოდ შენს ავადმყოფობაზე. შევეცალე ჩაგირულიყავი ჩვენი წარსულის მოვონებებში, მაგრამ სივდილი გადაეფარა კველაფერს და ვერ შევძელი თავი დამეღწია მისგან...

\* \* \*

სწორედ იმ წუთიდნ, როგა ჩვენი სიკვარული იშვა, არ შევვიწყეტია ერთმანეთის გამოცნობა და მოხსნა. სრული ნდობით და გულუხვებობით გადაუშალეთ ერთმანეთს სული, შორს გადავისროლეთ ჭუნგლების მუდმივი კანონი. ამ უკანასკნელ დღეებში, როგორ შენ ჯერ კიდევ ჩემთან იყავ, როგორ მინდოდა შენთან საუბარი, შენი მოსმენა. მსურღა მოგეთხოვ შენზე, ჩვენზე, კველაფერზე აქვეყნად, რომ შენს სიტყვებს, შენს ჩურჩულს დაეგმშვიდებინე და მივეძინებინე. კოცნებობდი შენი ხმის მოსმენთ დაძი-

ნება-გალვიძებაზე. მწყუროდა შენ ჩემი უკანასკნელი მოსმენა, მისი შესისხლორება ჭარებულია შენარჩუნება.

უკანასკნელ საღამოს, როგა მე წიგნი დავხურე, შენ კი კითხვას განაგრძობდი. მკითხე, ხმა არ მაწუხებდა სინათლე. არა, მე იგი არ მაწუხებდა. ნახევრად თვალდასხუჭულს შემერლო შენთვის მემზირა, მესმოდა როგორ ფუტულოვდი წიგნს. ამის უფლება მქონდა, არ შემეტლო მხოლოდ ტირილი, მაგრამ მე არც კა მქონდა ცრემლი. ვცდილობდი თავშესაფარი მეპოვნა მოვონებებში. მაგრამ ვერ ვცდება ვდი გამშვიარებინა ისინი შენთვის. წარსულის ჩეხეეა ჩვენი ჩვეულება არ ყოფილა და შენც უცნაურად მოგრძელებით მოვინებებით ჩემი გატაცება. ნაცვლად მომავალზე ფიქრისა. ამიტომ, ვაცდე შენ კითხულობდი ან გეძინა, მე მარტო მივდიოდი წარსულში...

\* \* \*

შენი დაკრძალვის დღეს, როგორ სასაფლაოს ვტოვებდი, ვიცოდი, რომ აქ ხშირად ვილიდი, მაგრამ რა მნიშვნელობა ჰქონდა ამას? მე შემერლო თავი მიმერებებინა იქ სიარულისათვის, მაგრამ ეს სრულიადაც არ იქნებოდა იმის ნიშანი. რომ დავთმე შენი სიკვარული.

იმ საღამოს, როგორ დარაბას ვხსრავდი, გაკვრით შევნიშნე უმთვარო, ვებერთოლა შემხუთავი ცა. მატტო ვიყავ დედამიწაზე, მსურღა არ წარვეტაც ლაზე მცურავ ღრუბლებს. ფარდებს ვეფარებოდი. როგორც ცხოველი თავის ბუნაგში: მიძნელდებოდა ცისა და კველაფერი იმის დანახვა, რაც უშინ მიყარდა. როგორ გადაეიტან ბავშვებთან შეხვედრა? უკვე სამი დღეა, მათზე არ მიღიცრია. მეორე დღეს მოვედი შენთან. მაგრამ რა არის ეს — ანემანი! აზრს მოკლებული, კიდევ ერთი სიცარიელისადმი მიმართული მონლოგი. ჯერ კიდევ რეალურს გაღმა ვიმყოფებოდა და მომხდარი ვერ შემეცნ. ვიდექ შენს საფლავზე, ვეხებოდი მიწას და ველოდი — აი იხლა მოხვალ იღნავ, შეგვინებით, როგორც ყოველოვის, ამომიდგები მხარში და ჩვენ ერთად დავუწყებო მზერას ამ იხლად დამარხულის სა-

ფლავს. ვეუბნებოდი ჩემს თავს, რომ შენ მოკვდი, მაგრამ ეს არ მშეელოდა. შენ არ მოდი, ე. ი. მელოდები მანქანაში და სუსტმა უაზრო იმედმა — ვიცოდი, რა-რიგ უგნური იყო ის — მომიცვა. „პო, ის მანქნაშა“. ვერავინ ვნახ მანქნაში და თავს ვარწმუნებდი: „სეირნობს ბორ-ცვზე“. დავეშვებოდი ხოლმე სახლისაკენ და აյ ვესაუბრებოდი მეგობრებს, თანაც ვაგრძელებდი შენს ძებნას გზაზე, თუმცა ერთი წუთით არა მჯერდა, რომ გიბოვდი.

იმ ღამეს პარიზში გავემგზავრე. ასე მეგონა, თითქოს დაგტოვე. მაგრამ ეს ხომ ჭერ კიდევ სამი კვირის წინ დაიწყო, როცა ოეთზე გრძელ დერუფანში გაგატარება მწოლოა: ჯერ კიდევ მაშინ მიგატოვე ბედის ამარა. უკან მოგდევდი და ბოლომდე მიგაცილებდი, მაგრამ მაინც ცოცხალთა საყაროში ვრჩებოდი მაშინ, როცა შენ შეუმჩნევლად მიღიღდა იქიდან, შენი ღიმილი და შენი თვალები თანდათან შორეული ხდებოდნენ, შენ კი ამის ეჭ-ვიც არ გქონდა.

\* \* \*

ზაფხულის დამლევს შენი საფლავი ისე შეეზარდა ჩემს შეგნებას, რომ არსებობის ნაწილად მექცა. იგი თან მახლოდ ყვე-ლგან, რა გინდ შორს არ უნდა ვყოფი-ლიყავი მისგან, აზრით თვალურს ვადე-ვნებდი, თუ როგორ იზრდებოდნენ ხე-ები, როგორ ასცდებოდნენ ისინ ღიბებს და როგორ გადაკურებდნენ წვეროებით ზღვას. ვხედავდი, როგორ ეთამაშებო-დნენ ხის ჩრდილები შენს საფლავს, ვიცოდი, რომელი ქარი არხევდა მათ. სადაც არ უნდა ვყოფილიყავ, თუ კი მო-ვისურებდი, ყურთასმენით შემეძლო აღმედგნა ხმაური გზებზე, სოფლის ხმების გამოხაილი, მესმოდა, როგორ ბრაზორეული უბერავდა მისტრალი, როგორ წვიმდა და როგორ კრიალებდა რკინის ჰიშეკარი. პო, ახლა ვიცნობ ყვე-ლა ამ ხმას, რომელიც შენს ირგვლივა, და ვიცი, როდის მოფრინდებიან ჩიტები ნამის შესასმელად იმ ყვავილებზე, რომ-ლებიც შენს საფლავზე ხარობს.

გადიან თვეები და წლები. ახლა გაზა-

ფხულია. გაზაფხული — იგი ხანი მშენებულების და მიმდე, ხან მარტომეტს ისევ. ხან მსუბუქი, ხან მძიმე ტვინს მა-ლრონის იგი. საკმარისია დაუბეროს ტბი-ლმა ნიავა, ანდა ხეზე გადაიშალოს კვი-რტი. საკანა მიმესმას ჩიტების გალო-ბა, წვიმის ხმა, ბაგშეების სიცილი, რომე-ლიც ფანჯრიდან ისმის, რომ კველაფერი ისევ არამყარი გახდეს, სიბრძნე და სიმ-შვიდე, რომელიც თითქოს შევიძინებ და რომლითაც ვამაყობდი, — მხრილად სი-ლაშე აშენებული კოშკია. ქარიშხალი არ ჩამდგარა, იგი მხოლოდ მიუკურა და მზად არის თავს დამესხას პირველსაც თბილ დღეს, გაზაფხულის ცის ქვეშ, პი-რელივე ამწვანებისას.

ქუჩაში გაზაფხულია. „თეთრ ფეხსაც-მლებს ჩავიცვამ, კველა ჩემმა ამხანა-გმა ჩაიცვა უკვე“, მიყვირის ჩემი ქალი-შეილი.

პო, ცხოვრება თავისი გზით მიღის, ჩემი გონება შეიმეცნებს შიზეზსა და შედეგს, მაგრამ ეს ვერ მიხსნის გაონე-ბისავან. დაქაცულობასა და სისუსტეს ვგრძნობ. გაონებას თავს თუ ვაღწევ, მყისევ მიბყრობს ხან უიმედობა, ხან საცარი ტყივილი. საშინელია, რომ შენ ჩემთონ არა ხარ. ხშირად ვხედავ, როგორ ჩივლის ჩემს წინ ორი მოხუცი ქალი, ერთი საათი მაინც დასჭირდებათ მათ, რომ ქუჩის ბოლოს მიაღწიონ. ერთი თი-თქმის მიწამდე მოხრილი დადის, მეორე მას ეშველება. ისინი ავტომატიკით მოქ-მედებენ. არასოდეს სიტყვას არ წარმო-თქმავენ, ვერავის ხედავე... ახსოვთ ნერავ მათ, რომ ქვეყნად არის გაზაფხუ-ლი, ამჩნევენ ნეტავი მას? ისინი მოძრა-ობენ, მათი გული ძეგრს, მაგრამ განა შეიძლება ითქვას, რომ ისინი ცხოვრო-ბენ?

იქნებ ისინი ცხოვრებას იმ ახალგაზ-რდა ყრმაზე ძეირად აფასებენ, რომე-ლიც მზად არის მოკვდეს იმისთვის, რაც უყავას, ან იმ მშვენიერი გაზაფხულის ასაში მყოფ ადამიანზე მეტად, როგო-რიც შენ იყავ, როცა ამბობდი: „ვისუ-რებდი ლამაზი მოკვდარიყავი“.

გაზაფხული ტკივილს მგვრის. ერმუ-  
დარები შემიძრალოს. ყოველ წელს  
ჩემს თავს გაიმეღებ, რომ ამჯერად ძალას  
მოეკრებ და მივიღებ მას, ან შევწყვეტ  
მაინც მისი გამალიზიანებელი სუნთქვის  
შეგრძნებას. გაზაფხულის შოალერსე და  
მსუბუქი პაერი მაიძულებს ვიფიქრო  
იშაჲე. რა იყო და რა იქნებოდა. რომ  
შევ აქ იყვე, ჩვენთან ერთად ვიცი, ჩემი

ოცნება სხვა არაფერია, თუ არა ეწყოლ-  
ო ცხოვრების უძლურება. მე მივცურავიდა  
დინებით, არ ვიჭვრიტები ძლიერ შორს  
და ძლიერ ლრმად, ველი იმ წამს, როცა  
ძალა კვლავ დამიბრუნდება. მოვა ეს წი-  
მი. ვიცი, რომ ცხოვრება ყერ კიდევ მი-  
ტაცებს.

თავის შეელა მსურს და არა შენგან  
თავდალწევა.

ფრანგულიდან თარგმნა ი. არმაშივარი.



## „ილია ჭავჭავაძის ენა“

ახლახან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გამოსცა ღოც. გიორგი შალამბერიძის ფუნდამენტური შრომა „ილია ჭავჭავაძის ენა“.

ავტორი „წინასიტყვაობაში“ აღნიშნავს: „ილიას თხზულებათა ენა ქართული სალიტერატურო ენის ორგანული ნაწილია... მაგრამ მწერლის ენას მოქმედება ინდივიდუალური თვისებურებანი, რომლებიც მას სხვა მწერლის თხზულებათა ენისაგან განსხვავდეს, ქმნის განსაკუთრებულ სტილურ ნიშნებს და განსხვალვას შემოქმედის როლს საერთო-ეროვნული ენის სრულყოფა-განვითარებაში“. ი. სწორედ ამ თვალსაზრისით შეუსწავლია მკვლევარს ი. ჭავჭავაძის თხზულებათა ენა.

გასული საუკუნის სამოციან წლებში ახალი სალიტერატურო ქართული ენის დამკიცილებისათვის ბრძოლა, რასაც ი. ჭავჭავაძე ედგა სათავეში, არსებითად საერთოსახალხო ქართულის გამარჯვებისათვის ბრძოლას ნიშნავდა. ამ ბრძოლაში ილიას სიძლიერის უშერტი წყარო ის იყო, რომ იგი უკველთვის ხალხის ენას ეყრდნობდა, მის დანერგვას მოითხოვდა. ხალხურსა და სალიტერატურო ენას შორის ურთიერთობის თვალსაზრისით მან დაინახა ის, რაც ძევლი თაობის შევრი წარმომადგენლისათვის – სრულიად

შეუმჩნეველი დარჩა. ილიას დებულებები ენის შესახებ მის ლიტერატურულ შემოქმედებაშია ხორციელებული.

არა მარტო ილიას ნიჭის ნათელი აბრაუნინებს მის შემოქმედებას და ჰეშმარიტად საყვარელს ხდის ყველასათვის, არამედ ისიც, რომ მისი მადლიანი კალამი ყოველთვის ხალხისათვის გასაცემი ენით წერდა.

ილია ენათმეცნიერი არ იყო, მაგრამ ახალი სალიტერატურო ქართულის თავის უფლებებში აღდგნისა და დამკიცილებისათვის ბრძოლაში იგი საქმის საფუძვლიანი ცოდნით იყენებდა ზოგადენათმეცნიერულ თეორიულ დებულებებს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ენათმეცნიერული აზროვნების გამარტივებელი და ფუძემდებელი ილია იყო.

ღოც. გ. შალამბერიძე ნაშრომის პირველ თავში ვრცლად წარმოგვიდგენს ერთიანი სამწერლო ენის საკითხს XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში. ნაჩვენებია ილიას „დიდი მოქალაქეობრივი გამბერაბა და დემოკრატიული რადიკალიზმი“ ანტონ კათალიანის ე. წ. სამი სტილის დაცველთა საპირისპიროდ. ნაჩვევენის მეორე თავი ილიას ენათმეცნიერული შეხედულებისადმია მიძღ-

ენილი და წარმოდგენილია ის დებულებები. რომლებსაც იგი იყენებდა ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში. ეს დებულებები ეხება ენის რაობას, მის ფუნქციას, განვითარებას, ენისა და აზროვნებას შორის ურთიერთობას, სიტყვის მნიშვნელობის ცვლას, ენის კვლევისას ისტორიულ-შედარებითი მეოთხის გამოყენებას და ა.შ.

ნაშრომის მომდევნო თავში განხილულია ილიას პოეზიის ენის საკითხი ლიტერატურულ კრიტიკში. ირკვევა, რომ ილიას პოეზიის ენის შესახებ ასებული ყველა კრიტიკული წერილი ზერელე შთაგეჭილებას ეყრდნობა. აქ მკვლევარი დეტალურად აყალიბებს ილიას პოეზიის ენის თავისებურებებს და მა თავისებურებათა დახასიათებისას განიხილავს არქაიზმებს გრამატიკასა და ლექსიკაში. გრამატიკული არქაიზმებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ხმოვანცუანი სახელი სახელმისათვის ბრუნვაში ბრუნვის ნიშანთა წარმოდგნილი (მთა, ტვართმმიმევი), მოთხოვნითი ბრუნვის ნიშანი გვხდება მან სუფიქსი (ჩრდილმან, სტუმარმან), ფართოდა გამოყენებული ნარ-თანანი მრავლობითი. არქაიზმი გვაქვს მსაზღველ-საზღვრული სახელების წყობაში და ბრუნვაში შეთანხმებისას. გვხდება ქველი ზენისტინები (ალ, გან, გარდა, შთა). არქაულია ავ და ამ თემისინიშნიანი ზენების უდღება (ჰელვიდა, ჩასახმიდა,...). ასევე არქაულია ვნებითი გვარის წარმოება (ჩერების, ჰერთების,...) და ბეგრი სხვა. განხილულია აგრეთვე შედარებები, ეპითეტები, განმეორებანი, დიალოგები და ე.წ. პოეტური თვითნებობის ანუ ლიცენციის მაგალითები. ავტორი ასკვნის: ილია ჭავჭავაძის პოეზიის ენა მომხიბვლელია თავისი უბრალოებით, სისადავითა და მხატვრულობით.

შრომაში საფუძვლიანადაა განხილული დალექტიზმები ილიას პოეზიაში, პროზასა და პუბლიცისტიკაში. იგი უფრო

ჭარბად ლექსიკასა და მორფოლიტიკული წარმოდგენილი. მორფოლოგიაში მდგრადი ვლინდება ბრუნვებში, თანდებულთა წარმოებაში, ზნისტინებში, თემის ნიშნების გამოყენებაში, პირის ნიშნებში. ენებით გვარში, მწყრივთა თავისებურ წარმოებაში, ქცევაში და სხვ. დიალექტიზმები გვხდება სინტაქსშიაც.

ცალკე თავი აქვს მიძღვნილი ი. ჭავჭავაძის მოთხოვნების ძირითად სტილურ ნიშნებს. აქ დოც. გ. შალამბერიძის დიდი, შრომატევადი მუშაობა გაუწევია. ურისოდ, მას დაწყრილებით გაუანალიზება „მგზავრის წერილები“, „გლახის ნამბობი“, „კაცია ადამიანი?!\", „სარჩობელაზედ“, „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“ და „ოთარანთ ქვერიე“, აღუნსხავს თვითეულ ამ მოთხოვნაში ასამდენი წინადადებაა, ამათვან რამდენია მარტივი (გაუპრეცედენტი, გავრცელილი, შეტყუბული) და რამდენი რთული (ქვეწყობილ, თანწყობილი) და სად რომელი სჭაბობას. ამის საფუძველზე მკვლევარი მეტად საისტერესო დაკვირვებს გვაძლევს.

ქართველი მწერლების ენის შესწავლა ამ ხერხის გამოყენებით ჯერხნობით არავის უცდია და ამ დიდ. მეტად საჩრეტერესო სტემეს საფუძველს უყრის დოკ. გ. შალამბერიძის შრომა.

ი. ჭავჭავაძის მოთხოვნების სტილური ნიშნების დასახვასიათებლად იგი დაწერილებით განიხილავს აგრეთვე შედარებებს, სინისტმებს, პრინცირასტულ გამოთქმებს, ანტონიმებს, განმეორებებს, არქაიზმებს, ეხება დიალოგებისა და მონილოგების გამოყენებას. აღუნსხულია უცდელი ანდაზა, რომელიც ილიას თავის თხზულებებში გამოუყენებია. ანდაზებს ილია ხალხის გრინას უწოდებდა და მათი უხვად გამოყენებით მხატვრული ნაწარმოების ენას კიდევ უფრო უახლოებდა ხალხურ მეტყველებას. შეკლევარი გვაცნობს იმ აფორიზმებსაც, რომელიც იღებას პოეზიაში, პროზასა და პუბლიცისტიკაში გვხდება.

შრომაში მოცემულია აგრეთვე მსაზღვრელ-საზღვრული სახელებისა და ვითარების ზმნისზედების კრცელი ინდექსი. ასეთ სახელებსა და ზმნისზედებს უკრორი დიდ როლს ანიჭებს მწერლის ენის ექსპრესიულობის გაძლიერებაში. აქვე საფუძვლიანადაა გაანალიზებული პუბლიცისტური წერილების ფრანგოლოგია და სიტყვაწარმოების ზოგიერთი სკითხი.

ბოლოს მკვლევარი ასკვნის: „ი. ჭავჭავაძე ქართული ენის მორფოლოგიურ საშუალებებს მაქსიმალურად იყენებდა ენის ლექსიკური შემადგენლობის გასამდიდრებლად. მისი შემოქმედებითი მუშაობა ამ დარგში მნიშვნელოვანია არა

მარტო ქართული ენის განვითარების სტორიტისათვის, არამედ თანამედროვეებისა და სალიტერატურო ქართულის 50წმალიზაციის თვალსაზრისითაც“ (გვ. 314). შრომას ერთვის ილიას გამონათქვამები ენის შესახებ, რეზიუმე და პირთა საძიებელი.

დოც. გ. შალამბერიძე დიდი ხანია ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობას ეწევა, იგი მრავალი შრომის ავტორია, მაგრამ მისი ბოლო გამოკვლევა „ილია ჭავჭავაძის ენა“ მაინც გამოიჩინა მათგან. იგი უსათუოდ ქართული ენათმეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძენია და განსაკუთრებით დიდ დახმარებას გაუწევს მათ, ვისაც მწერლის ენაზე მუშაობა მოუხდება.

დოც. ნ. საბაშვილი..



საქართველოს მთავრობა

፳፻፭፻ በ፳፭፻፻፻፻

კულაფერი თავიდან იწყებოდა. იწყებოდა ისე, როგორც შარშან, შარშანწინ და იმის წინ. გაჭრილი ვაშლის ნახევარი-ეთ ჰავადა ჩემი თავგადასვალი წინ: წლების თავგადასვალს. პო. სულ დამავი-წყდა. გთხოვთ მიცნობდეთ: საქართვე-ლოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუ-დენტი ირაკლი ბარაძემძე. ჩემი საკუთრე-სო მეცნიერებიც გაიცანით, ჩემი თანა-კურსელები კოტე ეძგვერაძე და დიმიტ-რი ჩინანძე.

ତଥିଲୋଲିଶାର ଅନୁମାନେଲି ତଥାଦକ୍ଷେତ୍ରର ରହ୍ୟା  
ମେ ଏବଂ କାର୍ଯ୍ୟର ପରିଣାମ ବେଳେ କାହାର କାରଣରେ  
ମାରିଥାନ୍ତିରିନ ଏବଂ ମିଳି ଚିନ, ଗାନ୍ଧାରାପ୍ରାୟରେ  
ଶଲ୍ଵାସିବିରାଳ ଗାନ୍ଧାରାରେବିନ ଅରଣ୍ୟରେବି.

შეკვრბეთ კველა საჭირო ნივთი და  
სულთამხუთავებივით დავადექით თავს  
მამებს, ფული-ოქო. რა თქმა უნდა, რო-  
გორც კველა ადამიანი, ჩევენი მამებიც  
ეკრ იტანენ სულთამხუთავებს, ცდილო-  
ბენ თავიდან მოიშორონ ისინი. ასე რომ,  
ფული ნაშოგნი იყო.

გამგებელი

გავედით სადგურზე და იხევე, რო-  
გორც შარშან, შარშანწინ და იმის წინ,  
მოლარეს დაუკუყეთ თხოვნა.

პასუხი წინა წლებთან შედარებით  
უფრო ლავინიტური იყო:

— არათერი არა მაქვს.

— ଅନ୍ତର୍ଗତ ପ୍ରକାଶକ, — ୩୦୬୩୦୭୨୭୮୦୯୦  
ବିଜ୍ଞାନ.

— არაა — მეოქი. — კვლავ გვიპასუხებდა  
მოლარე.

— ამვეისრუკეთ თბილისში,— განვაგ-  
რძობდი მე.

— რა ვქნა ხლი, მორჩა, არაფერი არა  
გვაძლეს.

—გავეარდეთ სადგურში,—თქვა კო-  
ტემ, — როგორც შარშან, შარშანწინ და  
იმის წინ, შეიძლება კონფლიქტორმა წაგ-  
ვიყვანს.

ମ୍ରାତ୍ରିନେତ୍ରା

ჩვენ უკვე სადგურში ვართ. ხალხი ბუ-  
ზივით ირევა. ყველას უნდა ზღვა და და-  
სვენება. მატარებელი პირველ ლიანდაგზე  
დგას. მივდივართ ერთ-ერთ ვაგონთან.

— ბიძია, — შემარავად დავიწყე მე.  
— არაფერი არა მაქს, — შეუპოვრად  
მეუბნება ის.

ასე განმეორდა სხვა ვაგონებთანაც.  
დარჩა ერთადერთი ვაგონი, ჩვენი ერთ-  
ადერთი იმედი.

გადავწვეოტე უფრო ჭკვიანურად გვე-  
მოქმედა.

მივდივართ იმ ვაგონთან. მე და კოტე  
ხმამალლა ვეამათობთ, გვინდა მივიქციოთ  
კონდუქტორის ყურადღება, მაგრამ ამა-  
ოდნ იგი ბუზებივით იგერიებდა ჩვენსა-  
ვით უბილეთობებს.

— მატარებლის გასელამდე რჩება ხუ-  
თი წუთი, — აცხადებს დიქტორი.

— გამარჯობათ, ბიძია, — შეტევაზე გა-  
დავდივართ ჩვენ.

— გამარჯობათ, მაგრამ ადგილები არა  
მაქსი, — გვიპასუხებს კონდუქტორი.

— ბიძია, ასე გვითხარით თქვენ შარ-  
შინ, შარშანწინ და იმის წინ, მაგრამ წაგ-  
ვიყვანეთ, გახსოვთ?

— არ მახსოვს, რადგან შარშან, შარ-  
შანწინ და იმის წინ მე ციხეში ვიჟექი,  
— ვაიპასუხა კონდუქტორმა.

— გასელამდე რჩება ორი წუთი, — ლა-  
ხვარს გვცემს გულში დიქტორი.

— ბიჭებო, წაგიყვანა, მხოლოდ ერთი  
პირიბით: კონტროლიორი თუ ამოვიდა;  
ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობთ. ფულს ნა-  
ტანებში გადაიხდით.

— კარგი, — სიხარულით დავეთანხმეთ  
და გიყებივით შევცვივდით ვაგონში.

მატარებელი დაიძრა.

### გზაში

ვაგონი გატენილი იყო. ღამე დერეფან-  
ში, სკამებზე უნდა გაგვეთია. მაგრამ ეს  
არ გვაწუხებდა: ხვალ ზღვა, მშე და დას-  
ვენება გველოდა.

მატარებელი ხაშურს მიუახლოვდა მე  
და კოტე ფანჯარაში ვიურუებოდით. და  
ხვალინდელ დღით ვტკებოდით. შემდეგ  
ისევ დაფგექით ჩვენს სკამებზე და ელმა-

ვალთან ერთად უფრო და უფრო ეფუძნები-  
ლოვდებოდით ზღვას. და უცდებ... ჩისლიცისაც

მოხდა ის, რაც არც ერთს არ გვინდო-  
და: ომის გამოუცხადებლად თავს და-  
გვესახა მაღალი ულვაშა ჩევიზორი.

— აბა, ბიჭებო, ბილეთები! — გვითხრა  
მან.

— ბიძია, შენი ჭირიმე! — ამლერდა-  
ჩვენი დუეტი.

— რა ნაწიმარი ლელვებივით დაალეთ  
პირი, არა ვაჭვთ ბილეთები? — ჩაგვეძია  
ის.

— ბიძია, შენი ჭირიმე, — არ ცხრებო-  
და ჩვენი დუეტი.

— გადაიხადეთ გარიბა, — თქვა ულვა-  
შამ.

ჩვენ ამოვიოხერეთ.

— იცოდეთ, შორაპანში ჩამოგსვამთ,  
— გვათხრა მან.

— ბიძია, შორაპანში რა გვინდა, შუა-  
ღამეა, ტურები შევევამს. მარელისი შა-  
ინც გეთქვათ, სკამებზე ჩამოგსნდებოდით  
დილამდე, — სცადა გახუმრება კოტემ.

— არ იხდით, ხომ?

— არა, ბიძია, ფული არა გვაქვს.

— სად მიძინხართ? — შეგვევითხა. და  
უცდებ... კოტეს ნიდაყვი გავეარი და...

— სოხუმში, ბიძაჩემო. — ვუპასუხე.

— კი, მაგრამ ბათუმის მატარებლით?

— გაიყიდირა რევიზორმა.

— ბიძია, სამტრედიაში ნათესავები-  
გვყავს და ისინი წაგიყვანენ სოხუმში.

კოტეს გაკირვებისაგან თვალები გაუ-  
ფართოვდა და თმა ყალყზე დაუდგა.

— კარგი, — თქვა კონტროლიორმა. —  
წამომყენით.

— სიოთ? — გაგიდა კოტე.

— წამომყენით-მეთქი, — ხმას აუმარ-  
ლა რევიზორმა. რაღა გვეთქმდო! წაყვე-  
ვით და ჩაგვეტა იმ კუპეში, სადაც მატა-  
რებლის რადიოკვანძი იყო მოთავსებული.

დრო გადიოდა. მორბლების მონოტო-  
ნურ ხმაურში ჩაგვეძინა.

რომ გაგვეღიძა, გარეთ მოჩანდა ზღვა  
და პალმები. კოტე გაკირვებული იყურე-  
ბოდა ფანჯარაში.

— რაშია საჭმე? — შეგევითხა იგი, —  
სამტრედიაში რატომ არ ჩამოგვსვეს?

გამეომა. ჩემი გეგმები მართლდებოდა...

მატარებელი ბათუმს მიუახლოვდა. კორე პირდაღებული მიყურებდა. უცებ კარი გაიღო და შემოვიდა ულვაშა რევიზორი.

— აბა, ახლა ჩაეთრიეთ ძირს! — ჩაირობროხა მან, — ვნახოთ, აქედან უფულოდ როგორ ჩახვალთ სოხუმში.

ჩვენ ჩამოვედით. კონტროლიორი ფანჯრიდან გვიყურებდა და სიცილით იჭაპებოდა.

ასე და ამრიგად ჩვენ ბათუმში ვართ. იმავე დილით „გავახერხეთ“ ნომერი სასტუმროში და ზღვაზე წავედით.

## ზღვა

ზღვა წელსაც ისეთივე იყო, როგორიც შარშან, შარშანწინ და იმის წინ.

— ცოტა გალურჯებულა. — თქვა კოტებ.

— რაო? — არ დავიბენ მე.

— აბა რატომ ხარ ასეთი ლურჯი?

ეს, რა ვქნათ, რომ ასე ძალიან გვიყვარს ზღვა. ზღვა ზაფხულში ჩვენთვის ყველაფერი. გვიყვარს ლურჯი ტალღები და თეთრი კანჭები. მერე, გაავდრების დროს, რუხი ზღვა და თეთრი კენჭები. ოლონდ ის არ გვიყვარს, რომ ჩვენც ამ კენჭებივით თეთრი ვიყოთ.

ამიტომ ვიხსუყებით მზეზე და ისევე, როგორც შარშან, შარშანწინ და იმის წინ, ვგანაობთ და ვისევენებთ.

## სტუპარი

სალამოს პირია. მე და კოტე ოთახში ვზიგართ და კარტს ვთმიაშობთ. უკვე ერთი კვირა გავიდა და ნაცნობი არავინ შეგვხედრა.

— გახსოვს, რა ამბავში ვიყავით შარშან ამ დროს? — მეუბნება კოტე.

— როდის, რესტორანიდან ვამოსული პირდაპირ თხრილში რომ ჩავვარდით და მერე მილიციელს რომ ჩაუვარდით ხელში? — შევეკითხე მე.

— მერე ჩვენი ბრალი იყო? დიმა იყო ყველაფერში დამნაშავე. ისე კარგი ღრმა გავატარეთ იმ საღამოს, არა?

ამ დროს კარზე კაკუნი გაისმა.

— მობრძანდით. — ერთხმად დავიყვით ჩამოსული გვიდას.

გაიღო კარები და რას ვხედავთ: დიმა ჩამოსული.

— სიღარი, ბიჭო? — ერთხმად ამოვილიალეთ მე და კოტები.

— იქიდან.

— სიცხეებია?

— იწვები თბილისი.

— რას შევება ხალხი, არ აპირებს ჩამოსულას?

— ერ, კაცო. მე წამოვედი და ახლა ვიწოდა დარჩება იქ.

დიმა, როგორც დასაწყისში გაგაცანით, ჩვენი მეგობარია და უკვე სამი წელია ყამირზე დადის. დიმა სიცხის დიდ ამტანად და სპეციალისტად ითვლება ჩვენს შორის. ის თუ ჩამოვიდა, უც იგი იწვეს თბილისი და ესაა.

ლაპარაკში დიდი დრო არ დაგვიკარგას. ყველა ნაცნობ-მეგობარი და ნათესავი მოვიყითხეთ და რესტორანს მეტეორის სისწრაფით მოეუახლოვდით.

რესტორანი ხალხით იყო საეს. ოფიციანტს შეჟვეთა მივეცით. იგი ბზრიალა-სავით დატრიალდა. ბზრიალმა შედები გამოილო და ერთ საათში სუფრა გაიწყო.

ვადლეგრეტე შეხვედრა, მშობლები, ნათესავები, მეგობარები, მზე, ზღვა, კენჭები, დასვენება და..

— გმადლობთ, ბიბიებო! — გვაცილება და ოფიციანტი.

— არაფრის, — ვუთხარით და არ გავაცილებინეთ თავი.

გარეთ გმოვედით. ცხირზი მეცა ზღვის სურნელი და გამახსენდა, რომ იქ თევზები ბინაღრობენ.

— უნდა ვითევზაო! — წამოვიდა მე.

— ე, მარა ანკესები? — შეჩერდა დობა.

— ჩვენ წამოვიდეთ. — ისეთი ტონით თქვა კოტემ, თოჭის დედმიწის მიზიდულობის კანონი აღმოჩინოს.

აველით სასტუმროში და გამოვიტანებ ანკესები.

— ე, მარა კიები? — გაახსენდა დიმას.

— ჩხრიყე ახლა მიწა და ექებე ჭიგბი  
ამ ბნელში, — აროხროხდა კოტე.

— ევრიყე! — წამოვიძახე მე. — და-  
მაცადეთ, ახლავე მოვალ.

ზუთი წუთის შემდეგ მოვედი და კოოპ-  
ვაპრობის მაღაზიაში ნაყიდი ვაშლი მო-  
ვიტანე.

— კი, მარა ვაშლით უნდა ითევზაო? —  
შემცვდა დიმა.

მე გამეცინა:

— ნუთუ ვერ ხედავთ, როგორი ვაშ-  
ლია?

ტაშით იქაურობა დააქციეს, ხელში  
ამიყვანეს ლრიალით, თითქოს ბებიაჩემს  
აცნობდნენ ჩემი გენიოსობის ამბავს.

წავედით სათევზაოდ. გავჭერით ვაშ-  
ლები და ამოვილეთ ჭიები.

— ამას თევზი ვერ გადაყლაპავს, იმ-  
ხელაა, — წამოიძახა კოტეშ.

ჭიები ოთხ-ოთხ ნაწილად დავჭერით  
და ანცესებზე წამოვაცით.

ორი სათი ვიჯექით და ერთი თავეომბაც  
ლაც ვერ დავიტირეთ. მერე უზერესი  
წყალში გადავყარეთ და სიმღერით გამო-  
ვუღებით გზას სასტუმროსაკენ.


იმ ღამეს მორიგეს გასაშლელი ლოგი-  
ნი მოვატანინეთ და დიმაც ჩვენთან დარ-  
ჩა.

## დაგრუნვება

ჩვენი წასკლის დროც მოახლოვდა  
ყველანი უკვე უნაგარის ტყავებს დავემ-  
სგავსეთ. ხალხი ზოგჯერ გავირვებათ  
გვიყურებდა, ზანგები თუ ვეგონეთ.  
დრაიზერის სიტყვებით რომ ვთქვათ, ყო-  
ველგვარი პოპულარობა დიდი მიზიდუ-  
ლობის ძალით სარგებლობს.

პირველ სექტემბერს ინსტიტუტში ვი-  
ყავით. ხვევნა-კოცნა, მეგობრებთან შე-  
ხვედრა, ლექციები, სალამოთი სწავლას  
დაწყებისა აღნიშვნა და...

კვლავ მეორდება შარშანდელი, შარ-  
შანწინდელი და იმისწინანდელი ისტო-  
რია.



ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/II, 1967 წ. საბეჭდი 6, საგამომცემლო 5 თაბაზი  
შეკვეთის № 92, ემ 00555, ქაღალდის ზომა 60×90. ტირაჟი 1800.  
\* \* \*

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის  
მთავარპოლიგრაფმრეწვის ბათუმის სტამბა № 9 (ლუქსემბურგის, 22).



668/66

шт. № 40 333.

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ  
*„Литературали Аджара“*  
ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ  
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ  
ИНДЕКС 76118